Интенсивная полоса  $\nu(\text{CN})$  группы  $\text{NCS}^-$  в спектрах комплексов германия с  $\alpha\text{-dipy}$  и  $\text{o-Phen}$  обнаружены в области  $2070\text{-}2075\text{ см}^{-1}$ , что, по-видимому, указывает на наличие внешнесферных ионов  $\text{NCS}^-$  [7-10]. Следовательно, в смешанных комплексах во внешней сфере находятся ионы  $\text{SCN}^-$ . Об этом свидетельствуют рассмотренные ИК спектры комплексов с  $\alpha\text{-dipy}$  в длинноволновой области.

В спектрах этих комплексов появляются интенсивные полосы при  $256$  и  $336\text{ см}^{-1}$ , отсутствующие в спектре некоординированного дипиридила, которые, по-видимому, можно отнести к колебаниям  $\text{Ge-галоген}$  ( $\text{Br}^-$  и  $\text{Cl}^-$ ).

Таким образом, принимая во внимание результаты ИК спектрального исследования, можно заключить, что галогенид-ионы и две молекулы органического лиганда (проявляя бидентатную функцию), находятся во внутренней сфере комплексов, а две молекулы лиганда и два иона  $\text{SCN}^-$  – во внешней сфере:



## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. М.Г. Воронков. Четвертое рождение германия. Химия и жизнь, 1982, 12, №3, С. 54-56.
2. Тананаев И.В., Шпирт М.Я. Химия Германия, М., Изд-во «Химия», 1967г. С. 292-335.
3. Климова В.А. Основные микрометоды анализа органических соединений. М., Химия, 1965, 247 с.
4. А.П. Нариманидзе, А.Ю. Цивадзе, Ю.Я. Харитонов, Т.И. Джаниашвили. Коорд. химия, №7, с. 936-941.
5. Ю.Я. Харитонов, А.Ю. Цивадзе, Г.В. Цинцадзе, Ж.Д. Петриашвили. Коорд. химия, 1977, т. 3, с. 1665-1173.
6. А.Ю. Цивадзе, Г.В. Цинцадзе, Ж.Д. Петриашвили, Ю.Я. Харитонов. Коорд. химия, 1977, т. 3, с. 1052-1057.
7. М.А. Парай-Кошиц, Г.В. Цинцадзе. Обзор в сборнике «Кристаллохимия», из серии итоги науки. Изд. ВИНТИ, М., 1967.
8. Ю.Я. Харитонов. Колебательные спектры в неорганической химии. Изд. «Наука», С. 139-180, 1970.

9. Г.В. Цинцадзе. «Смешанные псевдогалогенидо-аминные соединения некоторых металлов», Тбилиси, 1974.
10. А.М.Голуб, Х.Келер, В.В.Скопенко и др. Химия псевдогалогенидов. Высшая школа, 1981, 201 С.

**გერმანიუმის (IV) კოორდინაციული ნაერთები  
α-დიპირიდითან და o-ფენანთროლინთან**

ანერი ლეჟავა, ელგუჯა კვეზერელი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

სინთეზირებულია გერმანიუმის (IV) შერეული დიჰალოგენიდო-დითიოციანატური კოორდინაციული ნაერთები α-დიპირიდითან და ორთო-ფენანთროლინთან. დადგენილია მათი შედგენილობა და შესწავლილია მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. შთანთქმის ინფრაწითელი სპექტრების შესწავლის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება სინთეზირებული ნაერთების აღნაგობის შესახებ.

**COORDINATION COMPOUNDS OF GERMANIUM (IV)  
WITH α-DIPYRIDYL AND o-PHENANTHROLINE**

Aneri Lezhava, Elguja Kvezereli  
Georgia Technical University, Tbilisi

**SUMMARY**

Coordination compounds of germanium (IV) with α-dipyridyl and o-phenanthroline are synthesized. Their physical-chemical and biological properties are studied. Compositions of these compounds are offered on the basis of their IR absorption spectra.

## ХИМИЯ КООРДИНАЦИОННЫХ СОЕДИНЕНИЙ

## КООРДИНАЦИОННЫЕ СОЕДИНЕНИЯ ГЕРМАНИЯ (IV) С ЛАРУСАНОМ

А.П.Лежава, Э.А.Квезерели

*Грузинский технический университет*

Синтезированы координационные соединения Ge (IV) с ларусаном. Изучены их физико-химические и биологические свойства. На основании изучения их ИК спектров поглощения предложены строения этих соединений.

Поисковые работы по синтезу новых веществ – комплексов германия (IV) с ларусаном, обладающих противоопухолевой и антитуберкулезной активностью, обещают немалые перспективы в нахождении новых эффектов противоопухолевых и противотуберкулезных агентов [1].

Ионы металлов играют важную роль в жизненных процессах растений и живых организмов, среди которых особое место занимает и германий. Если учесть тот факт, что не исключено существование германия в живых организмах в виде комплексов, и еще то, что биологические свойства координационных соединений германия мало изучены, то становится ясной необходимость и перспективность проведения исследования в этом направлении. Изучение влияния лигандного окружения на формирование структуры и биологическую активность комплексов германия открывает перспективу получения веществ с прогнозируемым набором свойств.

**Синтез соединений германия (IV) с ларусаном.**

GeCl<sub>4</sub>·4Лар получали при сливании ацетоновых растворов тетрахлорида германия (0,142г) и ларусана (0,1092г) (соотношение 1 : 4). Сразу выпадает осадок оранжевого цвета, который отфильтровывали на стеклянном фильтре, промывали сухим ацетоном, эфиром и высушивали над CaCl<sub>2</sub>.

Аналогично были получены и остальные комплексы: исходную соль и лиганд брали в соответствующих соотношениях GeBr<sub>4</sub>·2Лар (1 : 2, GeBr<sub>4</sub> = 0,395г, Лар. = 0,546г); GeI<sub>4</sub>·4Лар (1 : 4, GeI<sub>4</sub> = 0,581г, Лар. = 0,1092г); Ge(NCS)<sub>4</sub>·4Лар (1 : 2, Ge(NCS)<sub>4</sub> = 0,305г, Лар. = 0,1092г); GeCl<sub>2</sub>(NCS)<sub>2</sub>·4Лар (1 : 4, GeCl<sub>2</sub>(NCS)<sub>2</sub> = 0,260г, Лар. = 0,109г); GeBr<sub>2</sub>(NCS)<sub>2</sub>·2Лар (1 : 2, GeBr<sub>2</sub>(NCS)<sub>2</sub> = 0,309г, Лар. = 0,546г); GeI<sub>2</sub>(NCS)<sub>2</sub>·2Лар (1 : 2, GeI<sub>2</sub>(NCS)<sub>2</sub> = 0,443г, Лар. = 0,546г).

Таблица 1. Результаты элементного анализа координационных соединений германия с Ларусаном

Соединения	Ge %		Г или NCS %		N %		S %		Цвет соединения
	Выч.	Найд.	Выч.	Найд.	Выч.	Найд.	Выч.	Найд.	
GeBr <sub>4</sub> ·4Лар	5,40	5,55	11,44	11,50	13,81	13,60	-	-	оранжевый порошок
GeBr <sub>4</sub> ·2Лар	8,08	8,27	35,40	35,38	9,30	9,07	-	-	оранжевый порошок
GeI <sub>4</sub> ·4Лар	6,69	6,82	46,56	46,40	7,69	7,54	-	-	оранжевый порошок
Ge(NCS) <sub>4</sub> ·4Лар	5,40	6,19	17,21	16,61	16,67	16,04	-	-	оранжевый порошок
GeCl <sub>2</sub> (NCS) <sub>2</sub> ·4Лар	5,70	5,91	5,54	5,62	14,60	14,80	5,01	4,98	оранжевый порошок
GeBr <sub>2</sub> (NCS) <sub>2</sub> ·2Лар	8,49	8,36	18,62	18,45	13,03	12,92	7,46	7,28	оранжевый порошок
GeI <sub>2</sub> (NCS) <sub>2</sub> ·2Лар	7,66	7,27	38,82	39,05	11,75	11,70	6,71	6,55	оранжевый порошок

Все комплексы оранжевого цвета. Они в органических растворителях не растворяются, в воде растворяются довольно хорошо. Полученные соединения анализировали на германий, определяли потенциометрическим титрованием магнитогерманиевой кислоты. Галогенид и тиоцианат-ион определяли аргентометрически, а азот по микрометру Дюма [2-4].

При сравнении дифрактограмм полученных соединений можно заметить: синтезированные соединения имеют индивидуальные наборы относительных интенсивностей и межплоскостных расстояний, что указывает на их индивидуальность. Значения  $I$  и  $d$  показывают, что они не являются изоструктурными.

### Спектры и строение комплексов

С целью установления способа координирования ларусана, а также групп  $NCS^-$  с германием были исследованы их ИК спектры поглощения (в области 400-4000  $см^{-1}$ ).

Результаты расшифровки ИК спектров поглощения координационных соединений германия (IV) с ларусаном даются ниже (п – перегиб; ш – широкая полоса; наиболее интенсивные компоненты полос выделены).

Лар. По (100) – 430, 445, 494, 582, 600, 636, 678, 711, 748, 760, 770, 850, 882, 925, 950, 975, 1000, 1030, 1040, 1080, 1090, 1150, 1182, 1230, 1263, 1290, 1332, 1380, 1415, 1480, 1540, 1560, 1606, 1625, **1664**, **1690**, 2882, 2920, 2978, 3050, 3118, 3152 (п), 3255, 3529.

$GeCl_4(Lap)_4$  – 425, 480 (?), 525 (п), 596, 624, 630, 646, 690, 750, 780, 848, 860, 890, 915, 930, 954, 975, 1175, 1210, 1280, 1328, **1385**, 1450, **1470**, 1540, 1570, **1612**, **1705**, 3100, 3245, 3400.

$GeBr_4(Lap)_2$  – 425 (?), 475 (?), 550, 595, 645, 652, 690, 750, 780, 840, 890, 915, 940, 990, 1025, 1050, 1080, 1178, 1120, **1380**, 1330, 1405, 1450, **1485**, 1540, 1570, **1615**, **1705**, 3090, 3120, 3280, 3320, 3360, 3450.

$Ge(NCS)_4 \cdot (Lap)_4$  – 425 (?), 460, 506, 598, 640(?), 680, 740 (?), 770, 845, 896, 920, 935, 960, 1030, 1075, 1080, 1120(?), 1158, 1260 (п), 1290, 1320, 1355, **1390**, 1440, **1485**, 1540, 1580, 1640, **1668**, **2076**, 2145, 3050(?), 3110, 3140, 3300.


$GeCl_2(NCS)_2 \cdot (Lap)_4$  – 470, 495, 643, 687, **730**, 750, 780, 840, 930, 935, 945, 965, 1030, 1050, 1165, 1260, 1310, 1360, **1390**, 1420, **1480**, 1495, 1520, 1530, 1600, 1640, 1650, 1680, 2080, 3210, 3330, 3350, 3420, 3460/

В табл. 2 приведены основные колебательные частоты найденных в ИК спектрах комплексов германия (IV) с ларусаном. Как следует из этих данных, частоты валентных колебаний  $\nu(NH)$  по сравнению с  $\nu(NH)$  некоординированных молекул ларусана (93) гидразидных NH-групп не изменяются, что указывает на отсутствие координированных молекул ларусана через атомы азота гидразидных цепей. Не претерпевают изменения также частоты колебаний  $\nu(CO)$  и  $\nu(CN)$  групп (в некоторых случаях не только не меняется, но даже повышается по сравнению с некоординированными молекулами ларусана (табл. 2), что также отрицает координирование этого лиганда через атомы кислорода CO и C = N-групп.

Частоты колебания кольца  $\nu_{кольца}$  в комплексах проявляются в области ~1612-1640 и 1025-1030  $см^{-1}$ , что изменяется по сравнению с  $\nu_{кольца}$  некоординированного лиганда (табл. 2). Это обстоятельство указывает на координирование молекул ларусана с германием через атомы азота гетероцикла. Таким образом, молекулы ларусана в исследуемых соединениях находятся в кетонной форме, являются монодентными и с центральным атомом – комплексообразователем образуют связь через азот гетероцикла [5-8].

В соединениях  $Ge(NCS)_4 \cdot (Lap)_4$  и  $GeCl_2(NCS)_2 \cdot (Lap)_4$  в области 2076, 2145 и 2060, 2080  $см^{-1}$ , соответственно, проявляются полосы, относящиеся к  $\nu(CN)$  групп  $NCS^-$ . Низкочастотные компоненты в спектрах исследуемых комплексов относятся к  $\nu(CN)$  некоординированных (внешнесферных)  $NCS^-$  ионов. Высокочастотные значения  $\nu(CN)$  допускают наличие координированных (внутрисферных)  $NCS^-$  групп [9-12].

Таким образом, резюмируя все вышесказанное, можно предположить строение комплексов в следующем виде:



Таким образом, можно сказать, что во всех соединениях германий (IV) имеет шестикоординационное окружение.



Таблица 2. Основные колебательные частоты ( $\text{см}^{-1}$ ), найденные в ИК спектрах координационных соединений германия (IV) с Ларусаном и их отнесение (п. – перегиб, ш. – широкая полоса, наиболее интенсивные полосы подчеркнуты)

Соединения $\sqrt{(\text{NH})}$		Полосы «амид»			$\sqrt{\text{кольца}}$
		I	II	III	
Лар. $\text{H}_2\text{O}$ по (100)	3255	1664	1540	1332	1606
	3525				1480
$\text{GeCl}_4(\text{Лар})_4$	3400	1705	1540	1308	1612
	3245				
$\text{GeBr}_4(\text{Лар})_2$	3320	1705	1540	-	1615
	3360				1025
	3450				
$\text{Ge}(\text{NCS})_4(\text{Лар})_4$	3300	1668	1540	1320	1640
$\text{GeCl}_2(\text{NCS})_2(\text{Лар})_4$	3210	1680	1530	1310	1640
	3330				1520
	3350				1030
	3420				
	3460				

### ИСПЫТАНИЕ АНТИТУБЕРКУЛЕЗНОЙ АКТИВНОСТИ КОМПЛЕКСНЫХ СОЕДИНЕНИЙ ГЕРМАНИЯ С ЛАРУСАНОМ

Было исследовано противотуберкулезное действие координационных соединений галогенидов, тиоцианатов и смешанных галоген-тиоцианатов германия с Лар.

Испытание проведено *in vitro*. Готовились серийные разведения препаратов в полусинтетической жидкой питательной среде Е.А. Школьникова с 10% человеческой плазмой. В опыте ставились следующие концентрации испытанных препаратов: 1; 0,5; 0,25; 0,125; 0,062; 0,031; 0,015; 0,007; 0,003 мкг на 1 мл питательной среды. Такие же разведения готовились для контроля из исходных препаратов (Лар.).

Тест-микробом служил лабораторный штамм микобактерий туберкулеза человеческого вида  $\text{H}_37\text{P}_v$ , полмиллионная суспензия которого в физиологическом растворе наливалась в каждую пробирку в объеме 0,2 мл. После двухнедельной инкубации в термостате при соответствующем режиме проводили оценку роста микроба по трехбальной системе микроскопическим методом, сравнивая с контрольным ростом (+++).

По наименьшей концентрации испытуемого препарата, дающего остановку роста микроба, судили об их противотуберкулезном действии, рассматривая их по сравнению с активностью исходных препаратов (Лар.).

Результаты опытов приводятся в таблице 3.

Таблица 3

№	Препараты	Разведение препаратов в мкг/мл									
		1	0,5	0,25	0,125	0,063	0,031	0,015	0,007	0,003	Конт.
1	$\text{GeCl}_4 \cdot 4\text{Лар}$	-	-	-	++	+++	+++	+++	+++	+++	
2	$\text{GeBr}_4 \cdot 2\text{Лар}$	-	-	++	+++	+++	+++	+++	+++	+++	
3	$\text{GeI}_4 \cdot 2\text{Лар}$	-	-	-	-	+	+	+	++	+++	
4	$\text{GeCl}_2(\text{NCS})_2 \cdot 2\text{Лар}$	-	-	-	-	+	+	++	+++	+++	
5	$\text{GeBr}_2(\text{NCS})_2 \cdot 4\text{Лар}$	-	-	-	-	+	++	+++	+++	+++	
6	Лар.	-	-	-	+	+++	+++	+++	+++	+++	

**Координационные соединения германия с ларусаном**

Бромидный и иодидный, а также смешанные хлоридо- и бромидотиоцианатные комплексы германия показали повышение туберкулоостатической активности более чем в два раза по сравнению с исходным противотуберкулезным препаратом (Лар). Остальные два соединения приблизительно сохраняют исходную активность ларусана.

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. М.Г. Воронков. Четвертое рождение германия. Химия и жизнь, 1982, 12, №3, С. 54-56.
2. Тананаев И.В., Шпирт М.Я. Химия Германия, М., Изд-во «Химия», 1967г. С. 292-335.
3. Климова В.А. Основные микрометоды анализа органических соединений. М., Химия, 1965г. 247 С.
4. Белоусова Е.М., Сейфулина И.И., Пурич А.И. ЖНХ, т. 17, вып. 3, 1972г., С. 657-660.
5. Белоусова Е.М., Сейфулина И.И., Вобровская М.М., ЖНХ, т. 17, вып. 6, 1972г., С. 1622-1625.
6. Р.И. Мачхошвили. Автореферат кандидатской диссертации, ИОНХ АН СССР, М., 1970.
7. А.П. Нариманидзе, А.Ю. Цивадзе, Ю.Я. Харитонов, Т.И. Джаниашвили. Коорд. химия, №7, С. 936-941.
8. Ю.Я. Харитонов, А.Ю. Цивадзе, Г.В. Цинцадзе, Ж.Д. Петриашвили. Коорд. химия, 1977, т. 3, С. 1665-1173.
9. А.Ю. Цивадзе, Г.В. Цинцадзе, Ж.Д. Петриашвили, Ю.Я. Харитонов. Коорд. химия, 1977, т. 3, С. 1052-1057.
10. М.А. Парай-Кошиц, Г.В. Цинцадзе. Обзор в сборнике «Кристаллохимия», из серии итоги науки. Изд. ВИНТИ, М., 1967.
11. Ю.Я. Харитонов. Колебательные спектры в неорганической химии. Изд. «Наука», с. 139-180, 1970.
12. Г.В. Цинцадзе. «Смешанные псевдогалогенидо-аминные соединения некоторых металлов», Тбилиси, 1974.
13. А.М.Голуб, Х Келер, В.В.Скопенко и др. Химия псевдогалогенидов. Высшая школа, 1981, 201 с.

**გერმანუმის (IV) კოორდინაციული ნაერთები ლარუსანთან**

ანერი ლეჟავა, ელგუჯა კვეზერელი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

სინთეზირებულია გერმანუმის (IV) კოორდინაციული ნაერთები ლარუსანთან. შესწავლილია მათი ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური თვისებები. შთანქმის ინფრაწითელი სპექტრების შესწავლის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება სინთეზირებული ნაერთების აღნაგობის შესახებ.

**COORDINATION COMPOUNDS OF GERMANIUM (IV) WITH LARUSAN**

Aneri Lezhava, Elguja Kvezereli  
Georgia Technical University, Tbilisi

**SUMMARY**

Coordination compounds of germanium (IV) with larusan are synthesized. Their physical-chemical and biological properties are studied. Compositions of these compounds are offered on the basis of their IR absorption spectra.

## ნავთობის და ნავთობპროდუქტების მდგრადი ემულსიების დაშლა დეემულგატორების გამოყენებით

გურამ ხიტირი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი*

ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მდგრადი ემულსიების დაშლა ურთულეს პრობლემას წარმოადგენს. ცნობილია, რომ ისინი დიდ სიძნელეებს ქმნიან გადაამუშავების ნებისმიერი პროცესის დროს. კერძოდ, ტრანსპორტირებისას ადგილი აქვს დამატებით ხარჯებს, დანადგარების კოროზიას, ენერგეტიკული ხარჯების ზრდას, გარემოს დაბინძურებას, ყოველივე ამის გამო გადაამუშავების შედეგად მიღებული მიზნობრივი პროდუქტების თვითღირებულება მნიშვნელოვნად იზრდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მდგრადი ემულსიების დაშლა, როგორც ტექნიკური, ისე ეკონომიური და რაც მთავარია, ბუნების დაცვის თვალსაზრისითაც, მეტად აქტუალურია [1].

გაუწყლოების არსებული მრავალფეროვანი მეთოდები: მექანიკური, თერმული, ელექტრო და ქიმიური სასურველ შედეგს ვერ იძლევა. ამათგან ყველაზე საუკეთესო - თერმო-ქიმიური მეთოდი უცხოური ძვირად ღირებული დეემულგატორების გამოყენებითაც კი ზოგ შემთხვევაში არაეფექტურია.

ადრინდელ კვლევებში [2, 3] ნაჩვენებია, რომ ნავთობის მდგრადი ემულსიების დაშლა ზოგ შემთხვევაში ხერხდებოდა უცხოური დეემულგატორების: დისოლვანი, პროქსამინი და პროვალიტის გამოყენებით. პრობლემის გადასაჭრელად საჭირო გახდა კომპლექსური მიდგომა. მდგრადი ემულსიების დასაშლელად შევარჩიეთ ეკონომიურად ყველაზე მომგებიანი თერმოქიმიური მეთოდი, ეტაპობრივი გზით ეფექტური დეემულგატორების, სხვადასხვა გამხსნელების და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით.

მდგრადი ემულსიების დასაშლელად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სხვადასხვა გამხსნელების შერჩევა. აქცენტი გაკეთდა იაფფასიან ეფექტურ გამხსნელებზე: ტექნიკური არომატული ნახშირწყალბადების ნარევი, რომელიც კოქსოქიმიური წარმოების შედეგად არის მიღებული; პიროლიზური ფისები - არომატული ნახშირწყალბადების უდიდესი წყარო; პირობენზოლი - მსუბუქი არომატული ნახშირწყალბადების ნარევი 175°C-მდე.

მდგრადი ემულსიების დასაშლელად არანაკლებ მნიშვნელოვანია გაუწყლოების პროცესის ჩატარების ტექნოლოგია.

ყურადღება გავამახვილეთ აგრეთვე ტურბინის ზეთების დეემულსაციის მეთოდის ტექნოლოგიაზე [4] და ინტერნეტიდან მოპოვებულ ზოგიერთ სპეციალურ დანადგარებზე.

მომავალში დაგეგმილია სხვადასხვა დეემულგატორების ეფექტური იაფი გამხსნელების და ახალი ტექნოლოგიების კომპლექსური გამოყენება. ჩვენს მიერ გამოყენებული მდგრადი ემულსია - ლეალური წყლის ნიმუში დეემულგატორ დისოლვანის სპირტიან, ქსილოლის, პირობენზოლის ხსნარებში შედარებით არაეფექტური გამოდგა, რომლის მოქმედების შედეგად წყლის შემცველობა 1,5%-მდე შემცირდა. ამის შემდეგ გამოვიყენეთ დეემულგატორ დისოლვანის 4411 ტიპის 50%-იანი ხსნარი პიროლიზურ ფისებში. აღებული იქნა ლეალური წყლის ნიმუში, რომელშიც წყლის შემცველობა 60%-ს აღწევს,  $\rho^{20}_4 = 0,949$ . დავადგინეთ ოპტიმალური პირობები: გაუწყლოების ტემპერატურა 90°C, დამატებული დეემულგატორის რაოდენობა 0,3 მლ (2%-იანი პიროლიზური ხსნარის სახით) 200 გ ნიმუშზე, რაც შეადგენს 30 გ-ს ტონაზე, დაყოვნების დრო 4 სთ. ნარჩენი წყლის რაოდენობა ღინისა და სტარკის მეთოდის მიხედვით 0,5% [5].

ლეალური წყლის ნიმუში დეემულგატორ დისოლვანის 4411 ტიპის 50%-იანი ხსნარის გამოყენებით პიროლიზურ ფისებში გაუწყლოების შემდეგ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნას ფლოტის Φ-5 მარკის მაზუთზე.

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Тягунова Г.В., Ярошенко Ю.Г. Экология. Москва «Логос». 2005, с. 503
2. გ.ხიტირი, ი.ედილაშვილი, ლ.თოფურბე. საქართველოს ნავთობების ოპტიმალური დეემულგატორების კვლევა. საქართველოს ქიმიური ჟურნალი. 2005, 5(1), გვ. 76
3. Левченко Д.Н., Бернштейн Н.В., Худякова А.Д. и др. Эмульсии нефти с водой и методы их разрушения. Москва, «Химия». 1967, с. 199
4. Папок К.К., Рагозин Н.А. Словарь по топливам, маслам, смазкам, присадкам и специальным жидкостям. Москва, изд. «Химия». 1999, 596 с.
5. Школьников В.М. Топливо-смазочные материалы, технические жидкости, ассортимент и применение. Москва, «техинформ». 1999, с. 596.

**INVESTIGATION OF DEEMULGATORS FOR DISTRACTION OF STABLE EMULSIONS OF OIL AND OIL PRODUCTS**

Guram Khitiri

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry***SUMMARY**

Investigation of stable emulsion distraction of nonstandard oil products such as Scourage water, shows that most effective is 50% solution of deemulgator 411 in natural resin. Optimal conditions have been determined for thermal-chemical dehydration.

**ИСПОЛЬЗОВАНИЕ ДЕЭМУЛЬГАТОРОВ ДЛЯ РАЗРУШЕНИЯ СТОЙКИХ ЭМУЛЬСИЙ НЕФТЕЙ И НЕФТЕПРОДУКТОВ**

Г.Ш.Хитири

*Тбилисский Государственный Университет им. Ив. Джавахишвили,  
Институт физической и органической химии им. Петре Меликишвили***РЕЗЮМЕ**

В результате исследования нестандартных нефтепродуктов с целью разрушения стойких эмульсий, каким является ляльная вода, самым эффективным оказался 50% раствор в пиролизной смоле деэмульгатора диссольвана 4411. Установлены оптимальные условия в процессе термо-химического обезвоживания.

## ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები

## ქლორმომცველი დეზინფექტანტის მოქმედების მექანიზმის სრულყოფა

ვენელიქტე წერეთელი, ზიგფრიდ კურატაშვილი, გიორგი ჩიმაკაძე\*, თეიმურაზ ქათამაძე\*\*

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

\*გრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

\*\*გელიავას ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი

დეზინფექციის სამი ძირითადი მეთოდი არსებობს: ფიზიკური, ბიოლოგიური და ქიმიური [1]. ქიმიური დეზინფექციით განპირობებულია დაავადებების პათოგენური აღმძვრელების განადგურება ისეთი ნაერთების ზემოქმედებით, როგორებიცაა: ქლორშემცველი რეაგენტები, ბრომი, იოდი და მათი წარმოებულები, ფენოლები და კრეზოლები, გუანიდინი, ალდეჰიდები, ოქსიდები, მჟავები, ტუტეები და სხვა.

თავიანთი უნივერსალობის მიხედვით დიდი გავრცელება ჰპოვა ქლორშემცველმა პრეპარატებმა. ამ სახის პროდუქციის ასორტიმენტი ფართოა და ამავედროულად მუდმივად იზრდება ახალი პრეპარატების წარმოების შესაბამისად [2]. ყველა ქლორშემცველი დეზინფექტანტი ხასიათდება მოქმედების მსგავსი პრინციპით, კერძოდ, სუბსტრატზე მოქმედების მექანიზმით, რომელიც თანამედროვე კლასიფიკაციით მიეკუთვნება ჟანგვით ქლორირებას.

ლიტერატურაში “აქტიური ქლორის” გაგება სხვადასხვაგვარად არის განხილული. ერთ შემთხვევაში [3] ქლორშემცველი ნაერთების აქტივობას უკავშირებენ “აქტიური ქლორის” არსებობას, ანუ ისეთი ქლორის არსებობას, რომელიც იწვევს ატომური ჟანგბადის გამოყოფას (მაგ.,  $\text{HOCl} = \text{HCl} + \text{O}$ ); განსხვავებული შეხედულებით “აქტიური ქლორი” ისეთი ქლორია, რომელიც გამოიყოფა თავისუფალი სახით ქლორშემცველი ნაერთის ურთიერთქმედებით მარილმჟავასთან [4]. ნივთიერებაში აქტიური ქლორის მასური წილი (%-ში) რაოდენობრივად ტოლია ქლორის იმ რაოდენობისა, რომელიც გამოიყოფა მისი 100 გრამიდან. “აქტიური ქლორი”, როგორც ასეთი, ბუნებაში არ არსებობს. ეს არის ამა თუ იმ აქტიურად მოქმედი ქიმიური ნივთიერების კონცენტრაციის გამოსახვის ფორმა.


ჩვენს მიზანს შეადგენდა კომპოზიციური დეზინფექტანტის [5] ბიოციდურ აქტივობაზე მის შემადგენლობაში არსებული აქტიური ქლორის და აქტიური ჟანგბადის შემცველი ნაერთების ურთიერთგავლენის შესწავლა და ამით დეზინფექტანტის მოქმედების მექანიზმის სრულყოფა.

სადეზინფექციო ხსნარის დასამზადებლად აქტიურად მოქმედი ნივთიერებების სახით ვიყენებით N-ქლორ-4-ტოლუოლსულფამიდის ნატრიუმის მარილს (ქლორამინი) და ნატრიუმის პეროქსიკარბონატს; ქლორშემცველი რეაგენტის აქტივატორად ამონიუმის ქლორიდს, pH-ს ვარეგულირებდით მჟაუნმჟავით, ძმარმჟავით ან მარილმჟავით. საკვლევი კომპოზიციის ბაქტერიციდული აქტივობის შესამოწმებლად ვიყენებდით ნაწლავის ჩხირს (*E.Coli*) და ოქროსფერ სტაფილოკოკს (*St. aureus*).


ქლორის შემცველი ნაერთების ბაქტერიციდული მოქმედების განმსაზღვრელია ქვექლოროვანი მჟავა, მაგრამ ეს მჟავა უძღვრადია; ხსნარში მისი მაქსიმალური კონცენტრაციაა 30%. ქვექლოროვანი მჟავას დაშლის მიმართულება და სიჩქარე დამოკიდებულია პირობებზე. მჟავა არეში, ოთახის ტემპერატურაზე, მიმდინარეობს რეაქცია:




ხსნარში მარილმჟავას არსებობისას სწრაფად მყარდება წონასწორობა:



რომელიც ძლიერ გადახრილია მარჯვნივ. სუსტ მჟავა და ნეიტრალურ ხსნარებში მიმდინარეობს დაშლა:




სუსტ ტუტე არეში, განსაკუთრებით ტემპერატურის გაზრდისას, მიმდინარეობს დისპროპორციონირების რეაქცია ქლორატ-იონის წარმოქმნით:



ამ მიზეზების გამო ქლორის რეალური წყალხსნარები შეიცავს ქვექლოროვან მჟავას უმნიშვნელო რაოდენობით, რომლის ბიოციდური აქტივობა 300-ჯერ მეტია ვიდრე ჰიპოქლორიტ-იონების [6].

განხილული პროცესის პირველი სტადია, რა თქმა უნდა, წარმოადგენს სარეაქციო არეში ქვექლოროვანი მჟავას წარმოქმნას, რომელიც, ელემენტარული სქემის მიხედვით, არის ქლორის წყალთან ურთიერთქმედების შედეგი:




გამოყოფილი HCl კმნის მჟავა არეს და ახორციელებს ქვექლოროვანი მჟავას გარდაქმნას მჟავა არეს შესაბამისად.

ლიტერატურული მონაცემები ამ შემთხვევაშიც განსხვავებულია, ერთ შემთხვევაში [7] გამოთქვავენ მოსაზრებას, რომ ქვექლოროვანი მჟავას აქტივობა მაქსიმალურია ნეიტრალურ არეში. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვით ქლორშემცველი ნაერთების ბაქტერიციდული მოქმედება გაცილებით მაღალია მჟავა არეში [8]. მაგალითად, ეფექტურობის გაზრდისათვის წყლის ქლორირებას ახდენენ ხსნარის განეიტრალებამდე [8].

ღებინფექტანტისათვის შერჩეული კომპოზიციის ბიოციდური აქტივობა შევისწავლეთ pH-ის ფართო ზღვრებში. ექსპერიმენტის შედეგად მიღებულმა შედეგებმა გვიჩვენა (ცხრილი 1), რომ საღებინფექციო საშუალების მაქსიმალური ბიოციდური აქტივობა მიიღწევა მჟავა არეში, რაც ადასტურებს ზემოთგამოთქმული ავტორების შეხედულებას [8].

ყოველივე ამის ახსნა შესაძლებელია იმით, რომ მჟავა არეში პეროქსიდების მჟანგავი თვისებები განსაკუთრებით მაღალია დ მათ შეუძლიათ დაჟანგონ ქლორწყალბადიც [9]. ამდენად, ჩვენს მიერ შესწავლილ საღებინფექციო კომპოზიციაში წარმოქმნილი ქლორწყალბადი იჟანგება პეროქსიდით, რაც იწვევს დამატებით მოლეკულური ქლორის წარმოქმნას რითაც ძლიერდება საღებინფექციო კომპოზიციის ბაქტერიციდული მოქმედება:



მოლიანობაში ღებინფექტანტის კომპოზიციის სწორი შერჩევით, ანუ ქლორიდ-იონის “აქტიურ ქლორად” გადაყვანით, მიღწეული იქნა მაქსიმალური სინერგიზმი, რაც იწვევს ღებინფექციისთვის მოხმარებული ქლორშემცველი ნივთიერების რაოდენობის შემცირებას.


ცხრილი 1. ღებინფექტანტის სხვადასხვა კომპოზიციების ბიოციდური მოქმედება

№	აქტიურად მოქმედი ნივთიერებები		კომპოზიციის ხანგრძლივობა, წთ	pH		კონტროლი		ღებინფექციის შედეგებზე დაკვირვება, დღე								შენიშვნა		
				საწი	საბოლო	E.Coli	St.aureus	1	2	3	4	5	6	7	8			
	ქლორაშინი	პეროქსიდი		სი	ლო			+	-	±	±	±	±	±	±		±	
1	0,75	0,1	30 60 120 180	4	2-3	+	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
2	0,75	0,3	30 60 120 180	8	7	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	ნეიტრალურ არეში არ არის აქტიური
3	0,50	0,1	30 60 120 180	6	3	+	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
4	0,50	0,5	30 60 120 180	9-10	9-10	+	+	±	±	±	±	±	±	±	±	±	±	
5	0,75	-	30 60 120 180	6	3	+	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	პეროქსიდის დამატების გარეშე

+ ზრდა არის; - ზრდა არ არის; ± ნაწილობრივი ზრდა.

დეზინფექტანტის ქლორშემცველი კომპონენტის აქტივატორის, ამონიუმის ქლორიდის, ჰიდროლიზის შედეგად წარმოქმნილი ქლორწყალბადი აქტიურებს N-ქლორ-4-ტოლუოლსულფამიდის ნატრიუმის მარილს და აქტიური ქლორის გამოყოფა ჩქარდება, ამავდროულად pH-ის მნიშვნელობაც მცირდება. წარმოქმნილი HCl, აგრეთვე, აქტიურებს ნატრიუმის პეროქსიკარბონატის დაშლის რეაქციას, რის შედეგადაც წარმოიქმნება ნატრიუმის ტუტე. ამდენად, ამ ორი პროცესის ერთდროული მიმდინარეობის გამო, წარმოქმნილი მჟავას და ტუტის რაოდენობის შესაბამისად pH გარკვეულ ზღვრებში ბალანსირდება. მჟავა არეს შესაქმნელად კომპოზიციას ემატება მჟაუნმჟავა, ძმარმჟავა ან მარილმჟავა.

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს პრეპარატი ტუტე არეშიც აქტიურია, რაც გამოწვეულია იმით, რომ ასეთ პირობებში მიმდინარეობს შემდეგი რეაქცია:



ამ დროს უანგბადი გამოიყოფა არ ტრიპლეტურ, არამედ ადგნებულ სინგლეტურ მდგომარეობაში, რაც განპირობებს მის მაღალ აქტიურობას.

ჩვენი ექსპერიმენტის პირობებში ნეიტრალური არეში კომპოზიციური დეზინფექტანტი არ არის აქტიური.

**სამუშაო შესრულებულია საქართველოს ეროვნული ფონდის ხელშეწყობით (გრანტი № GNSF/ST09\_709\_8-130). პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და არ ასახავს სამეცნიერო ფონდის შეხედულებას.**

#### ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. Вашков В.И. Антимикробные средства и методы дезинфекции. М., 1977, 295 с.
2. გ.ჩიმაკაძე, ზ.კურატაშვილი, ი.აბდუშელიშვილი, ვ.წერეთელი. ქიმიური დეზინფექტანტების მოქმედების მექანიზმები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია ტ.36, №2, 2010, 231-239.
3. Швецов А.Б., Козырева А.В., Седунов С.Г., Тараскин К.А. Хлорные дезинфектанты и их применение в современной водоподготовке. Молекулярные технологии, 3, 2009, 98-121
4. Фурман А.А. Хлорсодержащие окислительно-отбеливающие и дезинфицирующие средства. М., 1976, 180 с.
5. Церетели Б.С., Чимакадзе Г.А., Кураташвили З.А., Катамадзе Т.М. Изучение биоцидной активности некоторых композиционных препаратов. Известия национальной академии наук Грузии, серия химическая, т. 35, № 1, 2009, 99-101.
6. ვ.წერეთელი, ზ.კურატაშვილი, გ.ჩიმაკაძე. pH-ის გავლენა დეზინფექტანტის კომპონენტების ქიმიური გარდაქმნის მექანიზმებზე. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, 4, №1 (54), 2011, 133-135.
7. Бахир В.М., Леонов Б.И., Паничева С.А. и др. Химический состав и функциональные свойства хлор-содержащих дезинфицирующих растворов. Вестник новых медицинских технологий, № 4, 2003, с. 55-63.
8. Особенности активно действующих субстанций хлорсодержащих дезинфектантов. [http://www.dnpkalfa.com/index.files/fourex\\_chlor\\_analog2.htm](http://www.dnpkalfa.com/index.files/fourex_chlor_analog2.htm)
9. Водорода пероксид. 2001-2011 Онлайн-энциклопедия «Кругосвет». [www.krugosvet.ru/](http://www.krugosvet.ru/)

#### IMPROVEMENT OF MECHANISM OF CHLORINE-CONTAINING DISINFECTANT ACTION

Venedikt Tsereteli, Zigfrid Kuratashvili, Giorgi Chimakadze\*, Teimuraz Katamadze\*\*

Georgian Agricultural University, \*Gr.Robakidze University

\*\*G.Eliava Institute of Bacteriology, Microbiology and Virology

#### SUMMARY

Influence of interaction of active chlorine and active oxygen compositional disinfectant on biocidal activity of a preparation is studied. The action mechanism of disinfectant is improved. As actively operating substances are used N-hlor-4-toluolsulfamid sodium and peroxycarbonat of sodium. Check of bactericidal activity disinfectant was examined on an E.Coli and St. aureus.

#### УСОВЕРШЕНСТВОВАНИЕ МЕХАНИЗМА ДЕЙСТВИЯ ХЛОРСОДЕРЖАЩЕГО ДЕЗИНФЕКТАНТА

В.С.Церетели, З.А.Кураташвили, Г.Г.Чимакадзе\*, Т.М.Катамадзе\*\*

Грузинский аграрный университет, \*Университет им. Гр.Робакидзе

\*\*Институт бактериологии, микробиологии и вирусологии им. Г.Элиава

#### РЕЗЮМЕ

Изучено взаимовлияние веществ композиционного дезинфектанта, содержащих активный хлор и активный кислород на биоцидную активность препарата. Усовершенствован механизм действия дезинфектанта. В качестве активно действующих веществ использованы N-хлор-4-толуолсульфамид натрия и пероксикарбонат натрия. Проверка бактерицидной активности дезинфектанта проводилась на кишечную палочку (E.Coli) и золотистый стафилококк (St. aureus).

## ბიოლოგიურად აქტიური ნამრთები

მეზოტიკური მცენარეული ნედლეულიდან – ესპანური კურდღლისცოცხადან  
ბიოაქტიური ნამრთების მიღების ზოგიერთი ასპექტი

თენგიზ წიგნივაძე, რევაზ სხილაძე, ნოდარ ჩიგოგიძე, რევაზ კლდიაშვილი, გივი სულაქველიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო ცენტრი

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში გავრცელებული მეზოტიკური მცენარის – ესპანური კურდღლისცოცხას (*Spartium junceum* L.) აგებულება, მის სხვადასხვა ნაწილში ალკალოიდების, აგრეთვე, სხვა ნივთიერებების (მათ შორის მიკროელემენტები) თვისობრივი შედგენილობა და რაოდენობრივი შემცველობა, გამოვლენილ ნივთიერებათა მცენარეში დაგროვების დინამიკა, კურდღლისცოცხას თესლიდან ალკალოიდებისა და სამკურნალო პრეპარატების მიღების მეთოდოლოგია და ტექნოლოგია, შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე შესაბამისი დასკვნები და სამედიცინო პრაქტიკაში მათი გამოყენების პერსპექტივები/

მრავალრიცხოვან სამკურნალო მცენარეთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია პარკოსანთა ოჯახის მცენარეებს. საქართველოში პარკოსანთა ოჯახის 400-ზე მეტი სახეობა გვხვდება. მათ შორის, ერთ-ერთია მეზოტიკური ესპანური კურდღლისცოცხა, რომლის ალკალოიდური შედგენილობის შესახებ პირველი ცნობები გადმოცემულია სანისა და ხესის შრომებში, სადაც აღნიშნულია, რომ მასში არსებობს ალკალოიდი-სპარტეინი და ციტიზინი. ქართველი მეცნიერის ო. სარჯველაძის მიერ განსაზღვრულია საქართველოში გავრცელებული ესპანური კურდღლისცოცხას სხვადასხვა ნაწილში ალკალოიდთა რაოდენობა: ფესურასა და ღეროში 0,40%, ახალგაზრდა ტოტში 0,02%, ყვავილში 0,077%, თესლში 1,22%. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრაზილიაში გავრცელებული ესპანური კურდღლისცოცხა საერთოდ არ შეიცავს ალკალოიდებს, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ნიადაგ-კლიმატური პირობების გავლენას მცენარის ბიოქიმიურ შედგენილობასა და თვისებებზე.

მიუხედავად გარკვეული სამუშაოებისა, ბოლო პერიოდამდე შეუსწავლელი რჩებოდა საქართველოში გავრცელებული ესპანური კურდღლისცოცხას სრული ქიმიური შედგენილობა და მისი აგებულება. რ. სხილაძის მიერ ჩატარებულმა სამეცნიერო კვლევებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსწორებაში. მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ შესრულებულ სამუშაოთა ზოგიერთი შედეგი, დასკვნა, პარამეტრი, ბიოქიმიური კვლევის მაჩვენებელი ჯერ კიდევ საჭიროებდა გარკვეულ დაზუსტებას, სრულყოფასა და ბოლომდე გააზრებას. განსაკუთრებით ეს შეეხება ესპანური კურდღლისცოცხას სხვადასხვა ნაწილში ალკალოიდთა თვისობრივ შემცველობასა და რაოდენობრივ გაანგარიშებებს, ქრომატოგრაფიული კვლევისას Rf \_ ნივთიერებათა გადაადგილების მაჩვენებლებს და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზნად დავისახეთ დავედგინა კურდღლისცოცხაში როგორც ალკალოიდების, ასევე სხვა ნივთიერებების (საპონინები, გლიკოზიდები, ფლავონოიდები, ანტოციანინები, მთრიმლაკი ნივთიერებები) და მიკროელემენტების ზუსტი შემცველობა, შეგვესწავლა მათი დაგროვების დინამიკა მცენარეში, აგრეთვე გამოგვეკვლია ამ მცენარის ზოგიერთი ნაწილის მორფოლოგიური თავისებურებანი, შეგვეჩინა შესაფერისი მეთოდი და შეგვეშუქებინა ესპანური კურდღლისცოცხადან ალკალოიდების მიღების პროცესის ტექნოლოგია ლაბორატორიულ და ნახევრადქარხნულ პირობებში.

**ექსპერიმენტული ნაწილი.**

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ესპანური კურდღლისცოცხას ყვავილები, ფოთლები, მომწიფებული და მოუმწიფებელი თესლები, პარკები თესლის გარეშე, ღეროების ქერქი, ახალგაზრდა ტოტები და მცენარის ფესურები.

კურდღლისცოცხას შეგროვება მოხდა თბილისის შემოგარენში ერთსა და იმავე ადგილას, ერთსა და იმავე დროს (12<sup>00</sup>-დან 14<sup>00</sup> - საათამდე). დაღვნილ იქნა ესპანური კურდღლისცოცხას სხვადასხვა ნაწილის თანაფარდობა ვეგეტაციის სხვადასხვა პერიოდში. ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ყვავილობამდე მცენარის საერთო მასიდან, უმეტესი წილი მოდის ღეროების მასაზე, ხოლო ყვავილობისა და ყვავილობის შემდგომ პერიოდში – ახალგაზრდა ტოტებზე.



**ესპანური კურდღლისცოცხას სხვადასხვა ნაწილში ალკალოიდთა რაოდენობრივი შემცველობა.**

აღნიშნული მცენარის სხვადასხვა ნაწილის კვლევის დროს, მასში გამოვლინდა ალკალოიდთა არსებობა და ჩატარდა მათი რაოდენობრივი განსაზღვრა შემდეგნაირად: წინასწარ დაქუცმაცებული ჰაერ-მშრალი მასალა შევასველეთ 25%-იანი ამონიუმის ჰიდროქსიდით, დავაყოვნეთ 3-4 საათი და მოვახდინეთ ექსტრაგირება სოქსლეტის აპარატში ქლოროფორმით, ალკალოიდზე უარყოფით რეაქციამდე. ქლოროფორმიანი გამონაწვლილი ჯერ დავამუშავეთ 10%-იანი გოგირდმჟავის ხსნარით, ხოლო შემდეგ კი 2%-იანით, ალკალოიდთა მთლიან ამოღებამდე.

ალკალოიდების მჟავახსნარს დავამატეთ 25%-იანი ამონიუმის ჰიდროქსიდი, გავაჯერეთ ნატრიუმის ქლორიდით და ალკალოიდები გამოვწვლილეთ ქლოროფორმით. ქლოროფორმიანი ხსნარი გავაუწყლოეთ ნატრიუმის სულფატით, გამხსნელი გაფილტრეთ და ავაროთქლეთ, ნაშთი გავაშრეთ მუდმივ მასამდე და მისი მასის მიხედვით ვიმსჯელებთ ალკალოიდთა რაოდენობრივ შემცველობაზე ესპანური კურდღლისცოცხას სხვადასხვა ნაწილში.

რადგან კურდღლისცოცხას თესლი შეიცავს ცხიმებს, ქლოროფორმიანი გამონაწვლილის გოგირდმჟავით დამუშავების დროს წარმოიქმნება მდგრადი ემულსია, რაც აძნელებს ალკალოიდების განსაზღვრას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია მცენარეული ნედლეული წინასწარ გავაუცხიბოთ პეტროლეინის ეთერით. ეთერიდან ალკალოიდები გამოვწვლილეთ გოგირდმჟავის ხსნარით და დავამატეთ ძირითად გამონაწვლილს.

ალკალოიდთა რაოდენობრივი განსაზღვრით (ცხრილი 1) დადგენილია, რომ ესპანური კურდღლისცოცხას ახალგაზრდა ტოტები, ფოთლები და ყვავილები, მცენარის სხვა ნაწილებთან შედარებით, ალკალოიდების შემცველობით გაცილებით მდიდარია.

**ცხრილი 1.** ესპანური კურდღლისცოცხას სხვადასხვა ნაწილში ალკალოიდების რაოდენობრივი განსაზღვრის შედეგები

№ №	მცენარის ნაწილების დასახელება	მცენარეული ნედლეულის შეგროვების ადგილი	მცენარეული ნედლეულის შეგროვების დრო	ანალიზისათვის აღებული მცენარეული ნედლეულის რაოდენობა, გ	ანალიზისათვის აღებული მცენარეული ნედლეულში ტენის რაოდენობა, %	ალკალოიდების შემცველობა, გ	ალკალოიდების შემცველობა, %	ალკალოიდების შემცველობა, % გადაანგარიშებული აბსოლუტურად მშრალ მასალაზე
1.	ფოთლები	თბილისი	25.IV.09	25	8,55	0,3180	1,2740	1,3945
2.	ახალგაზრდა ტოტები	„	25.IV.09	25	8,25	0,1894	1,9565	2,1300
3.	ყვავილები	„	25.V.09	25	11,60	0,2080	0,9500	1,0735
4.	ღეროს ქერქი	„	25.IV.09	25	7,34	0,1962	0,7866	0,8164
5.	მოუმწიფებელი თესლი	„	25.VII.09	25	6,72	18,90	0,7550	0,8090
6.	მომწიფებული თესლი	„	25.VIII.09	25	7,35	33,60	1,3445	1,4520
7.	მოუმწიფებელი პარკები თესლის გარეშე	„	25.VII.09	25	8,10	0,0955	0,3810	0,4145
8.	პარკები თესლის გარეშე	„	25.VIII.09	25	9,45	0,1130	0,4500	0,4970
9.	ფესურა	„	25.IV.09	25	7,98	0,1550	0,6184	0,6715

**ესპანური კურდღლისცოცხას სხვადასხვა ნაწილში ალკალოიდების დაგროვების დინამიკა.**

სამრეწველო მიზნით მცენარეული ნედლეულის შეგროვებისათვის, ეკონომიკური თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს წლის რომელ პერიოდშია შეგროვილი ნედლეული ალკალოიდების მაქსიმალური შემცველობისათვის. ჩვენ შევისწავლეთ ალკალოიდების დაგროვების დინამიკა ესპანური

კურდღლისცოცხას სხვადასხვა ნაწილში, რომლებიც შეგროვილია თბილისის შემოგარენში მცენარის ვეგეტაციის სხვადასხვა პერიოდში. კვლევის მონაცემები მოტანილია ცხრილში 2.

როგორც ცხრ. 2-დან ჩანს, ესპანური კურდღლისცოცხას ყველა ნაწილში ალკალოიდების შემცველობა მაქსიმუმს აღწევს აპრილის თვეში. შემდგომ, აგვისტომდე, ალკალოიდების შემცველობა მკვეთრად მცირდება, ხოლო სექტემბრიდან ალკალოიდების შემცველობის შემცირება შედარებით მდორედ მიმდინარეობს და მინიმუმს აღწევს იანვრში. როგორც კვლევის შედეგად გამოვლინდა, კურდღლისცოცხაში ალკალოიდების მაქსიმალურ რაოდენობას შეიცავს მისი ახალგაზრდა ტოტები, თესლები და ფოთლები. ჩვენი დასკვნით, ყველაზე რენტაბელურია ალკალოიდების მიღება ესპანური კურდღლისცოცხას თესლიდან, რომელიც განსაკუთრებით მდიდარია ალკალოიდებით (ცხრილი 1.) და არავითარ შემთხვევაში ფოთლებიდან და ახალგაზრდა ტოტებიდან, რამეთუ ამ ნაწილების შეგროვებამ აღნიშნულ პერიოდში ალკალოიდების მისაღებად, შეიძლება გამოიწვიოს თავად მცენარის ფიზიკური განადგურება.

**ესპანურ კურდღლისცოცხაში ალკალოიდების შემცველობის შესწავლა ქალაღზე ქრომატოგრაფიის მეთოდით.** ჩვენს მიერ ამ მეთოდით შესწავლილია კურდღლისცოცხას სხვადასხვა ნაწილიდან მიღებული ალკალოიდების თვისობრივი შედგენილობა. ქრომატოგრაფიისათვის მოძრავი ფაზის სახით გამოყენებულია გამხსნელის სისტემა: ბუტანოლი – ყინულოვანი ძმარმჟავა-წყალი (თანაფარდობა 4:1:5). ქრომატოგრაფიის გამჟღავნებისათვის გამოვიყენეთ დრაგენდორფის სახეშეცვლილი რეაქტივი. პარალელურად ქალაღზე ქრომატოგრაფირება ჩატარდა ალკალოიდ ციტიზინის ნიმუშის სტანდარტით, რომელიც გამოყენებულ სისტემაში იძლევა ლაქას, მნიშვნელობით  $R_f=0,27$ .

ესპანური კურდღლისცოცხას სხვადასხვა ნაწილის ქალაღზე ქრომატოგრაფირებამ მოგვცა შემდეგი სურათი:

- ა) ფოთლებში 8 ალკალოიდი, მნიშვნელობებით:  $R_f = 0,04; 0,08; 0,12; 0,18; 0,27; 0,37; 0,48; 0,63$ .
- ბ) ახალგაზრდა ტოტებში 3 ალკალოიდი, მნიშვნელობებით:  $R_f = 0,08; 0,27; 0,37$ .
- გ) ღეროს ქერქში 1 ალკალოიდი:  $R_f = 0,27$ .
- დ) თესლში 6 ალკალოიდი:  $R_f = 0,27; 0,37; 0,48; 0,54; 0,59; 0,65$ .
- ე) უთესლო მომწიფებულ პარკში 2 ალკალოიდი:  $R_f = 0,27; 0,65$ .
- ვ) მოუმწიფებელ თესლში 4 ალკალოიდი:  $R_f = 0,27; 0,37; 0,48; 0,54$ .
- ზ) უთესლო მოუმწიფებელ პარკში 2 ალკალოიდი:  $R_f = 0,27; 0,65$ .
- თ) ფესურაში 4 ალკალოიდი:  $R_f = 0,27; 0,37; 0,48; 0,65$ .

როგორც მონაცემებიდან ჩანს, მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს ალკალოიდ ციტიზინს ( $R_f = 0,27$ ). კურდღლისცოცხას ფოთლები და ყვავილები, ციტიზინის გარდა, შეიცავს ალკალოიდებს მნიშვნელობებით:  $R_f = 0,04; 0,08; 0,12; 0,18; 0,37; 0,48$  მაშინ, როდესაც ამ მცენარის სხვა ნაწილებში ალკალოიდები მნიშვნელობებით:  $R_f = 0,04; 0,12; 0,18$  არ არის ნაპოვნი.

ქალაღზე ქრომატოგრაფიით დადგენილია, რომ კურდღლისცოცხას მომწიფებული თესლი შეიცავს 6 ალკალოიდს, ხოლო მოუმწიფებელი თესლი – 4. ალკალოიდები მნიშვნელობებით:  $R_f = 0,59$  და  $0,65$  არ არის აღმოჩენილი მოუმწიფებელ თესლში. მოუმწიფებელი და მომწიფებელი პარკების ქრომატოგრაფიის შედარებით დადგენილია, რომ პირველი შეიცავს მცირე რაოდენობით ალკალოიდს მნიშვნელობით,  $R_f = 0,65$  მაშინ, როდესაც მეორეში მისი რაოდენობა მეტია.

ჩვენი და ლიტერატურაში არსებული მონაცემების შედარებისას ალკალოიდური შედგენილობის *Thermopsis lanceolata* მიმართ, ქალაღზე ქრომატოგრაფიის განაწილებით დადასტურებულია, რომ: 1) ესპანური კურდღლისცოცხას ყვავილები შეიცავს ანაგირინს, მეთილციტიზინს, ციტიზინს, თერმოპსინს და პაქიპარკინს; 2) კურდღლისცოცხას ახალგაზრდა ტოტში არის – ანაგირინი, ციტიზინი და ჯერჯერობით უსახელო ალკალოიდი მნიშვნელობით  $R_f = 0,37$ ; 3) თესლი შეიცავს ციტიზინს, თერმოპსინს, ჰემოთერმოპსინს, პაქიპარკინს და ნივთიერებებს მნიშვნელობებით:  $R_f = 0,37$  და  $0,59$ ; 4) მოუმწიფებელ თესლში არის – ციტიზინი, თერმოპსინი, ჰემოთერმოპსინი და უსახელო ალკალოიდი  $R_f = 0,37$ ; 5) პარკები თესლის გარეშე, როგორც მომწიფებული, ასევე მოუმწიფებელი, შეიცავს ციტიზინს და პაქიპარკინს; 6) ფესურაში არის – ციტიზინი, თერმოპსინი და ალკალოიდი, ჯერჯერობით უსახელო, მნიშვნელობით  $R_f = 0,37$ .

ცხრილი 2. ესპანური კურდლისცოცხას სხვადასხვა ნაწილში ალკალოიდების დაგროვების დინამიკა

№ №	ნედლეულის მცენარეული შერეობის დრო	ნედლეულის რაოდენობა ანალიზისათვის, გ	ესპანური კურდლისცოცხას ნაწილების დასახელება															
			ფოთლები				ანალოგაზრდა ტოტები				ღეროს ქერქი				ფესურა			
			შეფერილი ნედლეულში ტენის რაოდენობა, %	ალკალოიდების შემცველობა, გ	ალკალოიდების შემცველობა, %	ალკალოიდების შემცველობა, %	აღებულ მასალაში ტენის შემცველობა, %	ალკალოიდების შემცველობა, გ	ალკალოიდების შემცველობა, %	ალკალოიდების შემცველობა, %	აღებულ მასალაში ტენის შემცველობა, %	ალკალოიდების შემცველობა, გ	ალკალოიდების შემცველობა, %	ალკალოიდების შემცველობა, %	აღებულ მასალაში ტენის შემცველობა, %	ალკალოიდების შემცველობა, გ	ალკალოიდების შემცველობა, %	ალკალოიდების შემცველობა, %
1.	იანვარი	25	-	-	-	-	8,85	0,0287	0,1118	0,1252	8,40	0,0254	0,1016	0,1109	9,09	0,0285	0,1140	0,1376
2.	თებერვალი	25	-	-	-	-	7,89	0,0453	0,1812	0,1967	8,05	0,0361	0,1414	0,1570	8,87	0,0411	0,1644	0,1804
3.	მარტი	25	8,04	0,2399	0,9596	1,0434	8,12	0,2454	0,9816	1,0683	8,20	0,1191	0,1764	0,5189	9,15	0,1256	0,4912	0,5347
4.	აპრილი	25	8,58	0,3186	1,2714	1,3940	8,18	0,4891	1,9564	2,1306	7,31	0,1966	0,7864	0,8160	7,94	0,1545	0,6180	0,6713
5.	მაისი	25	7,66	0,1833	0,7332	0,7940	7,01	0,2101	0,8404	0,9037	6,66	0,1602	0,6408	0,6865	8,11	0,1415	0,5660	0,6159
6.	ივნისი	25	6,02	0,1500	0,6000	0,6384	6,08	0,0959	0,3136	0,4084	6,05	0,1485	0,5940	0,6322	6,99	0,1357	0,5228	0,5614
7.	ივლისი	25	6,33	0,0986	0,3944	0,4215	6,91	0,0740	0,2960	0,3179	7,01	0,1058	0,4212	0,4529	7,85	0,0911	0,3644	0,3954
8.	აგვისტო	25	-	-	-	-	6,11	0,0718	0,2872	0,3058	6,21	0,0794	0,3174	0,3384	8,04	0,0707	0,2828	0,3074
9.	სექტემბერი	25	-	-	-	-	7,14	0,0625	0,2500	0,2691	7,25	0,0574	0,2296	0,2175	9,06	0,0491	0,1964	0,2136
10.	ოქტომბერი	25	-	-	-	-	7,55	0,0589	0,2356	0,2548	7,79	0,0510	0,2040	0,2221	8,76	0,0455	0,1820	0,1994
11.	ნოემბერი	25	-	-	-	-	8,02	0,0533	0,2062	0,2209	8,16	0,0451	0,1804	0,1964	8,99	0,0399	0,1796	0,1973
12.	დეკემბერი	25	-	-	-	-	8,14	0,0315	0,1260	0,1371	8,22	0,0296	0,1184	0,1290	9,18	0,0316	0,1264	0,1391

**ესპანური კუდლისცოცხას თესლიდან მიღებული ალკალოიდები.**

ამ მცენარიდან ალკალოიდების გამოყოფისათვის გამოვიყენეთ ქვემოაღწერილი მეთოდი: 20კგ ჰაერ-მშრალი თესლი წინასწარ გავაუცხიმოვნეთ ეთერით. გამონაწვლილი დავამუშავეთ 2%-იანი გოგირდმჟავას ხსნარით ალკალოიდების სრულ გამოწვლილვამდე. მჟავახსნარი (ხსნარი „ა“) შევინახეთ. გაუცხიმოვნებული თესლი შევატუტიანეთ 25%-იანი ხსნარით (ამონიუმის ჰიდროქსიდი), დავაყოვნეთ 4 საათი და ქლოროფორმიანი გამოწვლილვით მივიღეთ მაცერაციანი. ქლოროფორმიანი გამოწვლილვა გავაერთიანეთ და ვაკუუმში შევასქელეთ მოცულობის ნახევრამდე. ალკალოიდები, ქლოროფორმიანი ხსნარიდან გამოწვლილვით ვერ 10%-იანი გოგირდმჟავის ხსნარით, შემდეგ „ა“ ხსნარით და ბოლოს 2%-იანი გოგირდმჟავით.

გაერთიანებული მჟავაგამოწვლილი შევატუტიანეთ 25%-იანი ამონიუმის ტუტით (ტემპერატურა 20°C) და გამოწვლილვით ვერ ეთილის ეთერით – ფრაქცია A, ხოლო შემდგომ ქლოროფორმით – ფრაქცია B.

ეთერით და ქლოროფორმით გამონაწვლილი გავაუწყლოეთ ნატრიუმის სულფატით და ხსნარი გავფილტრეთ. A ფრაქციიდან მივიღეთ 13გ (0,065%) ზეთისებრი მუქი მასა, ხოლო B ფრაქციიდან – 22,5გ (1,125%) ყვითელი კრისტალური მასა, რომელიც დაფარულია მუქი ფერის ფისოვანი შრით.

ქალაღზე ქრომატოგრაფირებამ გვიჩვენა, რომ A – ფრაქცია შეიცავს 6 ალკალოიდს მნიშვნელობით:  $R_f = 0,27; 0,37; 0,48; 0,54; 0,59; 0,65$ , ხოლო B ფრაქციაში აღმოჩნდა ალკალოიდები მნიშვნელობით:  $R_f - 0,59$  და  $0,65$ .

აქედან გამომდინარე, ცალ-ცალკე დავამუშავეთ ეს ფრაქციები. მეთანოლში B ფრაქციის გახსნისას გამოიყო კრისტალური ნაერთი, რომელიც გამოვაცალკევეთ და პირობითად ვუწოდეთ „C“ ნივთიერება. დედახსნარი დავლექეთ ალკალოიდთა მარილებით. ეთანოლიდან მისი ფრაქციული გადაკრისტალებით მივიღეთ ალკალოიდი „B“ ნიტრატის სახით.

დარჩენილ ალკალოიდთა ჯგუფიდან, ფუძოვან მდგომარეობაში გადაყვანის შემდეგ, გამოიყო ალკალოიდი „A“ და ალკალოიდური ფრაქცია ზეთისებრი მასის სახით.

ორჯერადი გადაკრისტალების შემდეგ განისაზღვრა გამოყოფილი ნივთიერებების დნობის ტემპერატურები,  $R_f$ -ის მნიშვნელობები, მოლეკულური მასები, ჩატარდა ნაერთთა ელემენტური ანალიზები და სხვ.

ნივთიერება „A“: მნიშვნელობა  $R_f = 0,27$ ; დნობის ტემპერატურა 153°C; მოლეკულური მასა 190,4.

ნაპოვნია, %: C 69, 35; H 7, 41; N 14, 63.

გამოთვლილი  $C_{11}H_{14}ON_2$ , %-Si: C 69, 44; H 7, 42; N 14, 73.

ლიტერატურაში აღწერილი ალკალოიდ ციტიზინის დნობის ტემპერატურა 151 ან 157°C; მოლეკულური მასა 190, 24.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ჩვენს მიერ მიღებული „A“ ნივთიერება, ლიტერატურაში აღწერილი ალკალოიდის ციტიზინის სრული იდენტურია. ზემოთქმულის დასტურია „A“ ნივთიერების წარმოებულის მიღება, სახელდობრ, პიკრატი და პერქლორატი. „A“ ნივთიერების პიკრატის დნობის ტემპერატურა 277°C, ხოლო პერქლორატისა 296°C მაშინ, როდესაც ლიტერატურაში აღწერილი ციტიზინის პიკრატისა და პერქლორატის შესაბამისი დნობის ტემპერატურები 277°-290°C და 275°-298°C ტოლია. ამ კონკრეტულმა მონაცემებმა საბოლოოდ დავგარწმუნა, რომ ჩვენს მიერ გამოყოფილი A ნივთიერება ნამდვილად არის ალკალოიდი – ციტიზინი.

ნივთიერება „C“: მნიშვნელობა  $R_f = 0,17$ ; დნობის ტემპერატურა 153°C; მოლეკულური მასა 175,4.

ნაპოვნია, %: C 75, 45; H 7,65; N 8,00.

ფიზიკურ-ქიმიური თვისებებისა და ანალიზის მონაცემების საფუძველზე მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მიღებული კრისტალური ნივთიერება C არის ახალი, ლიტერატურაში დღემდე უცნობი ალკალოიდი. ჩვენ მას ვუწოდეთ **სპარტირინი**. იგი მოყავისფერო თეთრი ნივთიერებაა, იხსნება წყალსა და სპირტში; არ იხსნება ეთერში, ბენზინსა და პეტროლეინის ეთერში, ნაწილობრივ იხსნება ქლოროფორმში, დიქლორეთანსა და აცეტონში.

ნივთიერება „B“ (ნიტრატის სახით): მნიშვნელობა  $R_f = 0,18$ ; დნობის ტემპერატურა 221°C, მოლეკულური მასა 317,9.

ნაპოვნია, %: C 57, 60; H 7,68; N 13, 33.

გამოთვლილი,  $C_{15}H_{24}ON_2 \cdot HNO_3$ , %-Si: C 57, 85; H 8, 09; N 13, 49.

წარმოდგენილი ექსპერიმენტული მასალების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ მიღებულია ახალი ალკალოიდი B (ნიტრატის სახით).

ესპანური კურდლისცოცხას თესლიდან ჩვენს მიერ გამოყოფილი ალკალოიდების ზოგიერთი ძირითადი მაჩვენებელი მოცემულია ცხრილში 3.

**ცხრილი 3.** ესპანური კურდლისცოცხას თესლიდან გამოყოფილი ალკალოიდების მაჩვენებლები

აღებული მასალის რაოდენობა, გ	აღებული ალკალოიდების ნარევის მასა, გ	გამოყოფილი ალკალოიდების დასახელება								
		ციტიზინი (A)			ახალი ალკალოიდი ნიტრატის სახით (B)			ახალი ალკალოიდი ფუძის სახით (C)		
		გ	გადაანგარიშებულია, %		გ	გადაანგარიშებულია, %		გ	გადაანგარიშებულია, %	
			ჯამური ალკალოიდები	თესლში		ჯამური ალკალოიდები	თესლში		ჯამური ალკალოიდები	თესლში
2000	225	159,8	71,02	0,799	0,09	0,04	0,0004	1,05	0,46	0,0052

**ცხიმის მასის დამუშავება.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენს მიერ მიღებულია ალკალოიდური ფრაქციები ცხიმოვანი მასების სახით (მარილების სახით). მათგან ფუძის სახით სუფთა ალკალოიდების გამოსაყოფად, ისინი გავსენით წყალში, დავამატეთ 25%-იანი ამონიუმის ჰიდროქსიდი, გავაჯერეთ ნატრიუმის ქლორიდით და გამოვწვლილეთ ქლოროფორმით. ქლოროფორმის გამოწვლილის გაუწყლოებისა და გამხსნელის გადაღვის შემდეგ დარჩა ზეთისებრი სითხე, რომელიც იძლევა რეაქციას ალკალოიდზე.

რადგან ზემოაღნიშნული ზეთისებრი მასიდან ძალიან გართულდა ალკალოიდთა მარილების მიღება კრისტალური სახით და მათი გარდაქმნა ზოგიერთი წარმოებულის სახით (ანალოგიური სურათი მიიღებოდა ეთეროვანი ფრაქციის დამუშავებისას), გადავწყვიტეთ შეგვეერთებინა იგი ეთეროვან ფრაქცია A-თან და მოვეხდინა ალკალოიდთა მასის დაყოფა ალკალოიდთა ფუძოვნობის მიხედვით. ამ მიმართულებით, ჩატარებული სამუშაოების მიუხედავად, ჩვენ ვერ შევძელით რომელიმე ფრაქციიდან მიგველო ინდივიდუალური ალკალოიდი შემდგომი შესწავლისთვის.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელი შეიქნა მცენარის თესლიდან შედარებით დიდი რაოდენობით ალკალოიდთა ფრაქციების მიღება, რაც გახდა ჩვენი შემდგომი გამოკვლევების საგანი.

**მონაცემები ესპანური კურდლისცოცხას სხვადასხვა ნაწილში სხვა ნივთიერებათა შემცველობის შესახებ.** ჩვენს მიერ ჩატარებული თვისობრივი რეაქციებით შემოწმებულია გლიკოზიდების, ფლავონოიდების, ანტოციანინების, მთრიმლაკი ნივთიერებების და საპონინების შემცველობა კურდლისცოცხას სხვადასხვა ნაწილში. კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილში 4.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ესპანური კურდლისცოცხაში არ არის მთრიმლაკი ნივთიერებები და საპონინები. ასევე დადასტურებულია, რომ კურდლისცოცხას ყვავილები, ფოთლები და თესლები გამოირჩევიან ფლავონოიდების დიდი შემცველობით მაშინ, როდესაც მის სხვა ნაწილებში ისინი მცირე რაოდენობითაა ნაპოვნი.

ესპანური კურდლისცოცხას სხვადასხვა ნაწილის ფლავონოიდების ქალაქ-ქრომატოგრაფიულმა ანალიზმა (გამხსნელის სისტემა: ნ-ბუტანოლი-ყინულოვანი ძმარმჟავა-წყალი, თანაფარდობა 4:1:5; ქრომატოგრაფების გამჟღავნება ჩატარდა ნატრიუმის ჰიდროქსიდის 10%-იანი ხსნარით) გვიჩვენა, რომ მცენარის ფოთლებში არის 6 ფლავონოიდი ( $R_f = 0,25; 0,31; 0,39; 0,50; 0,57; 0,87$ ), ახალგაზრდა ტოტში

2 ფლავონოიდი ( $R_f = 0,31; 0,54$ ), ღეროს ქერქში 1 ფლავონოიდი ( $R_f = 0,91$ ), თესლში 6 ფლავონოიდი ( $R_f = 0,09; 0,25; 0,39; 0,54; 0,71; 0,82$ ), თესლის გარეშე პარკებში 4 ფლავონოიდი ( $R_f = 0,20; 0,34; 0,54; 0,87$ ), მოუმწიფებელ თესლში – 3 ( $R_f = 0,25; 0,43; 0,80$ ), მოუმწიფებელ პარკებში – 2 ( $R_f = 0,20; 0,48$ ) და ქერქში – 1 ( $R_f = 0,91$ ).

**ცხრილი 4.** ესპანურ კურდღლისცოცხაში გლიკოზიდების, ფლავონოიდების, ანტოციანების, საპონინების და მთრიმლაკე ნივთიერებების შემცველობის ანალიზის შედეგები

№ ქმ	ესპანური კურდღლისცოცხას ნაწილების დასახელება	შეგროვების ადგილი	შეგროვების დრო	გლიკოზიდი		ფლავონოიდი		ანტოციანები	საპონინები			მთრიმლაკე ნივთიერებები		
				ბალეს რეაქცია	ლემბლოს რეაქცია	სინოლის სინჯი (Mg-ის ფხვნილი + კონც. HCl)	NaOH-ის 10%-იანი ხსნარი	კონც. HCl	კონც. H <sub>2</sub> SO <sub>4</sub>	ქაფების მიღება	ჰემლიზი	რკინა ტრიქლორიდის ხსნარი	რკინა-ალუმინის შაბი	ფულატიანის ხსნარი
1.	ფოთოლი	თბილ.	25.V.09	კვალის სახით	-	+++	+++	-	-	+++	-	-	-	-
2.	ასალგაზრდა ტოტი	„	„	„	-	+	+	-	-	+++	-	-	-	-
3.	ყვავილი	„	„	++	-	+++	+++	-	-	+++	-	-	-	-
4.	ღეროს ქერქი	„	„	-	-	+	+	-	-	+++	-	-	-	-
5.	თესლი	„	15.VIII.09	კვალის სახით	-	+++	+++	+	-	+++	-	-	-	-
6.	პარკი	„	„	„	-	+	+	-	-	+++	-	-	-	-
7.	უთესლოდ მოუმწიფებელი თესლი	„	1.VII.09	„	-	++	++	-	-	+++	-	-	-	-
8.	მოუმწიფებელი პარკი	„	„	„	-	++	++	-	-	+++	-	-	-	-
9.	უთესლოდ ფესურა	„	25.V.09	-	-	+	+	-	-	+++	-	-	-	-

აღსანიშნავია, რომ კურდღლისცოცხას სხვადასხვა ნაწილი, გარდა ფოთლებისა და ყვავილებისა, ფლავონოიდების შემცველობის მხრივ, მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც ფლავონოიდების ხარისხობრივი შედგენილობით, ასევე რაოდენობრივი შემცველობით.

**ესპანური კურდღლისცოცხას ცხიმოვანი ზეთი.** როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებიდან ჩანს, კურდღლისცოცხას თესლი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ნედლეული ალკალოიდების, კერძოდ კი ციტიზინის მისაღებად.

თუ ესპანური კურდღლისცოცხას თესლს გამოვიყენებთ როგორც სამრეწველო ნედლეულს ალკალოიდების მიღებისათვის, მაშინ თავისთავად იგულისხმება, რომ მისი თესლიდან გამოყოფილი ზეთის გამოყენებას, როგორც დამატებით პროდუქტს, შეიძლება ჰქონდეს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. ცხიმოვანი ზეთის რაოდენობრივი განსაზღვრისთვის გამოვლილვა ჩატარდა სოქსლეთის აპარატში ეთილის ეთერით. გამონაწვლილი გაფილტრეთ, გამსნელი მოვაშორეთ, ხოლო შემდეგ დავადგინეთ, რომ ესპანურ კურდღლისცოცხას თესლში ზეთის შემცველობა 11,3%-ის ტოლია.

გამონაწვლილი ცხიმოვანი ზეთი გავასუფთავეთ ალკალოიდებისგან გააქტივებული ნახშირით დამუშავებით, რის შედეგადაც მივიღეთ მომწვანო-მოყვითალო სითხე დამახასიათებელი სუნით და შემდეგი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრებით: სიმკვრივე 0,922; რეფრაქცია (20°C) 1,477; მჟავური რიცხვი 3,55; გასაბნების რიცხვი 197,9; იოდური რიცხვი 136.

ესპანურ კურდღლისცოცხაში მიკროელემენტების შემცველობის შესახებ. საკვლევი მცენარის სხვადასხვა ნაწილში სპექტრალური ანალიზის მეთოდით დადგენილია მიკროელემენტების: Na, K, Ca, Al, Fe, Ni, Cu, Ba, Sr, Si, Cr, Mo შემცველობა.

ესპანური კურდღლისცოცხას თესლიდან პრეპარატების მიღება. ამ მცენარის ალკალოიდები – ანაგარინი, სპარტეინი, ციტიზინი, მეთილციტიზინი, როგორც ცნობილია, ფარმაკოლოგიური მოქმედებით მიეკუთვნება განგლიონარულ შხამებს.

დღეისათვის, სამედიცინო პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ალკალოიდი ციტიზინი – საინექციო ხსნარის სახით (ციტიტონის სახელწოდებით), რომელიც, ლობელინის მსგავსად, ხასიათდება სპეციფიკური აღმზნები მოქმედებით სასუნთქ ცენტრებზე და ამავე დროს გავლენას ახდენს რეფლექტორულ სუნთქვაზე.

ცნობილია, რომ ინდივიდურ ალკალოიდს ხშირად აქვს განსხვავებული ფარმაკოლოგიური მოქმედება, ვიდრე ალკალოიდთა ჯგუფს. აქედან გამომდინარე, ჩვენ გადავწყვიტეთ ესპანური კურდღლისცოცხას თესლიდან დაგვეზადებინა პრეპარატები ალკალოიდთა ჯგუფის მარილების სახით და შეგვესწავლა მათი ფარმაკოლოგიური აქტივობა.

ესპანური კურდღლისცოცხას თესლიდან ალკალოიდთა ნაკრების მიღების ტექნოლოგიური პროცესის შემუშავების დროს, შესაბამისი ექსპერიმენტული სამუშაოების ჩატარების შემდეგ, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ქლოროფორმი წარმოადგენს უფრო შესაფერის გამხსნელს საკვლევი მცენარის თესლიდან ალკალოიდების გამოსაწვლილად. იმის გამო, რომ ქლოროფორმი ძვირადღირებული გამხსნელია, თუ დადგება საკითხი ნახევრადქარხნული მეთოდით ტექნოლოგიური პროცესის დამუშავებაზე, აუცილებელი გახდება ნედლეულის გამოწვლილვა ჩატარდეს ალტერნატიული გამხსნელის გამოყენებით – დაჟანგული წყლით და მხოლოდ ამის შემდეგ, სითხიდან მოქმედი ნივთიერების გამოწვლილვა ქლოროფორმით.

ესპანური კურდღლისცოცხადან ალკალოიდების ნაკრების მიღების ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში: ჰერ-შმრალი დაქუცმაცებული თესლი ეთილის ეთერით გამოიწვლილება ცხიმოვანი ზეთის სრულ მოშორებამდე. ცხიმგაცლილი თესლი შესველდება 8%-იანი ამონიუმის ჰიდროქსიდით და გამოიწვლილება ქლოროფორმით მაცერაციის შერეული მეთოდით-პერეოლიაცია პერკოლიატორებში. მიღებული გამონაწვლილი შესქელდება ვაკუუმის ქვეშ და ალკალოიდების ნაკრები გამოიწვლილება 10%-იანი გოგირდმჟავის ხსნარით. ალკალოიდების მჟავის ხსნარს დავამატეთ 25%-იანი ამონიუმის ჰიდროქსიდი, გავაჯერეთ ნატრიუმის ქლორიდით და გამოწვლილეთ ქლოროფორმით უარყოფით რეაქციამდე ალკალოიდებზე.

ქლოროფორმიანი სითხე გავაუწყლოეთ და გამხსნელი ავორთქლეთ, რის შედეგადაც მივიღეთ შესქელებული ფისისებური მასა – ალკალოიდების ნაკრები, რომელიც გავხსენით ეთანოლის მცირე რაოდენობაში და დავუმატეთ კონცენტრირებული აზოტმჟავა ალკალოიდების სრულ გამოლექვამდე (pH = 5-6). მიღებული ნალექი (ალკალოიდთა ნიტრატები) გავფილტრეთ, ეთანოლიდან გადავკრისტალეთ და გავაშრეთ 105°C ტემპერატურაზე. გამოყოფილ მოყვითალო ფერის კრისტალურ ნივთიერებას ვუწოდეთ „სპარტეინი“. მისი გამოცალკევების შემდეგ დარჩენილი დედახსნარი შევასქელეთ ვაკუუმში საერთო მოცულობის 20%-მდე, რომლის გაცივებით გამოიყო კრისტალური ნივთიერება და ვუწოდეთ „იუნციინი“. ორივე ეს ნივთიერება – „სპარტეინი“ და „იუნციინი“, კარგად იხსნება წყალში, ძნელად – სპირტში, თითქმის არ იხსნება ეთერში, ქლოროფორმში და დიქლორეთანში.

მიღებული პრეპარატების („სპარტეინი“ და „იუნციინი“) ბიოლოგიურ აქტივობაზე ჩატარებული ცდების შედეგად დადგენილია, რომ აღნიშნული ნივთიერებები ბიოლოგიურად აქტიურებია და ახდენენ ძლიერგამაღიზიანებელ მოქმედებას სასუნთქ ცენტრებზე და მნიშვნელოვან გავლენას სისხლის წნევაზე.

ჩვენს მიერ ჩატარებულია აგრეთვე გარკვეული სამუშაოები აღნიშნული პრეპარატების მიღების ლაბორატორიული მეთოდების გამარტივებისა და სრულყოფისათვის. ამის ერთ-ერთი მაგალითია ის, რომ ზემოაღნიშნულ მეთოდში ქლოროფორმული გამოწვლილვა ჩავანაცვლეთ 10%-იანი გოგირდმჟავით გამოწვლილვით და 25%-იანი ამონიუმის ჰიდროქსიდის დამატებით.

გამარტივებული მეთოდით მიღებული ნივთიერებების ფარმაკოლოგიურმა გამოცდამ გვიჩვენა, რომ ისინი თავისი მოქმედებით, წინა მეთოდით მომზადებული პრეპარატების იდენტურია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველად მოწოდებულია ესპანური კურდღლისცოცხადან პრეპარატების მიღების ჩვენს მიერ სრულყოფილი ლაბორატორიული (ნახევრადქარხნული) მეთოდის შემდეგი სქემა:

1. თესლის მომზადება გამოსაწვლილვად. თესლის გასუფთავება პარკებისგან (ბურბუშელასგან);
2. თესლის დაქუცმაცება;
3. ცხიმისანი ზეთის გამოწვლილვა;
4. მჟავური ხსნარის შეტუტიანება (25%-იანი ამონიუმის ჰიდროქსიდით);
5. გამონაწვლილვის გაფილტვრა და სითხის შესქელება ვაკუუმში;
6. მიღებული ნალექის გახსნა ეთანოლში და ალკალოიდების დალექვა კონცენტრირებული აზოტმჟავით სუსტმჟავა რეაქციაში;
7. ნალექის დაცალკეება ხსნარიდან;
8. გადაკრისტალება ეთანოლიდან;
9. დედახსნარისა და ჩასარეცხი სითხეების შესქელება ვაკუუმში;
10. გამოყოფილი ნივთიერების დაცალკეება სითხისაგან;
11. გადაკრისტალება ეთანოლიდან;
12. მიღებული კრისტალური ნივთიერებების შრობა.

**ესპანური კურდღლისცოცხას აღნაგობა.** იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კურდღლისცოცხას კვებატორი ორგანოების აგებულების სპეციალური შესწავლით დღემდე არავინ დაინტერესებულა, ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვესო ეს ხარვეზი. ამ მიზნით ჩავატარეთ კურდღლისცოცხას ფოთლების, ყვავილების, ტოტებისა და თესლების მიკროსკოპული კვლევა, რის შედეგადაც გამოვლინდა დიაგნოსტიკური ნიშან-თვისებები.

**დასკვნები.** საქართველოში გავრცელებული ესპანური კურდღლისცოცხას (*Spartium jinceum* L.) მცენარე მდიდარია ალკალოიდებით: თესლი – 1,34%, ფოთლები – 1,27%, ახალგაზრდა ტოტები – 1,95%, ყვავილები – 0,95%, პარკი თესლის გარეშე – 0,45%, ღეროს ქერქი – 0,78%, ფესურა – 0,61%, ე.ი. მთლიანობაში, ალკალოიდების ჯამი შეადგენს დაახლოებით 8%. მოქმედ ნივთიერებათა გავრცელებისა და შემცველობის მიხედვით, იგი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც სამრეწველო ნედლეული, სამკურნალო პრეპარატების დასამზადებლად.

ესპანური კურდღლისცოცხას ფოთლებში, ახალგაზრდა ტოტებში, ღეროს ქერქსა და ფესურაში ალკალოიდების დაგროვების დინამიკის შესწავლით დადასტურებულია, რომ:

- გამოკვლეული კურდღლისცოცხას ყველა ნაწილი ალკალოიდების მაქსიმალურ რაოდენობას შეიცავს ყვავილობამდე;
- მცენარის ყვავილობამდე, მის სხვა ნაწილებთან შედარებით, ალკალოიდების შემცველობით, ყველაზე მდიდარია ახალგაზრდა ტოტები და ფოთლები.

ესპანური კურდღლისცოცხას მრეწველობაში გამოყენების შემთხვევაში, მცენარის განადგურების თავიდან ასაცილებლად, სამრეწველო ნედლეულად ყველაზე უკეთესია გამოვიყენოთ მისი თესლი.

კურდღლისცოცხას თესლიდან ალკალოიდთა ნაკრების მისაღებად ყველაზე მოხერხებულია მისი წინასწარი გათავისუფლება ცხიმისანი ზეთისაგან, ნედლეულზე ტუტის დამატებით და ქლოროფორმით გამოწვლილვით. ნედლეულის ამ სახიდან მიღებული ალკალოიდების ნაკრები შეიცავს 71%-ზე მეტ ციტიზინს.

ქალაქზე ქრომატოგრაფიის მეთოდით დადგენილია მცენარის ყველა ნაწილის ალკალოიდების ნაკრების შედგენილობა, რომელიც მიღებულია კურდღლისცოცხას სხვადასხვა ნაწილიდან, რის შედეგადაც დადასტურებულია, რომ ფოთლები და ყვავილები შეიცავს 8-8 ალკალოიდს, ახალგაზრდა ტოტი – 3, ღეროს ქერქი – 1, თესლი – 6, მოუმწიფებელი თესლი – 4, თესლის გარეშე პარკი – 2, მოუმწიფებელი პარკი თესლის გარეშე – 2, ფესურა – 4 ალკალოიდს.

ქალაქზე ქრომატოგრაფიის მეთოდით დადგენილია, რომ კურდღლისცოცხას ყველა ნაწილის ალკალოიდების ნაკრების ძირითადი შემადგენელია ციტიზინი. ყვავილი, ციტიზინის გარდა, შეიცავს კიდევ 2 ალკალოიდს, ხოლო ფოთლი და ახალგაზრდა ტოტი თითო-თითო ალკალოიდს. ქრომატოგრამამ გვიჩვენა აგრეთვე სხვა ალკალოიდების არსებობა კვალის სახით.

ესპანური კურდღლისცოცხას თესლიდან ჩვენ მივიღეთ 2 ახალი ალკალოიდი, რომელთაგან ერთს, დნობის ტემპერატურით 134°C, Rf = 0,17, ქიმიური შედგენილობით C<sub>11</sub>H<sub>13</sub>ON, ვუწოდეთ „სპარტინი“, ხოლო მეორეს „იუნციანი“, დნობის ტემპერატურით 221°C, Rf = 0,18, ქიმიური შედგენილობით C<sub>15</sub>H<sub>24</sub>ON<sub>2</sub> · HN<sub>3</sub>.

ქალაქზე ქრომატოგრაფიის მეთოდით შესწავლილია კურდღლისცოცხას სხვადასხვა ნაწილიდან მიღებული ფლავონოიდები და დადგენილია, რომ ფოთლები და ყვავილები შეიცავს 6 ფლავონოიდს,



ახალგაზრდა ტოტები – 2, ღეროს ქერქი – 1, თესლი – 6, მოუმწიფებელი თესლი – 3, უთესლო პარკი – 4, მოუმწიფებელი პარკი თესლის გარეშე – 2 და ფესურა – 1 ფლავონოიდს.

ქალაქებზე ქრომატოგრაფიის მეთოდით ასევე დადგენილია, რომ კურდღლისცოცხას თესლი შეიცავს ანტოციანებს, ხოლო გლიკოზიდებისა და მიკროელემენტების შემცველობა დადასტურებულია თვისებრივი რეაქციებით. დადგენილია თესლში ცხიმოვანი ზეთის რაოდენობა და მისი ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური მუდმივა.

ესპანური კურდღლისცოცხას თესლიდან დავამზადეთ პრეპარატები, რომლებიც თავის შედგენილობაში შეიცავს ალკალიიდებს. მათი ფარმაკოლოგიური შესწავლით დადგენილია, რომ ჩვენს მიერ დამზადებული ორივე პრეპარატი – სპარტეინი და იუნციეინი წარმოადგენენ სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის სტიმულატორებს, ძლიერ ადაზნებენ სუნთქვას და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სისხლის წნევაზე. სამედიცინო პრაქტიკაში მათი გამოყენება არის შემდგომი შესწავლის საგანი.

ესპანური კურდღლისცოცხას ცალკეული ორგანოს აგებულების შესწავლის საფუძველზე გამოვლენილია დიაგნოსტიკური ნიშან-თვისებების რიგი მახასიათებლები.

ესპანური კურდღლისცოცხას ზოგიერთი ორგანოს ანატომიური აგებულების კვლევის მიხედვით გარკვეულია, რომ:

ა) **ფოთლისათვის** – ზედა ეპიდერმის უჯრედები არაა ერთნაირი ზომის, ბაგეები განვითარებულია ფოთლის ორივე მხარეს; პალისანდრიისებრი ზედაპირი შედგება 2-3 მწკრივისაგან, სადაც პირველი მწკრივის უჯრედები წვრილი და ფაშარია. მარტივი ბუსუსები ზედა მხარეს განვითარებულია მეჩხერად, ხოლო ქვედა მხარეზე – უხვად, განსაკუთრებით ფოთლის მთავარი ძარღვის ახლოს. კოლატერალური ტიპის სხივთოვანი განლაგებულია ნახევარწრეში, ერთმწკრივიანი გულისებრი სხივების კვეთაში. კოლენხიმაში არის კალციუმის ოქსალატის კრისტალები.

ბ) **ყვავილისთვის** – გვირგვინის ფურცლების ორივე შიდაგვერდის ბოლოებზე განვითარებულია ტუბუკები და მარტივი მცირე ბუსუსები, ხოლო ფურცლების ცენტრში დიდი ზომის მარტივი ბუსუსები. ქვედა ორი შეზრდილი ფურცლის, განსაკუთრებით მათი ბოლოები და გაფართოებული წვეროები დაფარულია მარტივი ძაფისებრი ბუსუსებით. კალციუმის ოქსალატი არის კუბური ან პრიზმული კრისტალების სახით.

გ) **ტოტისთვის** – ეპიდერმისის უჯრედები დაფარულია კბილანური – გამოზურცული კუტიკულას შესქელებული შრით. გამოზნექილი წიბოების არეალში განვითარებულია მექანიკური ბოჭკოები, რომლებიც ტოტის ცენტრისკენ შორდებიან ერთმანეთს და წარმოქმნიან ორ მწკრივს. ბოჭკოების ანალოგიური პატარა ჯგუფები ასევე განვითარებულია წიბოებს შორის. განივი კვეთის რადიუსის 2/3 ნაწილი უჭირავს გვირგვინის გულს, რომელიც შედგება ძალიან ფაქიზი და დიდი უჯრედებისაგან.

დ) **თესლისთვის** – სვეტისებრი ფორმის ეპიდერმისი, ჰაპოდერმა და პიგმენტური უჯრედები; ლენის ცენტრში იმყოფება რამდენიმე სუსტადგანვითარებული სხივთოვანი.

## ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. Кретович В.Л., Основы биохимии растений. М., Высшая школа, 1986, 464с.
2. Зильева Дж. Ф., Пэннел П.Р. Клиническая химия в диагностике и лечении. Пер. с англ. М., Медицина, 1988, 230с.
3. Ботанико-фармакогностический словарь. Справочное пособие. М., Высшая Школа, 1990, 272с.
4. Георгиевский В.П., Комиссаренко Н.Ф., Дмитрук С.Е. Биологически активные вещества лекарственных растений. Новосибирск, Наука. Сибирское отделение, 1990, 333с.
5. Турова А.Д. Лекарственные растения СССР и их применение. М., Медицина, 1974, 424с.
6. Шталь Э. Хроматография в тонких слоях. М., Мир, 1965, 508с.
7. Харборн Д.К. Биохимия фенольных соединений. М., Мир, 1968, 587с.
8. Кемертелидзе Э.П., Георгиевский В.П. Физико-химические методы анализа некоторых биологически активных веществ растительного происхождения. Тбилиси, Мецниереба, 1977, 219с.
9. Складневский Л.Я., Губанов И.А. Лекарственные растения в быту. М., Россельхозиздат, 1986, 272с.

10. Овчинников Ю.А. Биоорганическая химия. М., Просвещение, 1987, 815с.
11. Тюкавкина Н.А., Бауков Ю.И. Биоорганическая химия. М., Медицина, 1991, 528с.
12. Муравьёва Д.А., Самылина И.А., Яковлев Г.П. Фармакогнозия. М., Медицина, 2002.
13. ერისთავი ლინა. ფარმაკოგნოზია (სამკურნალო მცენარეები). თბილისი, გამომც. „საქართველოს მაცნე“, 2005, გვ. 675.
14. Машковский М.Д. лекарственные средства. – 15-е изд. М., ООО „Издательство Новая Волна“, 2005, 1200с.
15. Схиладзе Р.А. Дрок испанский произрастающий в Грузии, как сырьё для получения лекарственного препарата. Автореферат кандидатской диссертации. Тбилиси. Тбилисский государственный медицинский институт (1966).
16. Орехов А.П. Химия алкалоидов. М., 1965, 312с.
17. Юнсов С.Ю. Алкалоиды. Ташкент, 1981, 252с.
18. Генри Т.А. Химия растительных алкалоидов . М., 1996, 372с.
19. Кирпер Ю. Тонкослойная хроматография. Т. 1 и2. М., 1981.
20. Хайс И., Мацек К. хроматография на бумаге. М., 1962, 196с.
21. Шемякин Ф. М. Физико-химические методы анализа., М., 1962, 228с.

#### **SOME ASPECTS OF RECEIVING BIOLOGICALLY ACTIVE SUBSTANCES FROM EXOTIC HERBAL RAW MATERIAL – WEAVER’S BROOM**

T. I. Tsivtsivadze, R. A. Skhiladze, N. Sh.Chigogidze, R. Sh. Kldiashvili, G. A. Sulaqvelidze  
*Georgian Technical University, Research Centre Of Biologically Active substances*

#### **SUMMARY**

In the article there is represented an anatomical construction, content of alkaloids and other substances (including microelements) in different parts of widespread exotic plant in Georgia – weaver’s broom (*Spartium junceum L.*). Their qualitative and quantitative content in raw material is learnt, accumulation dynamics of given substances in the plant is revealed. Plural methods and technology of receiving alkaloids and therapeutic agents from herbal raw material is worked out. Coming out of executed research works, perspective of using therapeutic agents in medicine is reviewed and corresponding conclusions are made.

#### **НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ ПОЛУЧЕНИЯ БИОЛОГИЧЕСКИ АКТИВНЫХ ВЕЩЕСТВ ИЗ ЭКЗОТИЧЕСКОГО РАСТИТЕЛЬНОГО СЫРЬЯ – ДРОКА ИСПАНСКОГО**

Т.И.Цивцивадзе, Р.А.Схиладзе, Н.Ш.Чигогидзе, Р.Ш.Клдиашвили, Г.А.Сулаквелидзе  
*Грузинский Технический Университет, Исследовательский центр биологически активных веществ*

#### **РЕЗЮМЕ**

В статье представлены анатомическое строение, содержание алкалоидов и других веществ (включая микроэлементы) в различных частях распространенного в Грузии экзотического растения – дрока испанского (*Spartium junceum L.*). Изучено их качественное и количественное содержание в сырье, выявлена динамика накопления данных веществ в растении. Разработаны методика и технология получения алкалоидов и лечебных препаратов из исследованного растительного сырья. Исходя из проведенных исследовательских работ рассмотрены перспектива использования препаратов в медицинской практике и представлены соответствующие выводы.

## BIOLOGICALLY ACTIVE COMPOUNDS

RESEARCH OF TANNING SUBSTANCES OF CHESTNUT BLOSSOMS  
(CASTANEA SATIVA MILL.)

Rusudan Bagrationi, Lala Kuntelia, Iamze Chkhartishvili, Sophio Papunidze, M.Kobakhidze  
*Shota Rustaveli State University (Batumi)*  
*Batumi, Ninoshvili st.35, 6010, www.bsu.org.ge*

One of the main components of chestnut blossom's chemical consistency is tanning substance. On the basis of colorful reactions it is determined that the phenol mixtures of food chestnut belong to the hydrolyzed tannins – galotannins. We aimed at determining the duration of the process of rusting and consistency of tanning substances in cultural chestnut blossom and during the impact from rusting ferments in the process of fermentation with the oxygen involvement.

**Key words:** tanning substances, chestnut blossom.

The tanning substances are widely spread in universe of plants. One of the main components of chestnut blossom's chemical consistency is tanning substance. They belong to the plant substances of secondary origin and play significant role in interim processes of substance change. The carbohydrates represent the resource of their emergence.

The whole range of researches established that the tanning substances of grapes, tea leaves and other plants own P-vitamin activity.

The tanning substances existing in chestnut blossom (*Castanea Sativa Mill.*) are rusted as a result of catalyst influence of rusting ferments and are transformed into dyed a mixture, which in its turn from certain point causes the modification of product color.

The salty taste is characteristic to tanning substances, which impacts on the food cost of the food products and taste. When working on the blossoms the tanning substances transform into ready product and give it certain taste.

On the basis of colorful reactions it is determined that the phenol mixtures of +6food chestnut belong to the hydrolyzed tannins – galotannins. Namely, when interacting of iron chloride on the spirit-solution of chestnut blossom the dark blue color is received. With the alum of iron and sodium acetate – after 5 minutes the sediment is received. Also when adding the ammonium acid the sediment is received as well. The above mentioned reactions indicate that the tanning substances of chestnut blossom belong to the group of galotannins.

We aimed at determining the duration of the process of rusting and consistency of tanning substances in cultural chestnut blossom and during the impact from rusting ferments in the process of fermentation with the oxygen involvement. For this we made the analysis on chestnut blossom with the method of Levental during whole year. The basis for this method is the principle of rusting with calium permanganate of tanning substances with the presence of indigocarmin.

The dynamics of rusting the tanning substances is given in the table 1.

**Table 1.** The consistency of tanning substances in wild and cultural chestnut blossom related to the duration of rusting process

№	Time for making analysis	Tanning substances, %	
		Wild chestnut blossom	Cultural chestnut blossom
1	12.06.2005	12,8	12,6
2	27.07.2005	6,66	5,97
3	12.10.2005	6,41	5,35
4	13.12.2005	4,50	4,26
5	10.01.2006	3,64	3,23
6	7.03.2006	2,58	2,07
7	28.04.2006	2,36	1,81
8	20.06.2006	1,91	1,52
9	20.07.2006	1,91	1,52

As it is seen from the table, the rusting process of tanning substances is rather long. In the unpolluted fell off chestnut blossom the number of tanning substances at the end of the analysis is 1,91% and 1,52%. The color is changed from light to dark.

### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Khidasheli Sh., Papunidze V. The medical plants of Georgian Forests. Batumi, 1985.
2. Zaprometov M.N. /Biochemical methods of Plant analysis. Foreign Literature. Moscow, 1960.
3. Petrov K.M. Practical work on biochemistry of food vegetative raw materials. Publishing House “Food Industry”, Moscow, 1965.

### ველურად მზარდი წაბლის ყვავილის (*Castanea sativa* Mill.) მთრიმლავი ნივთიერებების ბამოკვლევა

რუსუდან ბაგრატიონი, ლალა ქუნთელი, იამზე ჩხარტიშვილი, სოფიო პაპუნძე, მარინა კობახიძე  
*შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი*

#### რეზიუმე

ფერადი რეაქციების საფუძველზე დადგენილია, რომ წაბლის ყვავილის ფენოლური ნაერთები მიეკუთვნება ჰიდროლიზებად ტანიდებს – გალოტანიდებს. დადგენილია ველურად მზარდ და კულტურულ წაბლის ყვავილებში მთრიმლავი ნივთიერებების შემცველობა და დაჟანგვის პროცესის ხანგრძლივობა დინამიკაში. წაბლის ყვავილში იცვლება ფერი – ღია შეფერილობიდან მუქისაკენ.

### ИССЛЕДОВАНИЕ ДУБИЛЬНЫХ ВЕЩЕСТВ ДИКОРАСТУЩИХ ЦВЕТКОВ КАШТАНА (*Castanea sativa* Mill.)

Русудан Багратиони, Лала Кунтелия, София Папунидзе, Иамзе Чхартишвили, Марина Кобахидзе  
*Государственный университет Шота Руставели (Батуми)*

#### РЕЗЮМЕ

На основании цветной реакции установлено, что фенольные соединения каштановых цветков относятся к гидролизуемым танинам – галотанинам. Установлено содержание дубильных веществ и оптимальное время процесса окисления дубильных веществ в динамике. Происходит изменение цвета каштановых цветков – со светло-коричневого на темный цвет.

**BIOLOGICALLY ACTIVE COMPOUNDS****BRANDY ALCOHOL AROMA COMPOUNDS PRODUCED OF CHESTNUT BLOSSOMS  
(CASTANEA SATIVA MILL.)**

Guram Papunidze, Lala Kuntelia, Rusudan Bagrationi, Sophio Papunidze, Iamze Chkhartishvili

*Shota Rustaveli State University (Batumi)  
Batumi, Ninoshvili st.35, 6010, www.bsu.org.ge*

Brandy alcohol has been produced resulted drawing from dropped flowers of wild chestnut (*Castanea sativa* Mill.) on ethyl alcohol. Qualitative and quantitative properties, some chemical indexes of brandy alcohol aroma compounds have been researched and determined. It has been established that wild chestnut flowers are an additional source for production of brandy alcohol.

**Key words:** chestnut flowers, brandy alcohol, aroma compounds.

**Introduction**

Wild chestnut flowers (*Castanea sativa* Mill.) are enough interesting raw material for brandy alcohol production. According to classical technology ethyl alcohol is aged in oak casks, providing that its surface is preliminarily treated with steam and very high temperature. Oxidation processes current between wine distillate components and oak wood are very important in formation of brandy alcohol [1,2].

Like oak, chestnut flowers are rich in phenol compounds (up to 13%) and this latter as well as oak phenol compounds [3] belong to elagotannins group.

As we find resulted preliminarily research, chestnut flowers apart from phenol compounds contain lignin, resins, hemicellulose, cellulose, aromatic compounds, aminoacids, B-group vitamins, mineral substances, carbohydrates and are valuable raw material for production of brandy alcohol [4,5].

The goal of our work includes research of brandy alcohol aroma compounds produced with drawing of chestnut flowers on ethyl alcohol.

**Materials and Methods**

For our research we used wild chestnut (*Castanea sativa* Mill.) flowers fermented in natural conditions and thermally treated at 180<sup>0</sup> C for 2 hours, drawn on brandy alcohol (1:40). We have researched biochemical indexes of brandy alcohol. These indexes were determined with the method of gas-liquid chromatography of aroma compounds [6].

**Results and Discussion**

Resulted research we established content of aroma compounds in brandy alcohol produced with various variants.

Qualitative and quantitative properties of some aroma compounds determined resulted chromatographic analysis of brandy alcohol produced with the 1<sup>st</sup> and the 2<sup>nd</sup> variants are shown in table 1 and table 2.

Quantitative indexes provided in the table prove that alcohols produced with the 1<sup>st</sup> and the 2<sup>nd</sup> variants have different chemical content. There is a significant difference in contents of acetaldehyde (1,35% and 0,58%), ethyl acetate (2,02% and 0,78%), amyl acetate (1,40% and 0,25%), H-decane (1.80% and 0.80%), linalool (0.78% and 4.30%), methylcaprylate (1.85% and 2.34%). Alcohol produced with the 1<sup>st</sup> variant contains 0.08% of methyl alcohol, but alcohol produced with the 2<sup>nd</sup> variant does not contain methyl alcohol. Besides, alcohol produced with the 1<sup>st</sup> variant contains more izobutanol (0.62% and 0.39%), H-butanole (0.39% and 0.40%), hexilacetate (2.19% and 2.34%), hexanole (1.23% and 3.52%). Correspondingly, alcohol produced with the 1<sup>st</sup> variant has better qualitative and organoleptic indexes, than alcohol produced with the 2<sup>nd</sup> variant.

**Table 1.** Chromatographic analysis of aroma compounds of brandy alcohol produced with the 1<sup>st</sup> variants

№	Substances	Content, %
1	Acetic aldehyde	1,35
2	Methyl acetate	0,9
3	Ethyl acetate	2,02
4	Ethyl alcohol	1,8
5	Ethyl propionate	58,74
6	Propanol	0,33
7	Izobutyl acetate	1,29
8	Izobutanol	0,62
9	Acetic acid	0,17
10	n-butanol	0,39
11	Amyl acetate	1,40
12	Iso-amyl-iso-valerate	2,02
13	Iso-amyl alcohol	0,78
14	N-amyl alcohol	0,22
15	Propionic acid	0,28
16	N-nonan	1,18
17	Etylcapronat	2,13
18	Butyric acid	0,28
19	Hexyle acetate	2,19
20	N-dekane	1,8
21	$\alpha$ -pinene	0,9
22	Hexsanol	1,23
23	Terpinene	0,31
24	Not identified	1,85
25	Hendecane	1,80
26	Not identified	1,43
27	Ethyl caprylate	1,62
28	Linalool	0,78
29	Kapryn acid	0,33
30	Benzyl acetate	1,0
31	Not identified	0,26
32	Not identified	1,0
33	Terpineol	0,45
34	Phenil ethylic alcohol	1,12
35	Citronellol	0,84
36	Nerol	0,45
37	Citral	0,22
38	Not identified	0,33
39	Not identified	1,0
40	Anethole	0,33
41	Phenilpropyl alcohol	1,24
42	Not identified	0,62

**Table 2.** Chromatographic analysis of aroma compounds of brandy alcohol produced with the 2<sup>nd</sup> variants

№	Substances	Content, %
1	Acetic aldehyde	0,58
2	Methyl acetate	0,08
3	Ethyl acetate	0,78
4	Methanol	0,08
5	Ethanol	58,41
6	Ethyl propionate	0,32
7	Propanol	0,40
8	Isobutyl acetate	1,95
9	Isobutanol	0,39
10	Acetic acid	0,12
11	n-butanol	0,40
12	Amyl acetate	0,25
13	Iso-amyl-iso-valerate	0,19
14	Iso-amyl alcohol	0,31
15	N-amyl alcohol	0,40
16	Propionic acid	0,47
17	N-nonan	0,80
18	Etylcaprinat	1,25
19	Butyric acid	0,24
20	Hexyle acetate	2,34
21	N-decane	0,80
22	Valerian acid	1,95
23	$\alpha$ -pinene	0,56
24	Hexsanol	3,52
25	Terpinene	2,73
26	Methyl capritnate	2,54
27	Hendecane	1,56
28	Not identified	0,31
29	Ethyl caprylate	0,78
30	Linalool	4,30
31	Caprinic acid	0,23
32	Not identified	0,08
33	Benzyl acetate	0,02
34	Not identified	0,8
35	Not identified	0,8
36	Not identified	1,56
37	Terpineol	0,34
38	Not identified	0,7
39	Phenil ethylic alcohol	1,37
40	Citronellol	1,17
41	Not identified	0,58
42	Nerol	0,8
43	Not identified	1,38
44	Not identified	0,49
45	Anethole	0,47
46	Phenilpropyonic alcohol	0,40

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Proceedings of Georgian Scientific Researches of Food Industry, volume 2, 1966
2. I.M.Skurikhin. Chemistry of cognac production/ Edition “Pischevaia Promishlennost” Moscow, 1968
3. M.N.Zapromiotov. Biochemical methods of plants analysis. Inostrannaia Literatura, Moscow, 1960
4. R.I.Bagratiioni. Determination of content of biologically active substances in wild chestnut flowers for use in food industry. Dissertation presented for obtaining of academic degree of Doctor of Technical Sciences. Telavi, 2008
5. L.R.Kuntelia-Talikadze. Technology of production of alcoholic drinks from chestnut (*Castanea sativa* Mill.) flowers. Dissertation presented for obtaining of academic degree of Doctor of Technical Sciences. Telavi, 2009
6. Gas Chromatography. Scientific Research Institute of Technical Economic Researches. M.: 1963

**წაბლის ყვავილებიდან (*Castanea sativa* Mill.) დამზადებული ბრენდის სპირტის  
არომატული ნაერთები**

გურამ პაპუნძე, ლალა ქუნთელი, რუსუდან ბაგრატიონი, სოფიო პაპუნძე, იამზე ჩხარტიშვილი  
*შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი*

**რეზიუმე**

ველურად მზარდი წაბლის (*Castanea sativa* Mill.) ჩამოცვენილ ყვავილებზე ღვინის სპირტის დავარგებით მიღებულია ბრენდის სპირტი. შესწავლილი და დადგენილია ბრენდის სპირტის არომატული ნაერთების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, ზოგიერთი ქიმიური მაჩვენებლები. დადგინდა, რომ ველურად მზარდი წაბლის ყვავილი წარმოადგენს ბრენდის სპირტის მიღების დამატებით წყაროს.

**АРОМАТИЧЕСКИЕ СОЕДИНЕНИЯ СПИРТА ДЛЯ БРЕНДИ ИЗ КАШТАНОВЫХ ЦВЕТКОВ  
(*Castanea sativa* Mill.)**

Гурам Папундзе, Лала Кунтелиа, Русудан Багратиони, София Папундзе, Иамзе Чхартишвили  
*Государственный университет Шота Руставели (Батуми)*

**РЕЗЮМЕ**

Путем настаивания каштановых цветков на винном спирте получен спирт для бренди. Изучены и определены качественные и количественные показатели ароматических соединений спирта для бренди. Установлено, что дикорастущие цветки каштана являются дополнительным источником сырья для производства спирта для бренди.

### ქ.თბილისში ცაცხვის, ჭადრის, აკაციისა და ალვის ხის ფოთლებში მძიმე ლითონების შემცველობა

ლიანა ენუქიძე, თამარ ჭელიძე, მანანა ჩანკაშვილი, თონა ლოლაძე  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

დღეისათვის დიდი ყურადღება ექცევა გარემოს დაცვის საკითხებს. დადგენილია რიგი მძიმე ლითონების შემცველი სამრეწველო ნარჩენებისა და საავტომობილო ტრანსპორტის გამონაბოლქვის უარყოფითი გავლენა გარემოზე. მათი მაღალი კონცენტრაცია ანადგურებს მცენარეულ საფარს. დღეისათვის ასევე ცნობილია ადამიანების ჯანმრთელობაზე მძიმე ლითონების უარყოფითი გავლენის არაერთი შემთხვევა. ადამიანის ორგანიზმში მძიმე ლითონები ძირითადად ხვდება წყლიდან და საკვები მცენარეებიდან, ხოლო ამ უკანასკნელთა დაბინძურება ხდება მათი მიგრაციით ნიადაგიდან [1]. მძიმე ლითონების ტოქსიკურობის მექანიზმში, როგორც ჩანს, მთავარია ის, რომ მათი მაღალი კონცენტრაცია იწვევს მეტაბოლურად აქტიური ცილებისა და მცენარეების სხვა მაკრომოლეკულების ინაქტივაციას. ამ დროს ირღვევა ისეთი ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესები, როგორცაა იონური ცვლა, ორგანული ნივთიერებების ტრანსპორტირება, ფოტოსინთეზი და სხვ. [2].

მძიმე ლითონების დაგროვებას ქალაქის მცენარეებში ძირითადად სწავლობენ გარემოს მდგომარეობის ინდიკატორების მიზნით. მცენარეებში მძიმე ლითონების შემცველობაზე მონაცემები მნიშვნელოვანია ასევე მინერალური სტატუსის შეფასების თვალსაზრისით – მათ შეუძლიათ გამოავლინონ სხვადასხვა დარღვევები მინერალურ მიმოცვლაში [3].

მოცემული სამუშაოს მიზანს წარმოადგენს მძიმე ლითონების – სპილენძის, ტყვიის, კადმიუმისა და თუთიის იონების შემცველობის განსაზღვრა იმ მცენარეთა ფოთლებში, რომლებიც იზრდებიან ქ. თბილისის სხვადასხვა რაიონში.

კვლევები ტარდებოდა დიფერენციალურ-იმპულსური პოლაროგრაფიული მეთოდით (დიპ) ჩვენს მიერ დამუშავებული მეთოდიკის მიხედვით [4]. ნახ. 1-ზე წარმოდგენილია 1 გ ცაცხვის ფოთლებში არსებული სპილენძის, ტყვიის, კადმიუმისა და თუთიის იონების პოლაროგრამები (ნიმუში აღებულია ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე). ანალიზური მრუდები იქნა მიღებული ქ.თბილისის სხვადასხვა რაიონში აღებულ მცენარეთა ფოთლების 16 ნიმუშისათვის.


მძიმე ლითონების რაოდენობრივ შემცველობას ვსაზღვრავდით შემდეგი ფორმულით:

$$C_x = C_{st} \cdot \frac{\Delta h}{h_x} \cdot \frac{V_0 + V_x}{V_x} + 1,$$


სადაც,  $C_x$  საკვლევი ხსნარის კონცენტრაციაა, მგ/კგ;  $C_{st}$  – სტანდარტული ხსნარის კონცენტრაცია, მგ/კგ;  $V_0$  – ხსნარის საწყისი მოცულობა, მლ;  $V_x$  – დამატებული სტანდარტული ხსნარის მოცულობა, მლ;  $h_x$  – საკვლევი ხსნარის ტალღის სიმაღლე პირველი პოლაროგრაფირების დროს, მმ;  $\Delta h$  – სტანდარტული და საკვლევი ხსნარების ტალღის სიმაღლებს შორის სხვაობა, მმ.

თვალსაჩინოებისათვის მიღებული შედეგების საფუძველზე აგებული იქნა დიაგრამა, რომელიც გვიჩვენებს აღნიშნული მძიმე მეტალების შემცველობას ცაცხვის, ჭადრის, აკაციისა და ალვის ხის ფოთლებში (ნახ. 2). როგორც დიაგრამიდან ჩანს, საკვლევი მცენარეთა ფოთლებში მნიშვნელოვნად ჭარბობს თუთიის შემცველობა. თუთიის მაღალი კონცენტრაცია უარყოფითად აისახება მცენარეებზე. ამ ლითონის ტოქსიკურობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ თუთია მიეკუთვნება მცენარეებში ინტენსიურად დაგროვებად ელემენტებს. გამოკვლეული ოთხი სახეობის ფოთოლში ყველაზე მეტი რაოდენობით თუთია გროვდება ალვის ხის ფოთლებში, თითქმის ერთნაირი რაოდენობაა ჭადარსა და ცაცხვში, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობა აღინიშნება აკაციაში. თუთიის დაგროვება დასაშვებ ნორმაზე მეტი რაოდენობით იწვევს მცენარის მოწამვლას, კერძოდ, ნეკროზების წარმოქმნას, ჭკნობას, ფოთოლცვენას, ფესვებისა და ღეროს ზრდის დათრგუნვას





**ნახ. 1.** 1 გ ცაცხვის ფოთლებში არსებული სპილენძის, ტყვიის, კადმიუმისა და თუთიის იონების პოლაროგრამები (ნიმუში აღებულია ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე) 0,1 M HCl-ის ხსნარში:  
 1 - Cu (II); 2 - Pb (II); 3 - Cd(II), 4 - Zn (II); 1',2',3',4' – შესაბამისი სტანდარტები



**ნახ. 2.** მცენარეთა ფოთლებში მძიმე ლითონების შემცველობის დიაგრამა (1 - ჭადარი, 2 - აკაცია, 3 - ალვის ხე, 4 - ცაცხვი)

ცხრილი 1. მიძველილი ლითონების შემცველობა 1 გ მცენარეთა ფოთლებში, მგ/კგ

ქუჩა	ჭადარი				აკაცია				ალვის ხე				ცაცხვი			
	Cu <sup>2+</sup>	Pb <sup>2+</sup>	Cd <sup>2+</sup>	Zn <sup>2+</sup>	Cu <sup>2+</sup>	Pb <sup>2+</sup>	Cd <sup>2+</sup>	Zn <sup>2+</sup>	Cu <sup>2+</sup>	Pb <sup>2+</sup>	Cd <sup>2+</sup>	Zn <sup>2+</sup>	Cu <sup>2+</sup>	Pb <sup>2+</sup>	Cd <sup>2+</sup>	Zn <sup>2+</sup>
რუსთაველის გამზ.	5.16	1.21	0.02	12.4												
ყაზბეგის გამზ. (წითელი ბაღი)	4.3	1.17	0.04	16.1 4	2.96	1.13	0.02	6.2								
ყაზბეგის გამზ.	4.06	0.59	0.02	9.94	3.69	1.23	0.03	11.18	3.7	0.85	0.02	14.9				
მარჯანიშვილის მოედანი					2.96	2.02	0.06	8.7	2.1	0.44	0.01	12.3				
ჩაიკოვსკის ქუჩა					2.27	1.17	0.05	12.4					5.39	1.31	0.03	13.7
დოლიძის ქუჩა	7.32	1.4	0.02	12.4	1.49	0.63	0.04	8.7	8.52	0.88	0.03	54.4				
ვაჟა-ფშაველას გამზ. (ეზო)	8.8	1.65	0.02	29.1												
ვაჟა-ფშაველას გამზ.													5.4	3.05	0.02	17.5
გრიშაშვილის ქუჩა					5.4	3.37	0.01	24.8					9.6	2.57	0.01	31.0

შესწავლილ მცენარეთა ფოთლებში შედარებით მცირე რაოდენობით გროვდება სპილენძი. მას ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს ცაცხვის ხის, მეორე ადგილზეა ჭადარის, შემდეგ ალვის ხის და ყველაზე მცირე რაოდენობა აკაციის ფოთლებში. სპილენძის ყველა ნაერთი ტოქსიკურია და შეიძლება ჰქონდეს კანცეროგენული მოქმედების უნარი. ამ ელემენტის სიჭარბისას მცენარეში ადგილი აქვს ფოთლების დაზიანებას და ზრდა იმდენად მცირდება, რომ მცენარე იღებს ჯუჯა ფორმას. ზოგიერთი მათგანის შემთხვევაში შესაძლებელია ფოთოლმა მიიღოს ცისფერი შეფერილობაც.

რაც შეეხება ტყვიას, შესწავლილ მცენარეთა ფოთლებში იგი თუთიასა და სპილენძზე უფრო ნაკლები რაოდენობით აღმოჩნდა. მას შედარებით მეტი რაოდენობით შეიცავს ცაცხვი, შემდეგ ჭადარი, აკაცია და ბოლოს ალვის ხე. ტყვიის შემცველობა დასაშვებზე მეტი რაოდენობით იწვევს მცენარის ფესვების ზრდის შემცირებას სივრცეში, ხოლო ფოთლები ხდება ქლოროტიული უჯრედშორის ზონებში, განსაკუთრებით ზიანდება ახალგაზრდა ფოთლები.

კადმიუმის შემცველობა ყველა აღნიშნული მცენარის ფოთოლში ძალიან მცირეა (იხ. ცხრილი 1) და ამიტომ დიაგრამაზე არ არის მოტანილი.

ამრიგად, როგორც დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე კარგად მავნე მიკროელემენტებს შთანთქმავს და იგროვებს ცაცხვი, შემდეგ - ჭადარი, აკაცია და ბოლოს - ალვის ხე. გამონაკლისია თუთიის ანომალურად დიდი რაოდენობა მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ალვის ხის ფოთლებში.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკოსისტემის გაჯანსაღებისათვის ტექნიკურ ზომებთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია ბუნებრივი ფაქტორების გამოყენება. კერძოდ, მწვანე მცენარეული საფარი შთანთქმავს როგორც ჰაერიდან, ასევე ნიადაგიდან მავნე აირებს, მტვერსა და ორთქლს.

მიღებული შედეგები სასურველია გამოყენებული იქნას ქალაქის კომუნალური სამსახურის მიერ ამა თუ იმ უბანში მწვანე საფარის შექმნისას.

#### ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. Дергунова А.Б., Рахимова Х.Х. Особенности аккумуляции тяжелых металлов листьями древесных растений. Труды Узбекского управления по гидрометеорологии и контролю природной среды. Ташкент. 2009, с. 714-716.
2. Пелецкая И.Г., Бойко Г.Е. Тематический сборник научных работ «Экосистемы Крыма, их оптимизация и охрана», 2002, вып. 12, с. 94-98.

3. *Парибок Т.А., Сазыкина Н.А., Тэмн Г.А., Троицкая Е.А., Леина Г.Д., Червякова Э.Г.* Содержание металлов в листьях деревьев в городе. Ботанический журнал, 1982, т. 67, № 11, с. 1533-1539.
4. *Енукидзе Л.Г., Челидзе Т.Р., Шавгулидзе В.В., Хавтаси Н.С., Хохаивили М.О., Гургенидзе И.А., Чанкашвили М.В.* Разработка методики определения некоторых тяжелых металлов в растительных тканях методом дифференциально-импульсной полярографии. Georgian Engineering News, 2009, № 1, с. 158-160.

#### **CONTENT OF HEAVY METALS IN LEAVES OF LINDEN, SYCAMORE EAST, ACACIA, AND POPLAR IN TBILISI**

Liana Enukidze, Tamar Chelidze, Manana Chankashvili, Teona Loladze

*Iv.Javakhishvili Tbilisi State University, R.Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry*

#### **SUMMARY**

By differential-impulse polarographic methods determined the content of heavy metals – copper, lead, cadmium and zinc in the leaves of trees growing in different parts of Tbilisi. It is established that heavy metals is better accumulate linden leaves, then leaves of the eastern sycamore, acacia and poplar.

#### **СОДЕРЖАНИЕ ТЯЖЕЛЫХ МЕТАЛЛОВ В ЛИСТЬЯХ ЛИПЫ, ПЛАТАНА ВОСТОЧНОГО, АКАЦИИ И ТОПОЛЯ В Г.ТБИЛИСИ**

Л.Г.Енукидзе, Т.Р.Челидзе, М.В.Чанкашвили, Т.Ж.Лоладзе

*Тбилисский Государственный Университет им. Ив.Джавахишвили, Институт неорганической химии и электрохимии им. Р.И. Агладзе*

#### **РЕЗЮМЕ**

Методом дифференциально-импульсной полярографии определено содержание ионов тяжелых металлов – меди, свинца, кадмия и цинка в листьях деревьев, растущих в разных районах г.Тбилиси. Установлено, что тяжелые металлы лучше всего накапливают листья липы, затем листья платана восточного, акации и тополя.

**მდინარე არაგვის აუზის წყლების ქიმიური ანალიზის შედეგები**

თამარ შარაშიძე, ლეილა გვერდწითელი, შალვა ანდლულაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი


განსაზღვრულია მდინარე არაგვის წყლის ფიზიკური და ქიმიური მაჩვენებლები სეზონური ცვლილებების მიხედვით.

წყლის ხარისხისადმი მოთხოვნების ამაღლება და წყალმომარების გადიდება წარმოადგენს მოსახლეობის სასიცოცხლო დონის, კულტურის ზრდისა და სახალხო მეურნეობის განვითარების უტყუარ შედეგს. წყლის ხარისხი განისაზღვრება ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიურ-ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლებით. დღითიდღე იზრდება წყლის ქიმიური შემადგენლობის, მათი ცვლილების ტენდენციისა და კანონზომიერების შესახებ ინფორმაციისადმი მოთხოვნილება. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა თბილისის წყალმომარაგების ძირითადი წყაროს მდინარე არაგვის აუზის ჰიდროქიმიური მდგომარეობის შესწავლა და შეფასება.


ლიტერატურული მიმოხილვის შედეგების მიხედვით მდ. არაგვი ჰიდროქიმიური თვალსაზრისით არ არის სრულყოფილად შესწავლილი. ამიტომ მიზანშეწონილი იყო და ჩვენს მიერ განსაზღვრული იქნა მდ. არაგვის წყლის ფიზიკური და ძირითადი ქიმიური მაჩვენებლები სეზონური ცვლილებების მიხედვით. მდ. არაგვის ხეობაში შერჩეული იქნა საანალიზო სინჯების 10 წერტილი. წყლის სინჯის აღება, დაკონსერვება, შენახვა და ტრანსპორტირება ISO სტანდარტული მეთოდის მიხედვით [1]. წყლის ორგანოლექტიკური და ქიმიური მაჩვენებლები განისაზღვრა სავსე პორტატული აპარატურითა და სტაციონალურ ლაბორატორიაში ISO და USEPA სტანდარტული მეთოდის მიხედვით [2].

pH-ის მნიშვნელობების მიხედვით ჩანს, რომ წყალს ოდნავ გამოხატული ტუტიანობა ახასიათებს, რაც მასში გახსნილ მარილთა ბუნებით აიხსნება. ცხრილებიდან 1-3 და ნახ. 1 ჩანს, რომ გაზაფხულზე pH-ის მნიშვნელობა რამდენადმე მცირდება, რაც თოვლის დნობისა და გაზაფხულზე წვიმების სიუხვით შეიძლება იყოს ახსნილი.


რაც შეეხება pH-ის მნიშვნელობის ცვლილებას მდინარის დინების მიმართულებით, მასზე ძნელია მსჯელობა, რადგანაც pH-ის მნიშვნელობათა ფლუქტუაციის საზღვრები გაზომვის მეთოდის ცდომილების ფარგლებშია. რაც შეეხება წყლის ტემპერატურას, ცხადია, იგი დამოკიდებულია სეზონურობაზე (ნახ. 2), აგრეთვე ჰიპსომეტრიაზე. წყალი თანდათანობით თბება მდინარის დინების მიმართულებით, - ჰიფსომეტრულ მნიშვნელობების კლებასთან ერთად ტემპერატურა იზრდება; ნახ. 3 ჩანს, რომ დინების მიმართულებით ტემპერატურის ცვლილება (გაზრდა) ყველაზე ნაკლებად გამოხატულია გაზაფხულზე, წყალუხვობის პერიოდში. გარკვეულ როლს ტემპერატურის ცვლილების პროცესში ანტროპოგენული ზემოქმედებაც უნდა ასრულებდეს.



ნახ. 1. წყლის ნიმუშების pH-ის მნიშვნელობა სეზონების მიხედვით



ნახ. 2. წყლის ტემპერატურის ცვლილება სეზონების მიხედვით



ნახ. 3. წყლის ტემპერატურის ცვლილება მდინარის დინების მიმართულებით

გახსნილი ჟანგბადის რაოდენობა გვიჩვენებს თუ რამდენად ჯანსაღია და მაღალი ხარისხისაა წყალი. გახსნილი ჟანგბადის მნიშვნელობა ყველაზე დაბალია ჟინვალის წყალსაცავთან და იზრდება (5.4 დან 8.2 მგ/ლ-მდე) წყლის იმ სინჯებში, სადაც მდინარის დინების სიჩქარე მაღალია – ცხრილები 1-3. ყველა შემთხვევაში გახსნილი ჟანგბადის კონცენტრაცია შეესაბამება ზედაპირული წყლების ხარისხის განმსაზღვრელ კლასს – ზომიერად სუფთა II კლასი.

ცხრილში 1-3 მოცემულია ექსპედიციების საველე ქიმიური ანალიზის შედეგები.

წყლების ლაბორატორიული ქიმიური ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილი 4-7.

წარმოდგენილი ცხრილების 1-3 და 4-7 მონაცემების შედარებით დავინახავთ, რომ ტრანსპორტირების შედეგად pH-ის და სიმღვრივის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, აგრეთვე ადგილი არ ჰქონია გამოლექვას, რაც გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ – სინჯების ტრანსპორტირება არ ახდენს ზეგავლენას წყლის მდგომარეობაზე. ლაბორატორიული კვლევების შედეგად მიღებული მონაცემები სრულად ასახავს გამოსაკვლევი წყლების რეალურ ქიმიურ შემადგენლობას [4-5].

ცხრილი 1. საველე ქიმიური ანალიზის შედეგები (18-19 ოქტომბერი 2008წ.)

სინჯის №	ნიმუშის დასახელება	სიმღვრივე FTU	pH	ტემპერატურა °C	ელ.გამტარობამ მიკ.სიმ/სმ	გაზნილი ფანგბადი მგ/ლ
1	ხევსურეთის არაგვი (ბარისახოს ხიდთან)	8.70	8.4	8.0	205	7.8
2	ფშავის არაგვი (სოფ. მაღაროსკარის ბოლოში)	3.7	8.3	10.6	307	7.9
3	მდ.თეთრი არაგვი (მღეთა ჯვრის უღელტეხილის დასაწყისში)	13.7	8.4	8.7	315	7.1
4	მდ.შავი არაგვი (ჰომპიტალის დასახლება)	18.7	8.2	13.7	360	6.2
5	მთიულეთის არაგვი (ხანდოსხევის დასახლება)	12.5	8.2	13.5	326	8.2
6	ჟინვალის წყალსაცავი (ანანურის ეკლესიასთან)	62.5	8.3	17.0	310	5.4
7	მდ.არაგვი (ბოდორნას გასასვლელში)	10.0	8.3	16.5	304	6.9
8	მდ.არაგვი (ბულაჩაური ქვესადგურთან)	16.2	8.3	17.8	343	7.1
9	მისაქციელი (სარწყავი არხი)	25.8	8.5	17.5	330	6.7
10	მდ.არაგვი (რესტორან არაგვთან)	12.2	8.5	17.8	324	6.9

ცხრილი 2. საველე ქიმიური ანალიზის შედეგები (2-3 მაისი 2009წ.)

სინჯის №	ნიმუშის დასახელება	სიმღვრივე FTU	pH	ტემპერატურა °C	ელ.გამტარობამ მიკ.სიმ/სმ	გაზნილი ფანგბადი მგ/ლ
1	ხევსურეთის არაგვი (ბარისახოს ხიდთან)	101.2	7.2	10.9	229	12.7
2	ფშავის არაგვი (სოფ. მაღაროსკარის ბოლოში)	110.3	7.5	11.0	199	13.2
3	მდ.თეთრი არაგვი (მღეთა ჯვრის უღელტეხილის დასაწყისში)	44.2	7.9	10.4	269	16.8
4	მდ.შავი არაგვი (ჰომპიტალის დასახლება)	54.2	7.9	13.8	260	20.5
5	მთიულეთის არაგვი (ხანდოსხევის დასახლება)	34.4	7.9	13.2	275	20.6
6	ჟინვალის წყალსაცავი (ანანურის ეკლესიასთან)	60.2	7.9	15.2	286	17
7	მდ.არაგვი (ბოდორნას გასასვლელში)	10.8	8.2	16.1	286	19.8
8	მდ.არაგვი (ბულაჩაური ქვესადგურთან)	16.2	7.5	12.7	296	16.5
9	მისაქციელი (სარწყავი არხი)	160.2	7.8	13	305	12.2
10	მდ.არაგვი (რესტორან არაგვთან)	150.0	7.9	15.4	324	11.3

ცხრილი 3. საველე ქიმიური ანალიზის შედეგები (29-30 აგვისტო 2009წ.)

სინჯის №	ნიმუშის დასახელება	სიმღვრივე FTU	pH	ტემპერატურა °C	ელ.გამტარობამ მიკ.სიმ/სმ	გაზნილი ფანგბადი მგ/ლ
1	ხევსურეთის არაგვი (ბარისახოს ხიდთან)	3.2	8.4	16	256	8.2
2	ფშავის არაგვი (სოფ. მაღაროსკარის ბოლოში)	3.8	8.5	16	258	8.0
3	მდ.თეთრი არაგვი (მღეთა ჯვრის უღელტეხილის დასაწყისში)	5.8	8.2	11	251	7.6
4	მდ.შავი არაგვი (ჰომპიტალის დასახლება)	6.6	8.2	17	323	7.2
5	მთიულეთის არაგვი (ხანდოსხევის დასახლება)	8.5	8.25	19.1	305	8.2
6	ჟინვალის წყალსაცავი (ანანურის ეკლესიასთან)	14.8	8.3	22.72	251	6.2
7	მდ.არაგვი (ბოდორნას გასასვლელში)	11.2	8.5	23	250	6.8
8	მდ.არაგვი (ბულაჩაური ქვესადგურთან)	12.8	8.4	17.2	240	7.2
9	მისაქციელი (სარწყავი არხი)	16.8	8.4	18	245	6.5
10	მდ.არაგვი (რესტორან არაგვთან)	13.2	8.4	24	280	7.0

ცხრილი 4. ლაბორატორიული ქიმიური ანალიზის შედეგები (ოქტომბერი 2008წ.)

სინჯის №	ნიმუშის დასახელება	pH	სიხისტე მგ-ემქ/ლ	სიმღვრივე HTU	შშრალი ნაშთი მგ/ლ	ფანგბადის ბიოლოგიური მოხმარება მგ/ლ	ფანგბადის ქიმიური მოხმარება მგ/ლ O <sub>2</sub>
1	ხევსურეთის არაგვი (ბარისახოს ხიდთან)	8.1	1.9	9	141.1	0.4	0.8
2	ფშავის არაგვი (სოფ. აღაროსკარის ბოლოში)	8.2	2.1	5.7	176.1	0.52	0.96
3	მდ.თეთრი არაგვი (მლეთა ჯვრის უღელტეხილის დასაწყისში)	8.2	2.9	14.2	184.0	0.63	0.08
4	მდ.შავი არაგვი (ჰოშპიტალის დასახლება)	8.15	3.2	19	202.2	1.22	1.04
5	მთიულეთის არაგვი (ხანდოსხევის დასახლება)	8.05	3.3	13.0	196.4	1.02	0.48
6	ჟინვალის წყალსაცავი (ანანურის ეკლესიასთან)	8.15	3.2	63.5	188.4	1.1	1.36
7	მდ.არაგვი (ბოდორნას გასასვლელში)	8.2	2.7	10.0	176.7	1.1	0.8
8	მდ.არაგვი (ბულაჩაური ქვესადგურთან)	8.2	2.9	17.3	176.2	1.0	0.96
9	მისაქციელი (სარწყავი არხი)	8.25	3.0	26.8	184.7	3.0	0.96
10	მდ.არაგვი (რესტორან არაგვთან)	8.15	3.0	13.2	199.3	12.9	5.92

ცხრილი 5. ლაბორატორიული ქიმიური ანალიზის შედეგები (იანვარი 2009წ.)

სინჯის №	ნიმუშის დასახელება	pH	სიხისტე მგ-ემქ/ლ	სიმღვრივე HTU	შშრალი ნაშთი მგ/ლ	ფანგბადის ქიმიური მოხმარება, მგ/ლ O <sub>2</sub>
1	ხევსურეთის არაგვი (ბარისახოს ხიდთან)	8	1.95	3.8	148.6	0.1
2	ფშავის არაგვი (სოფ. მადაროსკარის ბოლოში)	8.05	2.2	4.0	202.3	0.1
3	მდ.თეთრი არაგვი (მლეთა ჯვრის უღელტეხილის დასაწყისში)	8.1	2.7	6.2	175.9	1.2
4	მდ.შავი არაგვი (ჰოშპიტალის დასახლება)	7.95	3.6	7.2	242.0	1.1
5	მთიულეთის არაგვი (ხანდოსხევის დასახლება)	8	3.8	12.4	244.2	0.5
6	ჟინვალის წყალსაცავი (ანანურის ეკლესიასთან)	7.9	3.3	16.2	223.7	0.5
7	მდ.არაგვი (ბოდორნას გასასვლელში)	8	2.9	10.2	201.8	0.1
8	მდ.არაგვი (ბულაჩაური ქვესადგურთან)	7.9	3.3	12.8	236.5	1.0
9	მისაქციელი (სარწყავი არხი)	8	3.2	15.1	221.2	0.5
10	მდ.არაგვი (რესტორან არაგვთან)	7.9	3.4	12.2	230.7	0.5

ცხრილი 6. ლაბორატორიული ქიმიური ანალიზის შედეგები (მაისი 2009წ.)

Цеолиты – разновидности алюмосиликатных каркасных материалов, которые имеют отрицательный трехмерный алюмосиликатный каркас со строго регулярной тетраэдрической структурой. В промежутках каркаса находятся гидратированные ионы щелочных и щелочноземельных металлов, компенсирующих заряд каркаса, и молекулы воды. В адсорбционные полости цеолитов сорбируются лишь молекулы веществ, критический размер которых меньше эффективного размера входного окна, от этого и их второе название – молекулярные сита. Известны более 30 видов природных цеолитов, но лишь часть из них образует крупные месторождения (80% концентратов), удобные для промышленной переработки. Наиболее распространенные природные цеолиты: шабазит, морденит, клиноптилолит. Для получения прочных и водостойких фильтрующих материалов из природных цеолитов, как и глины, их нагревают в печах с хлоридом карбонатом натрия при  $1000^{\circ}\text{C}$ . Обработка поверхности цеолитов кремнийорганическими соединениями делает ее гидрофобной, что улучшает сорбцию нефти из воды. Природные цеолиты используются в виде порошков и фильтрующих материалов для очистки воды от ПАВ, ароматических и канцерогенных органических соединений, красителей, пестицидов, коллоидных и бактериальных загрязнений. Когда озера и их водосборы подвержены к значительному антропогенному воздействию, восстановление следует понимать не как возврат экосистемы к ее начальному состоянию, а прежде всего, как снижение антропогенной нагрузки на озеро, удаление биогенных и загрязняющих веществ, повышение самоочищающей способности водоема [4-6].

Изучены адсорбционные свойства древесной опилки, керамзита, шелухи овса, торфа, «эковаты-1», «эковаты-2». Сорбционная емкость оценивается как отношение массы поглощенной нефти к массе сорбента, которые определяют по результатам взвешивания чашки с водой, нефтью и чашки с водой, нефтью и адсорбентом, который целиком поглощает всю разлитую на поверхность нефть [7].

«Эковата-1» и «Эковата-2» - волокнистые пористые материалы, изготовленные при переработке пластиковых бутылок и бывших в употреблении медицинских шприцов. Сосновые опилки – отход лесопереработки, характеризуются разной формой зерен, преобладающие фракции 0,31-0,63мм и 2,5 -5мм. Торф – относится низинно – переходным, содержание минеральной части 35-50%, плотность  $200 - 250 \text{ кг/м}^3$ , преобладающие фракций 0,63-2,5мм. Керамзит – искусственный зернистый материал, получаемый путем обжига глинистого сырья, пористость 50-60% и плотность  $300-700 \text{ кг/м}^3$ . Поры представлены в основном мелкими, замкнутыми ячейками, диаметром 0,5-0,8мм. Шелуха овса – отход переработки овса, представляет собой легкий материал с характерной формой скорлупы, ее плотность –  $100 \text{ кг/м}^3$ .

Результаты испытаний сорбционной емкости приведены в таблице 1, из которой видно, что наибольшую сорбционную емкость в отношении нефти проявил сорбент, изготовленный из отработанных медицинских шприцов. По сорбционной емкости он значительно превышает такие широко используемые в качестве сорбентов природные материалы, как цеолиты и торф.

Таблица 1. Сорбционная емкость различных сорбентов

Вид сорбента	Сорбционная емкость, мг/г
Керамзит	1,0
Торф – 1	1,7
Торф -2	2,5
Отходы шелушения овса	5,1
Эковата из пластиковых бутылок	14,7
Древесные сосновые опилки	16,1
Эковата из одноразовых шприцов	40,5

Сорбционные технологии используются в целях ограничения распространения и сбора нефтепродуктов с поверхности водоемов, почвы, снежного покрова и др. поверхностей. В качестве сорбентов применяются отечественные экологически чистые природные материалы, а также нетканые материалы на основе синтетических и натуральных волокон. Также используются сорбенты на основе природных материалов.

Нефтепоглощающий торфяной сорбент (код продукции СГ 11/99) используется для очистки грунтовых поверхностей от нефтепродуктов и в сорбционных фильтрах. Удельная сорбционная емкость в отношении тяжелых и легких фракций нефти — 4-5 г/г сорбента. Период сохранения плавучести 6—12 часов. Нефтепоглощающий гидрофобный сорбент «Сорбойл» (код продукции СГ 10/99) используется для локализации и сбора нефтепродуктов с поверхности водоемов, почв (грунтов). Удельная сорбционная емкость в отношении тяжелых и легких фракций нефти — 6-8 г/г сорбента. Период сохранения плавучести 10—15 дней. Вермикулит вспененный используется для связывания и сбора свежих разливов нефти и легких нефтепродуктов с грунтов и снежных покровов. Кроме того, этот материал применяется в фильтрах, используемых при очистке воды. Удельная сорбционная емкость 3—5 г/г сорбента. Нефтепродукты в отработанных сорбентах утилизируют биологическим способом при помощи биопрепарата "Сойлекс®".



Рис.1. Сорбенты на основе природных материалов




Рис.2. Сорбенты на основе нетканых материалов

Используются сорбенты на основе нетканых материалов различной конфигурации, которые используют для связывания и сбора нефтепродуктов с различных твердых поверхностей на предприятиях железнодорожного транспорта, нефтепереработки и транспортировки нефтепродуктов, АЗС и т.д. Они применяются в виде полотен, ковриков, салфеток, подушек и прочее. Применяют материалы из смеси натуральных и синтетических волокон. Их удельная сорбционная емкость в отношении нефти 8,5 — 11,0 г/г сорбента, удельная сорбционная емкость в отношении смеси тяжелых и легких фракций нефти (5:1) 7,0 — 7,5 г/г сорбента. Известны материалы из синтетических волокон и их отходов. Их удельная сорбционная емкость в отношении нефти 7,5 — 8,0 г/г сорбента. Удельная сорбционная емкость в отношении смеси тяжелых фракций нефти (5:1) 5,0 — 6,5 г/г сорбента. Широко используется синтетический материал на основе полиэтилена высокого давления. Его удельная сорбционная емкость в отношении нефти 10,0 — 15,0 г/г сорбента. «Пенойлекс», крошка из вспененного полистирола. Она также используется при ликвидации разливов нефти и нефтепродуктов. Ее удельная сорбционная емкость в отношении тяжелых и смеси тяжелых и легких фракций нефти 15—18 г/г. Гидрофобный, период сохранения плавучести 25—30 дней. Используется многократно 5-6 раз [ 8].

Широкое применения приобрели сорбенты для сбора нефтяных и прочих загрязнений с поверхности воды и почвы (характеристики приведены в Таблице 2):

ТЕХНОКЛИН П - на основе вспученного перлитового песка, без дополнительной обработки. Позволяет собирать загрязнения с поверхности почвы ;

ТЕХНОКЛИН ПВ - на основе вспученного перлитового песка с дополнительной обработкой 1,5% раствором гидрофобизирующей жидкости “Софексил-40”, позволяет собирать загрязнения с поверхности воды и береговой линии. Температура его применения - от минус 50°С до плюс 70°С.

Ниже приведены его преимущества:

- экологическая чистота (содержит натуральные компоненты);
- быстрое впитывание нефтяных загрязнений;
- не создают вторичных загрязнений;
- технологичны при применении, с учетом использования технических средств нанесения, последующего сбора и утилизации отработанного материала;
- хорошо смачиваются углеводородами нефти и удерживают их;
- сорбенты Техноклин марок ПВ, МВ, КВ не тонут при длительном контакте с водой;
- экономичный расход;
- неограниченный срок хранения;

Таблица 2. Характеристики Техноклин П и Техноглин ПВ

№	Наименование, показатели	Техноклин П	Техноклин ПВ
1.	Насыпная плотность, кг/м <sup>3</sup>	350 - 100	50 – 120
2.	Размер гранул, мм	< 0,16	< 0,16
3.	Емкость поглощения, кг нефти /кг сорбента		
	Бензин	9,8	9,7
	Дизтопливо	10,1	10,0
	Мазут	10,2	10,1
	Трансформаторное масло	10,2	10,1
4.	Термостойкость, °С	800	250
5.	Влажность, % не более	2,0	20
6.	Плавуемость, суток не более	0	25

Сорбенты на основе перлита широко используются для ликвидации последствий загрязнения нефтью в случае аварий на нефтетанкерах, при очистке водостоков от нефтепродуктов, при очистке промышленных стоков, а также в переносных фильтрах загруженной перлитовым гравием для очистки на судах.

Гидрофобные сорбенты выпускаются в гранулах различного размера. Они способны поглощать нефтепродукты в количестве до 35 % от собственного объема. Это свойство обеспечивается пористостью и особыми характеристиками поверхности, которые придаются последней с помощью специальной обработки.

Основное сырье, которое используется для получения гидрофобных сорбентов – искусственные алюмосиликатные материалы (например, перлит).

После сорбции из сорбата извлекают сорбированные нефтепродукты, которые впоследствии либо утилизируют, либо перерабатывают. Отработанный сорбент часто используется в производстве асфальтобетона. Примерные сроки работы фильтра с загрузкой около 3-3,5 тонн, в зависимости от нагрузки и степени загрязненности воды, составляют в среднем от 10 месяцев до двух лет. Сорбент на основе перлита полностью соответствует основным требованиям, которые предъявляются к веществам для сбора разлитых нефтепродуктов:

- эффективно поглощает нефть или нефтепродукты;
- обладает способностью к длительному хранению, абсолютно пожаробезопасен ;
- не вызывает аллергической реакции при применении; производится на основе гидрофобных материалов; обладает отличной плавуемостью.

Следует отметить, что сорбент, используемый для сбора различных нефтепродуктов должен быть полностью безвреден для окружающей среды и при этом, способствовать сохранению экологического равновесия в случае длительного пребывания в почве или на воде. Таким образом, для сбора и утилизации нефтепродуктов идеально подходит именно сорбент на основе перлита[9].

В связи с вышеуказанным, в лабораториях высокомолекулярных соединений и химии нефти Института физической и органической химии им. П.Г.Меликишвили проводятся целенаправленные исследования по разработке новых типов сорбентов, с использованием различных классов полимеров (как базовых материалов) и природных модифицированных неорганических сорбентов (как основного компонента). Специальная технология способствует получению гибридных полимерных сорбентов, обладающих высокой сорбционной способностью и селективностью к нефтям и нефтепродуктам. Полученные гибридные сорбенты важны для нашей страны, особенно



грузинского сектора Черного моря. В начале XXI века Грузия превратилась в страну транспортирующей по своей территории большой объем нефти и нефтепродуктов. Ухудшение экологического состояния связано с его транзитной функцией из азиатских стран в Европу. По железной дороге к терминалам Батуми, Поти и Супса завозятся огромные количества нефти и нефтепродуктов из азиатских стран. Нефть и нефтепродукты танкерами перевозятся от Черного моря в другие страны[10]. Нефтепровод Баку-Тбилиси-Джейхан также грозит экологической ситуации страны.

### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Фомин Г.С. Коррозия и защита от коррозии. Энциклопедия международных стандартов. М.:Изд-во стандартов, 1999, 520с.
2. Небел Б. “Наука об окружающей среде”. 1993, т.1., Москва «Мир»,420 с.
3. Копаница Е. “Подбор эффективных сорбентов для очистки водоемов от нефтяных загрязнений”.5 с., www.vernadsky.info
4. Румянцев В.А., Драбкова В.Г. Кондратьев С.А. “Проблемы и пути восстановления умирающих озер”. В сб. «Вода и экология», 2000, №2, с. 70-74.
5. Аренс В.Ж. Гридин О.Н. Яшин А.Л. Нефтяные загрязнения: как решить проблему. ”Экология и промышленность России”, сентябрь, 1999, №9, с. 33-36
6. Плющенко Г. Промокашка из отходов. Ж.(Красное знамя) 30 апреля 1997, № 115-116
7. Гридин О.М. Как выбирать нефтяные сорбенты. Ж.“Экология и промышленность России”, сентябрь, 1999, №12,ст.28-33
8. <http://www.polyinform.com>
9. <http://www.bentoprom.ru>
10. Мирцхулава Ц.Е. О современных проблемах оценки показателей экологической надежности водных объектов. Ж. «Известия ВНИИГ им. Веденеева, 1991, с.3-12.

### სორბენტები წყლისა და ნიადაგის ზედაპირიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შეგროვებისთვის

ნათელა ხეცურიანი, გივი პაპავა, ზაზა მოლოდინაშვილი, ნაზი გელაშვილი, ვიტალი შეროზია  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
 პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი  
 შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი  
 რეზიუმე*

ნავთობის მოპოვების მასშტაბების ზრდის პირობებში ყოველთვის არსებობს გარემოს დაბინძურების საფრთხე .დაღვრილი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ლიკვიდაციის პროცესში დღეისათვის ფართო გამოყენებას პოულობს წყლისა და ნიადაგის ზედაპირიდან ამ დამაბინძურებლების შეგროვების სორბციული მეთოდები სხვადასხვა სორბციული მასალების გამოყენებით. მიმოხილვაში წარმოდგენილია სხვადასხვა დანიშნულების ნავთობური სორბენტები.

### SORBENTS FOR COLLECTING OIL FROM WATER AND SOIL SURFACES

Natela Khecuriani, Givi Papava, Zaza Molodinashvili, Nazi Gelashvili, Vitali Sherozia  
*Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry  
 at Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
 Shota Rustaveli National Science Foundation*

### SUMMARY

With increasing scale of oil production there is always the threat of environmental pollution. For spills of oil and petroleum products, now widely found sorption methods of collecting these pollutants from surface water and soils with different sorption materials. In a review of petroleum sorbets for various purposes.

## ლითონთა კოროზია და დაცვა მეტროპოლიტენის ატმოსფეროში

დალი რამაზაშვილი, მანანა მიქაბერიძე, ლია ახვლედიანი, ეთერ გოზალიშვილი, ლონდა თავაძე  
ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

თბილისის მეტროპოლიტენის მიწისქვეშა სათავსებში ლითონთა ატმოსფერული კოროზია ძირითადად მიმდინარეობს კონდენსაციის შედეგად წარმოქმნილი ელექტროლიტის ადსორბციულ, სქელ შრეებში. კოროზიის შედეგად ლითონკონსტრუქციები კარგავენ დეკორატიულ სახეს და, რაც მთავარია, ფიზიკური და მექანიკური თვისებების ცვლილების შედეგად მცირდება მათი საექსპლოატაციო ვადები, ამდენად მნიშვნელოვანია მათი კოროზიისგან დაცვის ოპტიმალური მეთოდების შერჩევა-შემუშავება.

ამ მიზნით ჩატარდა კოროზიულ-ელექტროქიმიური კვლევები ბუნებრივ პირობებში და დანადგარზე, რომელიც აღწერილია [1] ნაშრომში. ექსპერიმენტის პროცესში კამერაში განუწყვეტლივ ორთქლდებოდა სულფატურ-ქლორიდული კალიუმ-ნატრიუმ-მაგნიუმიანი გრუნტის წყალი. ელექტროლიტის ფურჩის სისქე ელექტროდებზე არ იყო ფიქსირებული, პერიოდულად იცვლებოდა, რაც გავლენას ახდენდა ლითონის პოტენციალის სიდიდეზე. საჭიროების შემთხვევაში ექსპერიმენტის პერიოდში ხდებოდა წყლის ბარბოტირება ნახშირორჟანგით ან გოგირდწყალბადით, რომლებითაც მეტროპოლიტენის ზოგ უბანზე მდიდარია გრუნტის წყლები. აირები გარეთ გამოიდევნებოდა ჰიდროჩამკეტით, რის გამოც კამერაში ჰაერის შეღწევადობა იყო შეზღუდული. ანოდური და კათოდური პოლარიზაციული მრუდების გადაღება გალვანოსტატურ რეჟიმში იწყებოდა კამერაში ელექტროდების 24 საათით დაყოვნების შემდეგ.

მეტროპოლიტენში ძირითად საკონსტრუქციო მასალად გამოყენებული ფლ.3 მარკის ფოლადის სტაციონალური პოტენციალი სუფთა ატმოსფეროში ტოლი იყო  $-0,47$  ვოლტის, ნახშირორჟანგის თანაობისას -  $-0,46$  ვოლტის, ხოლო გოგირდწყალბადის თანაობისას -  $-0,42$  ვოლტის. პოტენციალების უმნიშვნელო გაკეთილშობილება აიხსნება ელექტროდების ზედაპირზე კარბონატების ან სულფიდების დაგროვებით და ერთგვარი ეკრანირებით.


ფლ.3-ზე როგორც სუფთა ატმოსფეროში, ასევე აგრესიული აირების თანაობისას, ლითონის იონიზაციის ანოდური პროცესები მიმდინარეობს შეუფერხებლად (იხ. სურათზე მრუდები 1', 2' და 3').

კათოდურ პოლარიზაციულ მრუდზე სუფთა ატმოსფეროში, უბანზე, სადაც პროცესის სიჩქარე განისაზღვრება თვით ელექტროქიმიური რეაქციის სიჩქარით, ადგილი აქვს ჟანგბადურ დეპოლარიზაციას,  $\sim 0,2$  მა/სმ<sup>2</sup> დენის სიმკვრივიდან კი იწყება წყალბადური დეპოლარიზაცია (სურათზე მრუდი 1). სხვაობა სტაციონალურ პოტენციალსა და წყალბადის გამოყოფის პოტენციალს შორის, ანუ პოლარიზებადობა შეადგენს  $0,53$  ვოლტს.

ნახშირორჟანგის ატმოსფეროში კათოდური პროცესი ფლ.3-ზე მნიშვნელოვნად მუხრუჭდება და უკვე დაბალი დენის სიმკვრივეებზე იწყება წყალბადური დეპოლარიზაცია (მრუდი 2). აქ კოროზიული პროცესი მიმდინარეობს უფრო მეტი კათოდური კონტროლით, ვიდრე სუფთა ატმოსფეროში, რაც გამოწვეულია ელექტროდზე კარბონატების გამოლექვით და ომური წინაღობის გაზრდით. პოლარიზებადობა შეადგენს  $0,90$  ვოლტს.

გოგირდწყალბადის ატმოსფეროში პოლარიზებადობა არ აღემატება  $0,11$  ვოლტს, კათოდური პროცესი სულფიდური ფურჩის ქვეშ მიმდინარეობს შეუფერხებლად (მრუდი 3). მასის დანაკარგი გათვლილი ფლ.3-ის კოროზიის სიჩქარე მეტროპოლიტენის ნოტიო ატმოსფეროში მერყეობს  $0,01-0,04$  გ/მ<sup>2</sup>-სთ ზღვრებში. პოლარიზაციული მრუდების ტაფელის უბნების დახმარებით გათვლილი სიჩქარე ორვალენტური რკინაზე გაანგარიშებით შეადგენს  $0,0627$  გ/მ<sup>2</sup>-სთ-ს, ხოლო სამვალენტურიანზე -  $0,0418$  გ/მ<sup>2</sup>-სთ-ს, რაც ეთანადება ბუნებრივ პირობებში მიღებულ შედეგებს. ამიტომ ბუნებრივ პირობებში მეტროპოლიტენის ლითონკონსტრუქციები საჭიროებენ შესაბამისი დაცვის მეთოდების გამოყენებას. ერთ-ერთი მეთოდია მოლითონება ანუ ფოლადზე პროტექტორული ლითონური მასალის დაფრქვევა.

- ფა. 3



სურ. გრუნტის წყლის კონდენსაციის პირობებში ფლ.3-ის კათოდური (1-4) და ანოდური (1'-4') პოლარიზაციული მრუდები: 1-1'-ჰაერში; 2-2'-ნახშირორჟანგის ატმოსფეროში; 3-3'-გოგირდწყალბადის ატმოსფეროში; 4-4'- მოლითონებული ფლ.3 ჰაერში

პოლარიზაციული მრუდები გადაღებული იქნა ორფენოვან - 50 მკმ თუთია + 150 მკმ ალუმინი - მოლითონებულ ზედაპირზე, რომლის სტაციონალური პოტენციალი შეადგენდა -0,74 ვოლტს. 4-4' მრუდების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დანაფარზე კოროზიის პროცესი მიმდინარეობს კათოდურ-ანოდური კონტროლით. შესაბამისი პოლარიზებადობებია 0,8 და 0,7 ვოლტი. ტაფელის უბნების დახმარებით გათვლილი კოროზიის სიჩქარე ალუმინზე გაანგარიშებით შეადგენს 0,013 გ/მ<sup>2</sup>-სთ, ხოლო თუთიაზე - 0,015 გ/მ<sup>2</sup>-სთ-ს. მეტროპოლიტენის ატმოსფეროში მასის დანაკარგით გათვლილი დანაფარის კოროზიის სიჩქარე ტოლია 0,01 გ/მ<sup>2</sup>-სთ-ის. ასეთი ორფენოვანი დანაფარი რეკომენდებულია მეტროპოლიტენის ნოტიო, აგრესიულ ატმოსფეროში ლითონკონსტრუქციების კოროზიისგან დასაცავად. ხანგრძლივი დროით ექსპლუატაციის პირობებში დანაფარი იცვლის დეკორატიულ სახეს, მაგრამ ელექტროქიმიური პროცესების ხარჯზე იგი მაინც იცავს ძირითად ლითონს კოროზიისგან.

მოლითონებული ფურჩის დაცვითი უნარიანობის ამოღება შესაძლებელია წყალგამძლე ლაქსაღებავებით ან ორგანული საცხებით, მითუმეტეს, რომ საღებავის ფენა უფრო თანაბრად ნაწილდება მოლითონებულ ზედაპირზე, ვიდრე სუფთა ლითონზე, მაღალია შეჭიდულობის ხარისხიც.

პოლარიზაციული მრუდები გადაღებული იქნა ასევე ფლ.3-ზე, რომელიც დაფარული იყო 10 მკმ სისქის დაბალი ომური წინაღობის მქონე საცხით პეტროლატუმის ფუძეზე კალციუმის სულფონატის, ცერეზინის, დაჟანგული პეტროლატუმის და ზედაპირულად აქტიური ნივთიერების დანამატით. ამ მრუდებს გააჩნიათ 4 - 4' მრუდების ხასიათი, რის გამოც არ გახდა საჭირო მათი ნახაზზე ჩვენება. კათოდური და ანოდური პროცესები იწყება ძალიან დაბალ დენის სიმკვრივეებზე და შესაბამისი პოლარიზებადობები ტოლია 1,2 და 1,0 ვოლტის, ე.ი. კოროზიის პროცესში უპირატესია კათოდური კონტროლი. საცხის მცირე სისქის დროს ომური წინაღობის წილი არ აღემატება 5 - 10 %-ს და ამდენად ორივე პროცესის დამუხრუჭება ძირითადად განისაზღვრება პოლარიზაციული წინააღობით. ამ ტიპის საცხები მეტროპოლიტენის ატმოსფეროში ფლ.3-ის კოროზიის სიჩქარეს ამცირებენ ერთი რიგით, რაც დასტურდება როგორც მასის დანაკარგით, ასევე პოლარიზაციული მრუდების დახმარებით.

მეტროპოლიტენის ელექტრომოწობილობებში ძირითად საკონსტრუქციო მასალად გამოიყენება სპილენძი და მისი შენადნობები, რომლებიც გოგირდწყალბადის შემოქმედების შედეგად იფარება სულფიდით, რომლის ქვეშაც ვითარდება წერტილოვანი კოროზია. საცხების დაცვითი უნარი M4 მარკის სპილენძის და Л162 მარკის თითბრის მიმართ შემოწმდა ასევე გრუნტის წყლის კონდენსაციის პირობებში სუფთა ატმოსფეროში, თუმცა რეალურ საექსპლოატაციო გარემოში მათი კოროზია მიმდინარეობს მშრალ ატმოსფეროში ან ელექტროლიტის ფაზურ, თხელ ფურჩებში.

საცხის გარეშე სპილენძზე და თითბერზე ანოდური პროცესები მიმდინარეობს შეუფერხებლად, ხოლო კათოდური პროცესები უმნიშვნელოდ მუხრუჭდება. საცხით დაფარულ ელექტროდებზე გადაღებული მრუდების სახეც 4 - 4' მრუდების ანალოგიურია, ამიტომ ისინიც არაა ნაჩვენები ნახაზზე. სპილენძის და თითბრის ანოდური პროცესების პოლარიზებადობა შესაბამისად ტოლია 0,90 და 0,42 ვოლტის, ხოლო კათოდურისთვის ეს სიდიდეებია 1,8 და 1,5 ვოლტი, ადგილი აქვს კოროზიული პროცესების კათოდურ კონტროლს, ანუ კოროზიის სიჩქარის დამუხრუჭებას კათოდური პროცესების შეფერხების ხარჯზე. მასის დანაკარგით გათვლილი სპილენძის და თითბრის კოროზიის სიჩქარეები მეტროპოლიტენის ატმოსფეროში შესაბამისად ტოლია 0,042 და 0,0055 გ/მ<sup>2</sup>·სთ. საცხი პეტროლატუმის ფუძეზე ამ სიჩქარეებს ამცირებს ერთი რიგით და კოროზია იღებს თანაბარზომიერ სახეს.

ამრიგად, მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ თბილისის მეტროპოლიტენში ფოლადის კონსტრუქციების კოროზიისგან დაცვა მიზანშეწონილია თუთია-ალუმინით მოლითონებით, ხოლო ფერადი ლითონების დაცვა - პეტროლატუმის ფუძეზე დამზადებული საცხით.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. დ.რამაზაშვილი, ი.ლორთქიფანიძე, ე.გოზალიშვილი, მ.მიქაბერიძე, ლ.ახვლედიანი, ლ.თავაძე. ფოლადების ატმოსფერული კოროზიის კვლევა დაჩქარებული მეთოდით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტ.32, №1-2, 2006, 187-193.

#### CORROSION AND PROTECTION OF STEELS IN ATMOSPHERE OF TBILISI UNDERGROUND

Dali Ramazashvili, Manana Mikaberidze, Lia Akhvlediani, Eter Gozalishvili, Londa Tavadze  
*Ferdinand Tavadze Institute of Metallurgy and Material Science*

#### SUMMARY

Corrosion- electrochemical characteristics of carbon steel, copper, brass and zinc- aluminium binary metalized coating on the steel in the wet atmosphere of Tbilisi underground and on the laboratory installation in the conditions of the condensation of ground water are investigated. The high corrosion activity of moisture of sulfate-chloride calcium-sodium- magnesium water concerning to metals is revealed, especially if the atmosphere contains carbon dioxide or hydrogen sulfide. For the protection of steel constructions against corrosion the binary zinc - aluminum metalized coating is recommended and for copper and brass details of electrical equipment – multi component grease on the basis of petrolatum with the low ohmic resistance.

#### КОРРОЗИЯ И ЗАЩИТА МЕТАЛЛОВ В АТМОСФЕРЕ ТБИЛИССКОГО МЕТРОПОЛИТЕНА

Д.Р.Рамазашвили, М.П.Микаберидзе, Л.А.Ахвледяни, Э.И.Гозалишвили, Л.Ф.Тавадзе  
*Институт металлургии и материаловедения им.Ф. Тавадзе*

#### РЕЗЮМЕ

Исследованы коррозионно-электрохимические характеристики углеродистой стали, меди, латуни и цинк-алюминиевого двойного металлизационного покрытия на стали во влажной атмосфере Тбилисского метрополитена и на лабораторной установке в условиях конденсации грунтовой воды. Выявлена высокая коррозионная активность влаги сульфатно-хлоридной кальциево-натриево-магниевого воды относительно металлов, особенно, если атмосфера содержит углекислый газ или сероводород. Для защиты стальных конструкций от коррозии рекомендовано двойное цинк-алюминиевое металлизационное покрытие, а для медных и латунных деталей электрооборудования – многокомпонентная смазка с низким омическим сопротивлением на основе петролатума.

## ბულატის ზოგიერთი სტრუქტურული თავისებურების შესახებ

ბადრი ამალლობელი, დომენტი გაბუნია, ვალერიან მეტრეველი

ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი


ცნობილია, რომ ბულატისაგან დამზადებული მჭრელი იარაღი ხასიათდებოდა მაღალი ჭრის უნარით და ესთეტიკური მოხატულობით. ეს შეუდარებელს ხდიდა მას სხვა მჭრელ იარაღებთან მიმართებაში. მიუხედავად მეცნიერთა მრავალი ცდისა [1-5], ასეთი იარაღის უნიკალური მჭრელი თვისებების სიმპტიკესთან შეხამების საიდუმლოება დღესაც მკვლევართა გაცხოველებულ ინტერესს იწვევს.

სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა ბულატის ტიპის ფოლადების ცხლად ჭედვისა და თერმული დამუშავების გზით იმ სტრუქტურულ თავისებურებათა გამოვლენა, რომლებიც უზრუნველყოფენ ასეთი ფოლადისაგან დამზადებული მჭრელი იარაღის მაღალი დრეკადობის შენარჩუნების პირობებში იარაღის სიბასრის – ფხიანობის ზრდას.

ბულატის ტიპის ფოლადს ვადნობდით ე.წ. “ბრძმედულაში” მოთავსებულ ტიგელში, ხის ნახშირისა და კოქსის გამოყენებით. მიღებული სხმული იჭედებოდა 75კგ-იან პნევმატურ უროზე. ნიმუშების გახურება თერმული დამუშავებისა და ჭედვისათვის ხდებოდა მუფელის ღუმელში. ეთნოგრაფიული მასალის მეტალოგრაფიული გამოკვლევა ხდებოდა ექსპონატების დაურღვევლად. ნახშირბადის რაოდენობა განისაზღვრებოდა სტექიომეტრულად როზივალის მეთოდით [6].

ბულატის ტიპის ზეგეტექტიური ფოლადები ძნელად დეფორმირებად შენადნობებს მიეკუთვნება. ტიგელური დნობის ჯავარიანი ფოლადის – ბულატის სხმულები პატარა – 120 მმ დიამეტრის და 10 მმ სიმაღლის ვუცის (WOOZ) სახელწოდების მქონე კვერების სახით ინდოეთიდან ვრცელდებოდა [5]. ეს იყო მაღალნახშირბადიანი (1,1-1,8%C) ფოლადი მცირე მინარეებით. ამგვარი ნამზადის ჭედვა დეფექტების – ბზარებისა და მიკრობზარების გარეშე გარკვეულ ცოდნასა და გამოცდილებას საჭიროებდა.

ბულატის მაკროსტრუქტურის ნაკეთობაზე თავისებური მოხატულობის (სურ.1) მიღების აუცილებელი პირობაა კრისტალიზაციის პროცესში ნადნობის ნელი გაცივება [1-5]. ეს, თავის მხრივ ნახშირბადის ლიკვაციის გამო პირველადი – ეგეტექტიკური კარბიდების გამოყოფას განაპირობებს (სურ.2). შემდგომი გაცივებისას აუსტენიტში ნახშირბადის ხსნადობის შემცირების გამო  $Ac_T - Ac_1$  ტემპერატურულ ინტერვალში ხდება მეორადი კარბიდების გამოყოფა [7].



X3

სურ. 1 ბულატის მაკროსტრუქტურა




X500


სურ. 2 კარბილული ჩანართები გაჭედვამდე

სხმულის მსხვილი დენდრიტული სტრუქტურა, პირველადი და მეორადი კარბიდები, ჭედვის შემდეგ დეფორმაციის მიმართულებით განლაგებული რკინის კარბიდები, წარმოქმნიან ზოლოვან მიკროსტრუქტურას (სურ.3 ა,ბ), რაც ნაკეთობის ზედაპირზე თავისებურ მოხატულობას განაპირობებს (სურ.1).






ა. X100



ბ. X100


სურ.3 ბულატის მიკროსტრუქტურა: ა. ხმლის სიბრტყეზე, ბ. ხმლის ყუაზე

რადგანაც ნახშირბადიანი ფოლადების 950-1000°C-ტემპერატურაზე გახურებისას ცემენტიტი თითქმის მთლიანად იხსნება, ამიტომ ბულატის მაკრო- და მიკროსტრუქტურის მისაღებად, საწყისი სხმულის გამყარების პროცესში ნელი გაცივების ეფექტის შესანარჩუნებლად, საჭიროა დაბალტემპერატურული ჭედვა (800-650°C ტემპერატურულ ინტერვალში). ჭედვის დროს მრავალჯერადი გახურება-გაცივებისას მიმდინარეობს ნაჭედის ციკლური თერმული დამუშავება, მარცვლის დაწვრილმანება, ცემენტიტის ბადის მსხვრევა (სურ.4). პირველადი და მეორადი კარბიდები ჭედვის დროს იკრებს ირგვლივ არსებულ პერლიტის ცემენტიტს, მსხვილდება. პარალელურად ხდება ჭედვის მიმართულებით კარბიდების განლაგება – ზოლების წარმოქმნა. ზოლებს შორის მანძილი დამოკიდებულია საწყისი სხმულში დენდრიტების ზომაზე და საბოლოო ნაკეთობის ზედაპირის ფართზე (ნამზადის გვერდითი ზედაპირის ფართი 3-5-ჯერ მეტია, საწყისი სხმულის გვერდითი ზედაპირის ფართზე). რაც უფრო დიდი ზედაპირი აქვს ნაკეთობას, მით უფრო დიდი ზომის და მკაფიოა მისი მაკროსტრუქტურა.



X500

სურ.4 კარბიდული კოლონა ჭედვის შემდეგ



X2000

სურ.5 მიკროსკოპიული ხერხი იარაღის მჭრელ პირზე

როგორც უკვე ნაჩვენებია იყო [4] აუსტენიტის დაშლის პროდუქტების ფონზე განლაგებული კარბიდის ზოლები ჭედვის და ალესვის შემდეგ არაერთგზის ჩნდებიან მჭრელ პირზე, წარმოქმნიან ე.წ. მიკროსკოპიულ ხერხს (სურ.5), რითაც იზრდება იარაღის ფხამახვილობა – ჭრის უნარი.

დეფორმაციის მიმართულებით განლაგებული მაკროსტრუქტურის და მიკროხერხის წარმოქმნილი კარბიდის ზომები 1-15 მკმ ფარგლებში იცვლება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ბულატის ტიპის ფოლადები საუკეთესო მასალაა ხმლის, დანის და სხვა მსგავსი ცივი იარაღის დამზადებისათვის, ხოლო უფრო თხელი (სისქით 0,05-0,1 მმ) პირის მქონე მჭრელი იარაღის დასამზადებლად კარბიდების ამოვარდნის გამო იგი ნაკლებ ეფექტურია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ბულატის ტიპის ზეეგზექტილიური ფოლადის სტრუქტურული თავისებურებანი განპირობებულია მისი კრისტალიზაციის და ჭედვით დამუშავების პროცესში ჭარბი კარბიდების გამოყოფის და განაწილების არათანაბრობით და მათი ზოლოვანი განაწილებით. ასეთი ფოლადისაგან დამზადებული ცივი იარაღის მჭრელ პირზე დაფიქსირებული ე.წ. “მიკროსკოპული ხერხის” წარმოქმნა თავის მხრივ აუმჯობესებს იარაღის ფხამახვილობას და შესაბამისად, ჭრის უნარს.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. *Ю.А.Геллер*. Инструментальные стали. Москва, «Металлургия», 1975, с. 583
2. *П.П.Аносов*. Сборник сочинений. М., 1954, с. 204
3. *К.К. Чолокашвили*. Автореферат канд. дисс. Тбилиси, 1961, с.22
4. *J.Verhoeven, A.Perdray, W.Dauksch*. The Key Role of impurities in Ancient Damascus Steel Blades, JOM, 50, 9, 1998, p. 58.
5. *ფ.თავაძე, გ.ინანიშვილი, თ.ეთერაშვილი, ბ.ამაღლობელი*. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. 1982, ტ., №1, 108, გვ.113-116
6. *Салтыков С.А*. Введение в стереометрическую металлографию. Изд АН Арм ССР, Ереван, 1950, с.260
7. *Ю.Г.Гуревич*. Загадка булатного узора. Москва: “Знание”, 1985, с. 189.

## ON SOME STRUCTURAL FEATURES OF DAMASCUS STEEL

Badri G.Amaglobeli, Dementi L.Gabunia, Valerian Sh.Metreveli  
*Ferdinand Tavadze Institute of Metallurgy and Materials Science*

## SUMMARY

It is shown that structural features of the Damascus-type hypereutectic steel are provided by the separation of excessive carbides and their inhomogeneous and banded arrangement. On the cutting edge of the cold steel fabricated from such material, it was detected formation of the so-called “microscopic saw”, which in its part improves the cold steel completeness and, as a consequence, it’s cutting ability.

## О НЕКОТОРЫХ СТРУКТУРНЫХ ОСОБЕННОСТЯХ БУЛАТА

Б.Г.Амаглобели, Д.Л.Габуня, В.Ш.Метревели  
*Институт металлургии и материаловедения им. Ф.Н.Тавадзе*

## РЕЗЮМЕ


Показано, что структурные особенности заэвтектойдной стали булатного типа обусловлены выделением избыточных карбидов и их неоднородным и полосчатым распределением. На режущей кромке изготовленного из такой стали холодного оружия зафиксировано возникновение т.н. «микроскопической пилы», что в свою очередь улучшает завершенность холодного оружия и следовательно, его режущую способность.

**ნავთობმოპოვების ჭაბურღილებში მაღალმტკიცე სატუმბ-კომპარესორული მილების საწარმოო გამოცდების შედეგები**

ნოდარ ლუარსაბიშვილი, დალი რამაზაშვილი, ეთერ გოზალიშვილი, მანანა მიქაბერიძე,  
 ლია ახვლედიანი, გიორგი მიქაბერიძე  
 ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

ნახშირწყალბადებზე ზრდადი მოთხოვნების და არსებული საბადოების წარმადობის შემცირების გამო, ნავთობისა და აირის მოპოვებელი ორგანიზაციები იძულებული ხდებიან აითვისონ ღრმა, კოროზიულად აგრესიული ჭაბურღილები, რომლებშიც არის მაღალი ტემპერატურები, გაზრდილია გოგირდწყალბადის, ნახშირორჟანგის და გოგირდრეღუციერებადი ბაქტერიების შემცველობა. ეს იწვევს ჭაბურღილების კონსტრუქციების მწყობრიდან ავარიულ გამოსვლას, რასაც თან სდევს დიდი მატერიალური დანახარჯები და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება. აქედან გამომდინარე, აქტუალური და ეკონომიკურად გამართლებულია სანავთობე სორტამენტის მილებისათვის სპეციალური ფოლადების შექმნა.

ფ.თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში შექმნილია 20X12 ტიპის ფოლადი [1], რომლის თერმოკინეტიკური დიაგრამა მოტანილია ნახ.1-ზე. დაბალი სიჩქარით გაცივების პირობებში გარდაქმნები მიმდინარეობს 600°C ზემოთ და სტრუქტურა ფერიტულ-პერლიტურია (ნახ.1, ა, x400).



ნახ.1. 20X12 ტიპის დაბალლეგირებული ფოლადის თერმოკინეტიკური დიაგრამა შესაბამისი სტრუქტურებით

დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ გადაცივებულ აუსტენიტში ბენიტური გარდაქმნები მიმდინარეობს გაცივების სიჩქარეების 4-0,2°C/წმ ინტერვალში. გაცივების აღნიშნული სიჩქარეები კი შეესაბამება 5-50 მმ დიამეტრის მქონე ცილინდრული ნამზადების ჰაერზე გაცივებას. ასეთ პირობებში ფოლადის მიკროსტრუქტურა ე.წ. გლობულარული ბენიტია (ნახ.1, ბ, x400), რომელსაც ახასიათებს მაღალი მექანიკური თვისებები. ფოლადის ასეთი “კონსტრუქცია” საშუალებას იძლევა დამატებითი თერმული დამუშავების გარეშე, ცხლადგლინულ მდგომარეობაში, მიღებული იქნას სიმტკიცის II ჯგუფის შესაბამისი მექანიკური თვისებები.

გამჭოლმა ელექტრონულ-მიკროსკოპულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ფოლადის მიკროსტრუქტურა ცხლადგლინულ მდგომარეობაში წარმოადგენს გლობულარულ ბენიტს, რომელიც შედგება დისლოკაციების დაბალი სიმკვრივის მქონე მცირე ზომის ფერიტის მარცვლებისაგან, შედარებით მაღალ-



ნახშირბადიანი მარტენსიტის და ნარჩენი აუსტენიტის თხელი შრეებისგან (ნახ.1, გ, x15000), მაღალი მექანიკური თვისებების კომპლექსით:  $\sigma_{0,2}$  - 660-680 მპა,  $\sigma_B$  - 970-990 მპა,  $\delta$  - 18-19%,  $\psi$  - 50% [2].

რადგან მიღების წარმოებისას, ცხლად გლინვის და უწყვეტი გაცივების პირობებში, ძირითადი გარდაქმნები მიმდინარეობს 420-470°C ინტერვალში, მიღებული მდგომარეობა ხასიათდება დამახლოებით. დამატებითი მოშვება 600-680°C ტემპერატურებზე ზრდის ფოლადის პლასტიკურ თვისებებს:  $\delta$ -ს 19-25%-მდე,  $\psi$ -ს 59-70%-მდე, მაგრამ ამცირებს სიმტკიცის მახასიათებლებს დაახლოებით 10 ერთეულით. სტრუქტურა ასევე წვრილკრისტალურია.

სიმტკიცის გაზრდის მიზნით გამოყენებული იყო მაღალტემპერატურული თერმომექანიკური დამუშავება, რომელიც წარმოებდა ღვან "140"-თან დაკავშირებულ თერმომექანიკური დამუშავების უბანზე წრთობით და 600-630°C-ზე მოშვებით. მოშვებისადმი წინააღმდეგობის გაზრდის მიზნით ფოლადის ქიმიურ შედგენილობაში შეყვანილი იქნა ვანადიუმის მიკროდანამატები, ხოლო მოდიფიცირებისათვის - ტიტანი. შემცირდა ქრომის და მანგანუმის შემცველობა, რაც ვანადიუმის და ტიტანის დამატებით გამოწვეულ დანახარჯებს თითქმის აკომპენსირებს.

ამრიგად, 0,2C1,5Mn0,5Cr0,3Si-ის ფუძეზე მალეგირებული ელემენტების, მიკროდანამატების და თერმული დამუშავების გზით შეიქმნა ბენიტური კლასის ფოლადი [3], რომლისათვისაც დამუშავდა სიმტკიცის  $\Pi$ ,  $M$  და  $P$  ჯგუფის სატუმბ-კომპრესორული მილების და მათთვის ქუროების მილების ტექნოლოგია. აღნიშნული ტექნოლოგია ათვისებული იქნა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში.

მარტენის ღუმელში გამოდნობილი ფოლადისაგან საექსპლოატაციოდ დამზადებული მილების ქიმიური შედგენილობა იყო (მას.%): C-0,18; Mn-1,32; Cr-0,54; Si-0,32; Ti-0,05; V-0,01; Ca-0,01; Ba-0,001; B-0,001; S-0,022; P-0,012. მილები დამზადდა კასპიის ზღვაში ნავთობის მოპოვების ჭაბურღილებისთვის, რადგანაც იქ მომუშავე 32Г2 (C-0,29-0,35%; Mn-1,5-1,6%; Fe-ფუძე) მარკის სტანდარტული ფოლადისგან დამზადებული E სიმტკიცის ჯგუფის სატუმბ-კომპრესორული მილები ვერ აკმაყოფილებენ საექსპლოატაციო მოთხოვნებს. მაღალტემპერატურული თერმომექანიკური დამუშავებით შესაძლებელია სიმტკიცის ჯგუფის ამაღლება, მაგრამ ფოლადი ჭაბურღილების პროდუქციაში გამოირჩევა დაბალი კოროზიამდებლობით. მილზე 5,5 მმ კედლის სისქით 3-4 თვეში ჩნდება გამჭოლი ხვრელები, რაც ქმნის ავარიულ სიტუაციებს.

მაღალტემპერატურული თერმომექანიკური დამუშავების შემდეგ 20ХГ2РКaBa ფოლადის სატუმბ-კომპრესორული მილების სტრუქტურა წარმოადგენს მაღალმოშვებულ წვრილკრისტალურ მარტენსიტს, რომლის მექანიკური თვისებები მიეკუთვნება სიმტკიცის  $M$  ჯგუფს:  $\sigma_{0,2}$  - 830მპა,  $\sigma_B$  - 910-920 მპა,  $\delta$  - 16,5%,  $\psi$  - 67% [4]. ამერიკის ნავთობის ინსტიტუტის (API) სპეციფიკაციის თანახმად სატუმბ-კომპრესორული მილები აღნიშნული თვისებებით შეესაბამება P110 ჯგუფს.

ექსპერიმენტული მილების ჭაბურღილებში ჩანერგვას წინ უსწრებდა ფოლადის ნიმუშების მრავალმხრივი ლაბორატორიული და ნახევრად სამრეწველო გამოცდები. ლაბორატორიული გამოცდები ტარდებოდა ნავთობი-ელექტროლიტის ემულსიაში ინტენსიური მორევის პირობებში, ხოლო საწარმოო გამოცდები - ჭაბურღილის სიახლოვეს დამონტაჟებულ ჰერმეტიკულ მოცულობაში, რომელშიც ქვევიდან შედიოდა ნაკადი ჭაბურღილის განშტოებიდან, გამოდიოდა ზევიდან და უბრუნდებოდა საერთო ქსელს. გამოცდის ასეთი პირობები მაქსიმალურად უახლოვდებოდა ჭაბურღილში მიმდინარე პროცესებს. მასის დანაკარგის გარდა შესწავლილი იყო მიდრეკილება წყალბადური სიმყიფისადმი ნოტიო გოგირდწყალბადში, რომელიც ფასდებოდა დაჩქარებული მეთოდით: მილიდან ამოჭრილი 5 მმ სიგანის და 5 სმ სიგრძის ფოლადის ზოლები წყალბადდებოდა კათოდურად, ხურდებოდა 200°C-ზე 2 სთ-ის განმავლობაში და იღუნებოდა პირველი ბზარის გაჩენამდე. სიმყიფისადმი მიდრეკილება ფასდებოდა გაღუნვის კუთხის სიდიდით [5].

ნახშირორჟანგის შემცველი ჭაბურღილების პროდუქციაში ექსპერიმენტული ფოლადების კოროზიის სიჩქარე შედგენილობის და თერმული დამუშავების რეჟიმისგან დამოკიდებულებით მერყეობდა 0,333-0,354 გ/მ<sup>2</sup> სთ-ის ზღვრებში, 32Г2 მარკის ფოლადისთვის კი რღვევის სიჩქარე შეადგენდა 0,796 გ/მ<sup>2</sup> სთ-ს.

გოგირდწყალბადიან ნავთობში ექსპერიმენტული ფოლადები ცხლად გაგლინვის და 600-650°C ტემპერატურებზე მოშვების და მაღალტემპერატურული თერმომექანიკური დამუშავების შემდეგ კოროზირებენ თანაბარზომიერად, კოროზიის სიჩქარე დროში მცირდება უმნიშვნელოდ და არ აღემატება 0,141 გ/მ<sup>2</sup> სთ-ს. 32Г2 ფოლადის სიჩქარე ტოლია 0,284 გ/მ<sup>2</sup> სთ-ის და ზედაპირზე აღინიშნება წყლულოვანი კოროზიის კერები.

გოგირდწყალბადიან არეში შედარებით დაბალი კოროზიის სიჩქარე განპირობებულია კოროზიის შედეგად წარმოქმნილი სულფიდური ფურჩების მაღალი დაცვითი უნარით: რკინა სწრაფად შედის რეაქციაში გოგირდწყალბადთან და წარმოიქმნება წვრილკრისტალური, კომპაქტური ფურჩი რკინის მაღალი შემცველობით, რომელიც ეკრანირებას უკეთებს ძირითად ლითონს და ქმნის ბარიერს ფოლადსა და აგრესიულ გარემოს შორის. ნახშირორჟანგიან ნავთობში წარმოქმნილი პროდუქტები კი ფხვიერია, გააჩნიათ სუსტი ადჰეზია ფოლადთან და კოროზიული პროცესები მიმდინარეობენ შეუფერხებლად [6].

საერთო კოროზიის სიჩქარესთან შედარებით ბევრად მნიშვნელოვანია მათი მედეგობა სულფიდური დასკლამისადმი. ნოტიო გოგირდწყალბადში 20XГ2PKaBa ფოლადი არ განიცდის წყალბადურ სიმძიმეს, მაშინ როდესაც 32Г2 ფოლადი მაღალტემპერატურული თერმომექანიკური დამუშავების შემდეგ მაღალი სიმტკიცის, დაძაბული ორფაზა სტრუქტურის, ნახშირბადის მაღალი შემცველობის და მოლეკულური წყალბადის კოლექტორების არსებობის გამო კარგავს პლასტიკურობას.

კვლევების საფუძველზე გადაწყდა საწარმოო გამოცდები კასპიის ზღვაში ნავთობის მოპოვების ჭაბურღილებში გაეკლოთ 20XГ2PKaBa მილებს ძირითადად მაღალტემპერატურული თერმომექანიკური დამუშავების შემდეგ, ხოლო ცხლად გაგლინულ მდგომარეობაში გამოცადა მხოლოდ რამოდენიმე მილი. 73 მმ დიამეტრის და 5,5 მმ კედლის სისქის 10 მ სიგრძის 335 მილი ჩამყვებული იქნა ოთხ ჭაბურღილში 1879-1901 მ სიღრმეებზე. 12 თვის შემდეგ მილები ამოღებული იქნა ყველაზე ღრმა ჭაბურღილიდან, რომელშიც ექსპლუატაციის განსაკუთრებით აგრესიული პირობებია – წყლის ფაზა 35 %-ია, ხოლო საერთო მინერალიზაცია – 100 გ/ლ. წყლის ფაზაში ძირითადად არის ნატრიუმის, კალიუმის, კალციუმის და მაგნიუმის ქლორიდები, სულფატები, კარბონატები, ჰიდროკარბონატები და სხვ, დიდი რაოდენობითაა ორგანული მჟავების მარილებიც.

ვიზუალურმა დათვალიერებამ გამოავლინა ხრახნების კარგი მდგომარეობა მილებზე და ქურობებზე, მაშინ როდესაც 32Г2 და იაპონური წარმოების API სპეციფიკაციის მიხედვით C 75 მარკის ფოლადების მილები 5 თვეში იყო სრულიად ამორტიზებული. 20XГ2PKaBa ფოლადის მხოლოდ ოთხ მილზე აღინიშნებოდა კოროზიული წყლულები და 3-30 მმ დიამეტრის გამჭოლი ხვრელები. ყველა დაზიანებული მილი მდებარეობდა ჭაბურღილის ძირში, სადაც ექსპლუატაციის განსაკუთრებით მძიმე პირობებია. უკანასკნელ მილზე დაფიქსირდა 7 ხვრელი, სხვებზე – 1 ან 2. ხვრელები განლაგებული იყო მილის ბოლოდან ერთი მეტრის ფარგლებში. ამ ზონაში შეინიშნებოდა მილების კედლების გათხელება, რაც მიუთითებს თანაბარზომიერი და წყლულოვანი კოროზიული პროცესების ერთდროულ მიმდინარეობაზე. აღსანიშნავია, რომ ყველა დაზიანება განლაგებული იყო ერთ ვერტიკალზე. სავარაუდოა, რომ სატუმბ-კომპრესორული მილები არ მდებარეობდა ჭაბურღილის ცენტრში, გადახრილი იყო სამაგრი მილის ერთ-ერთი კედლისკენ, რის შედეგადაც ვიწრო ხვრელში თხევადი ნაკადის სიჩქარე იყო შედარებით მაღალი. ნაკადის წრებრუნვა და მილის ზედაპირზე პოტენციალთა სხვაობა ვიწრო და განიერ უბნებზე ქმნიდა გალვანური წყვილების მუშაობის ხელსაყრელ პირობებს, 20XГ2PKaBa ფოლადის მილის ზედაპირი ვიწრო ხვრელში გამოდიოდა ანოდის როლში და იწყებოდა მისი კოროზიულ-ეროზიული რღვევა.

დაუზიანებელი, ანუ მილის შუა ნაწილიდან ამოჭრილი ნიმუშების გამოკვლევით დადგინდა, რომ ფოლადის მექანიკური თვისებები არ შეცვლილა, უმნიშვნელოდ შემცირდა ფარდობითი წაგრძელება – 14,2%-მდე. არ აღინიშნება მექანიკური თვისებების შემცირება მილის ბოლოშიც, დაზიანებულ უბანზე, სადაც ასევე უმნიშვნელოა შემცირებული ფარდობითი წაგრძელება (12%-მდე) და ფარდობითი შევიწროება (61%-მდე).

დაზიანებების მთავარი მიზეზი გამოვლინდა მილის დაზიანებული და დაუზიანებელი უბნების მეტალოგრაფიული ანალიზით: სატუმბ-კომპრესორული მილების საჭირო ზომების მილების საბოლოო სტადიას წარმოადგენს რედუცირება. რედუცირების წინ გახურება ხდებოდა გაზის ღუმელში და დგანზე მიწოდებისას დაახლოებით ერთი - ერთნახევარი მეტრი სიგრძის მილის ბოლო, მილის სხეულთან შედარებით იყო 30-40°C-ით უფრო გახურებული, რამაც მილის გადახურებულ უბანში გამოიწვია აუსტენიტის მარცვლის გაზრდა და ჰაერზე გაცივების შემდეგ ცხლადგლინულ მდგომარეობაში საბოლოო პროდუქტში წარმოიქმნა უხეში მსხვილმარცვლოვანი ბენიტური სტრუქტურა, ხოლო მაღალტემპერატურული თერმომექანიკური დამუშავების შემდეგ – მსხვილკრისტალური მარტენსიტი მოშვების უხეში მდგენელებით. მილის სხეულში კი აუსტენიზაციის შედარებით დაბალმა ტემპერატურამ უზრუნველყო წვრილკრისტალური სტრუქტურა. მიკროსტრუქტურების შედარება ამტკიცებს, რომ მილების ბოლოებზე წყლულების და გამჭოლი ხვრელების გაჩენის მიზეზია უხეში მსხვილკრისტალური

სტრუქტურა. სტრუქტურებს შორის სხვაობა წარმოქმნის გაღვანურ წყვილს, რომელშიც მილის მსხვილკრისტალური ბოლო გამოდის ანოდის როლში და მილის კედელი თხელდება თანაბარზომიერი კოროზიის ხარჯზე.

მილის ბოლო და შუა ნაწილში მიკროსტრუქტურებს შორის სხვაობის თავიდან აცილება შესაძლებელია ქარხნის პირობებში მილების თერმული დამუშავების სპეციალური ღონისძიებების შემუშავებით, კერძოდ, რედუცირების დგანზე მიწოდების წინ მილის მთელ სიგრძეზე აუსტენიზაციის ერთგვაროვანი ტემპერატურის უზრუნველყოფით. ერთგვაროვანი სტრუქტურის მიღება გაზრდის სატუმბ-კომპრესორული მილების საექსპლუატაციო მახასიათებლებს დიდი დატვირთვების და კოროზიულად აგრესიული ნედლი ნავთობის და გაზის ნარევის ნაკადით ხევის პირობებში.

#### დასკვნები:

1. დაბალლეგირებული ქრომმანგანუმიანი, ვანადიუმით და ტიტანით მოდიფიცირებული ფოლადისაგან დამზადებული მაღალი სიმტკიცის სატუმბ-კომპრესორული მილების საწარმოო გამოცდებმა აჩვენა, რომ ისინი ხასიათდებიან გაზრდილი კოროზიამდებობით გოგირდწყალბადისა და ნახშირორჟანგის შემცველი ნავთობის არეებში და შესაძლებელია მათი ფართომასშტაბიანი დანერგვა კოროზიულად აგრესიული ნავთობის ჭაბურღილებში.

2. მილების ერთგვაროვანი სტრუქტურის ჩამოყალიბების მიზნით, რედუცირების დგანზე მიწოდების წინ, აუცილებელია ნამზადის მთელ სიგრძეზე აუსტენიზაციის თანაბარი ტემპერატურის მიღება. ეს უზრუნველყოფს მილების ერთგვაროვან მიკროსტრუქტურას და მაღალ კოროზიამდებობას.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. ფთავაძე, რ.სულაძე, ნ.ზოიძე, ნ.ლუარსაბიშვილი, დ.ხარაძე, ა.ლომაშვილი. საავტორო მოწმობა “ფოლადი”, № 1 0 9 1 9 9 8 , სსრკ, 1985 წ.
2. Ф.Н.Тавадзе, Н.А.Зоидзе, Н.Н.Луарсабшвили, Р.А.Тхелидзе, Д.М.Харадзе, А.Н.Ломашвили. Низкоуглеродистая экономнолегированная сталь для высокопрочных насосно-компрессорных труб северного исполнения. Тезисы докладов научно-технической конференции “Новые материалы и ресурсосберегающие технологии термической и химико-термической обработки основа повышения надежности и долговечности деталей машин и инструментов”, Москва 1987. стр. 33-34.
3. ახანლაროვა, ი.ნავიევა, ა.ალიევი, ნ.ზოიძე, ნ.ლუარსაბიშვილი, ვ.ხუნწარია, ი.ლორთქიფანიძე. მაღალი სიმტკიცის ეკონომიურად ლეგირებული ფოლადი სატუმბ-კომპრესორული მილებისა და მათთვის ქურობისთვის. აზერბაიჯანის პატენტი № 990033, 1999 წ.
4. А.Е.Сароян, Н.Д.Щербюк, Н.В.Якубовский и др. Трубы нефтяного сортамента. Справочник. Москва, «Недра», 1987, 488 стр.
5. დრამაზაშვილი, მ.მიქაბერიძე, ი.ლორთქიფანიძე, ე.ხუნწარია, ნ.ლუარსაბიშვილი, ლ.ახვლედიანი. ტიტანისა და ვანადიუმის გავლენა ქრომმანგანუმიანი მაღალმტკიცე ფოლადის სულფიდურ დასკლამაზე. საქ. მეცნ. ეროვნ.აკ. მაცნე, ქიმიის სერია, ტ.33, №4, 2007, გვ.481-483.
6. Ф.Н.Тавадзе, С.Н.Манджгаладзе, Д.Р.Рамазашвили, З.Ш.Херодинашвили. Исследование защитных свойств продуктов углекислотной и сероводородной коррозии трубных сталей. Материалы VI Межд. Конгресса по коррозии металлов. Сидней, 1975.

#### RESULTS OF INDUSTRIAL TESTS OF HIGH-STRENGTH TUBINGS IN OIL-EXTRACTING WELLS

Nodar Luarsabishvili, Dali Ramazashvili, Eteri Gozalishvili, Manana Mikaberidze,  
Lia Akhvlediani, Giorgi Mikaberidze

*Ferdinand Tavadze Institute of Metallurgy and Materials Science*

#### SUMMARY

Low alloyed high-strength bainite steel for tubings of deep and super deep oil-extracting wells has been developed on the base of 20XГ2 steel by complex alloying, with micro additives and thermal treatment. To increase operational properties of tubings and reliable start-up in manufacture it is necessary to achieve homogeneous fine-grained structure in all the pipe body. This is possible by providing of identical temperature of austenization on all the length of bar before giving on reduced mill. The pipes from a new

steel after high temperature thermo mechanical treatment have revealed high resistance to the general corrosion and sulfide cracking in deep oil extracting wells of Caspian sea.

### **РЕЗУЛЬТАТЫ ПРОМЫШЛЕННЫХ ИСПЫТАНИЙ ВЫСОКОПРОЧНЫХ НАСОСНО-КОМПРЕССОРНЫХ ТРУБ В НЕФТЕДОБЫВАЮЩИХ СКВАЖИНАХ**

Н.Н.Луарсабишвили, Д.Р.Рамазашвили, Э.И.Гозалишвили, М.П.Микаберидзе, Л.А.Ахвледиани,  
Г.В.Микаберидзе

*Институт металлургии и материаловедения им. Ф.Н.Тавадзе*

#### **РЕЗЮМЕ**

На основе стали 20ХГ2 комплексным легированием, микродобавками и термической обработкой разработана низколегированная высокопрочная бейнитная сталь для насосно-компрессорных труб глубоких и сверхглубоких нефтедобывающих скважин. Для повышения эксплуатационных свойств насосно-компрессорных труб и надежного пуска в производство необходимо добиться однородной мелкозернистой структуры во всем теле трубы. Это возможно обеспечением одинаковой температуры аустенизации по всей длине заготовки перед подачей на редуционный стан. Трубы из новой стали после ВТМО выявили высокую стойкость к общей коррозии и сульфидному растрескиванию в глубоких скважинах нефтедобычи Каспийского моря.

## ქიმიური ტექნოლოგია

## ბუნებრივი სორბენტების გამოყენება ფოროვანი მასალების მისაღებად

ზაზა მოლოდინაშვილი, ნაზი გელაშვილი, გივი პაპავა, ნორა დოხტურიშვილი, ნუნუ მაისურაძე,  
ნათელა ხეცურიანი, ეთერ გავაშელიძე  
ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პეტრე ძელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი  
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

ფოროვანი მასალების მისაღებად შერჩეულია ბუნებრივი სორბენტი – დიატომიტი, ცეოლითი და პერლიტი. ჩატარებულია სორბენტების თერმული, ქიმიური მოდიფიცირება და მათი ჰიდროფობიზაცია. ამილალდეჰიდური ოლიგომერები სინთეზირებულია ფოროვანი მასალების კომპოზიციაში მატრიცად გამოყენების მიზნით

თანამედროვე პირობებში აქტუალურია გარემოს, განსაკუთრებით წყლის (მდინარეების, ტბების, წყალსაცავების, ზღვების და სხვ.) დაცვა ნავთობპროდუქტებით და სხვა ტოქსიკური ორგანული ნივთიერებებით დაბინძურებისაგან [1].

ცნობილია, რომ 1 ლ ნავთობი 40 000 ლიტრ წყალს უზღუდავს ჟანგბადს, 1 ტონა ნავთობი აბინძურებს 12 კვ. კმ წყლის ზედაპირს. ამჟამად ფართოდაა გავრცელებული წყლის ზედაპირის გასუფთავების აბსორბციული მეთოდი. დაღვრილი ნავთობის და ნავთობპროდუქტების სორბციის მიზნით იწარმოება და გამოიყენება დაახლოებით 200-მდე სხვადასხვა სახის სორბენტი [2].

სორბენტის ხარისხი განისაზღვრება იმით, თუ რა მოცულობის ნავთობს და ნავთობპროდუქტებს შთანთქავს ის. აგრეთვე მისი რეგენერაციის, უტილიზაციის და წყალზე ტივტივის უნარით. ამ მიზნით უმეტეს შემთხვევაში იყენებენ არაორგანულ სორბენტებს – სხვადასხვა სახის თიხებს, ცეოლითებს, დიატომიტს. აღნიშნული სორბენტების ხარისხი არასაკმარისია ეკოლოგიის თვალსაზრისით. მათ გააჩნიათ დაბალი შთანთქმის უნარი ნავთობის მიმართ. წყლის ზედაპირიდან ნავთობის სორბციის შემდეგ არაორგანული სორბენტები აბსორბირებულ ნივთიერებებთან ერთად იძირებიან წყალში და იწვევენ მდინარეების, წყალსაცავების, ზღვების და ოკეანეების ფსკერის დაბინძურებას.

აქედან გამომდინარე, ახალი, მაღალეფექტური სორბენტების დამუშავება წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას [3].

ფოროვანი სორბენტები ეფექტურად გამოიყენება აგრეთვე როგორც თბო- და ბგერა-საიზოლაციო მასალები. ბუნებრივ სორბენტებს გააჩნიათ უპირატესობა სინთეზურ სორბენტებთან შედარებით (სიიაფე, ხელმისაწვდომობა). ამიტომ, ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევები ბუნებრივი მინერალური სორბენტების გამოსაყენებლად პოლიმერულ კომპოზიციებში, მათ ბაზაზე ფოროვანი მასალების მისაღებად.

ბუნებრივი სორბენტებიდან შერჩეულ იქნა ცეოლითი, დიატომიტი და პერლიტი.

სორბენტების გააქტიურების მიზნით ჩატარდა მათი თერმული და ქიმიური მოდიფიცირება.

დადგენილ იქნა ბუნებრივი სორბენტების თერმული მოდიფიცირების ოპტიმალური პირობები: დიატომიტისათვის – 1000°C-ზე გახურებით 3 საათი, ცეოლითისათვის – 240-700°C-ზე 6 საათი, ხოლო პერლიტისათვის 400-600°C-ზე 3 საათი.


ცეოლითის ფორების ზომების გაზრდისა და გააქტიურებისათვის ჩატარდა მისი ქიმიური მოდიფიცირება. დადგენილი იქნა ცეოლითის ქიმიური მოდიფიცირების ოპტიმალური პირობები: ტემპერატურა, დრო, ხსნარების კონცენტრაცია და კომპონენტების შეფარდება. ქიმიური მოდიფიცირება ხდება მჟავებით, ამონიუმის ქლორიდით, კალიუმის ქლორიდით და სხვა ქიმიური ნაერთების გამოყენებით. კერძოდ, ცეოლითის ამონიუმის ფორმის მისაღებად ცეოლითის მოდიფიცირებას ვაწარმოებდით ამონიუმის ქლორიდის 0,1 ხსნარით. ამ მიზნით ცეოლითს ვათავსებდით კოლბაში, რომელსაც მორგებული აქვს მექანიკური სარეველა და ვუმატებდით ამონიუმის ქლორიდის წინასწარ დამზადებულ 0,1N ხსნარს (1გ ცეოლითზე 10 მლ ხსნარს), მუდმივი მორევის პირობებში 1საათს, 98°C-ზე. შემდეგ ვფილტრავდით. ცეოლითს ვრეცხავდით გამონდლი წყლით ქლორის იონების მოცილებამდე. პროცესს ვიმეორებდით 5-6-ჯერ. ამის შემდეგ ცეოლითს ვაშრობდით მუდმივ წონამდე ვაკუუმ თერმოსტატში 60°C-ზე. შემდეგ ხდებოდა სორბენტების ჰიდროფობიზაცია.

შესწავლილია დიატომიტის, პერლიტის და ცეოლიტის ჰიდროფობიზაციის პირობები. კერძოდ, ჩატარებულია ბუნებრივი არამოდულიცირებული დიატომიტისა და თერმულად ( $400^{\circ}\text{C}$ -ზე) მოდიფიცირებული დიატომიტის ჰიდროფობიზაცია  $250^{\circ}\text{C}$ -ზე, 6 საათის განმავლობაში სილიკონის არეში.

თერმულად მოდიფიცირებული დიატომიტი ჰიდროფობიზაციის შემდეგ არ სველდება წყლით და არ იძირება, ნავთობით დაბინძურებული წყლის ზედაპირიდან ეფექტურად აბსორბირებს ნავთობს.

დიატომიტი წარმოადგენს პერსპექტიულ სორბენტს წყალ-ნავთიანი ემულსიების გასაწმენდად.  $450-700^{\circ}\text{C}$ -ზე გახურებული დიატომიტი გამოიყენება ნავთობის დაბალი კონცენტრაციების დროს  $1.0.103$  მგ/ლ –  $6.103$  მგ/ლ. როდესაც ნავთობის კონცენტრაცია მაღალია, მაშინ გამოიყენება  $1000-1200^{\circ}\text{C}$ -ზე მოდიფიცირებული დიატომიტი.

დიატომიტის ბაზაზე პოლიმერული კომპოზიციების მისაღებად სინთეზირებულ იქნა კომპოზიციის მეორე ძირითადი კომპონენტი - კარბამიდ-ფორმალდეჰიდური (ა), მელამინ-ფორმალდეჰიდური (ბ) და კარბამიდ-მელამინ-ფორმალდეჰიდური შერეული ოლიგომერები (გ), რომლებიც წარმოადგენენ პერსპექტიულ მასალებს კომპოზიციებში მატრიცებად გამოყენებისათვის [4].



### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. *Артемов А.В.* Современные технологии очистки нефтяных загрязнений. «Нефть и газ. Промышленность», 4(9), 2004г., ст. 154
2. *Вардесян Г.Ц.* и др. Выбор местных фильтрующе-сорбционных материалов для очистки сточных вод от нефтепродуктов. IV международный конгресс «Вода: Экология и технология». ЭКВАТЭК-2000., с. 64
3. *Небель Б.* Наука об окружающей среде. Т. 1, «Мир», 1993, с. 138.
4. *Торопцева А.М., Белгородская К.В., Бондаренко В.М.* Лабораторный практикум по химии и технологии высокомолекулярных соединений. Ленинград: Химия, 1972, с. 218.

### USAGE OF NATURAL SORBENTS FOR OBTAINING OF POROUS MATERIALS

Zaza Molodinashvili, Nazi Gelashvili, Givi Papava, Nora Dokhturishvili, Nunu Maisuradze, Natela Kchetsuriani, Eter Gavashelidze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry*

### SUMMARY

Natural sorbents like diatomite, zeolite and perlite were selected for obtaining of porous materials. Thermal and chemical modification of sorbents and their hydrophobization afterwards was carried out. Amidoaldehyde oligomers were synthesized for their usage as matrix in composition of porous materials.

### ИСПОЛЬЗОВАНИЕ ПРИРОДНЫХ СОРБЕНТОВ ДЛЯ ПОЛУЧЕНИЯ ПОРИСТЫХ МАТЕРИАЛОВ

З.Ф.Молодинашвили, Н.С.Гелашвили, Г.Ш.Папавა, Н.С.Дохтуришвили, Н.А.Маисурадзе, Н.Т.Хецуриани, Е.Ш.Гавашелидзе

*Институт физической и органической химии им. П.Г.Меликишвили  
Тбилисского Государственного Университета им. Ив. Джавахишвили  
Национальный Научный Фонд им. Шота Руставели*

### РЕЗЮМЕ

Для получения пористых материалов отобраны природные сорбенты- диатомит, цеолит и перлит. Проведено термическое и химическое модифицирование сорбентов, а затем их гидрофобизация. Амидоальдегидные олигомеры синтезированы для использования в качестве матриц в составе пористых материалов.

### ლიბნოცელულოზაშემცველი ნედლეულიდან თხევადი ბიოსაწვავის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები


ლეილა ტატიაშვილი, ნანა წეროძე, ირმა მიქაძე, რუსუდან ციკარიშვილი, თეიმურაზ უჩანეიშვილი  
*ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი*

მსოფლიოს “ნავთობის XIII კონგრესის” მონაცემებით, ნედლეულის წინასწარ მოძიებული მარაგი ჩვენს პლანეტაზე 140-145 მლრდ ტონით განისაზღვრება. მოხმარების თანამედროვე ტემპების გათვალისწინებით-72,5 მლნ ბარელი დღეში. ეს მარაგი საკმარისი იქნება 35-40 წლის განმავლობაში, ამიტომ ნავთობზე მოთხოვნილება, როგორც ჩანს, მომავალში უფრო მეტად გაიზრდება [1].

ნავთობის მარაგის შემცირების და მასზე ფასების უპრეცედენტო ზრდის გამო, აუცილებელია ახალი ენერჯის რესურსების მოძიება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია განახლებადი ბიომასის გამოყენება.

ბიომასის ყოველწლიური მსოფლიო ნამატი, მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით, 170-200 მლრდ ტონას შეადგენს, რაც 70-80 მლრდ ტონა ნავთობური ექვივალენტის ტოლია [2], ხოლო მსოფლიოს ყოველწლიური მოთხოვნილება ენერგომატარებლებზე 7,7-8,4 მლრდ ტონა ნავთობის ექვივალენტია (~10-12 მლრდ ტონა პირობითი საწვავი), ამიტომ მსოფლიოს ბიოსაწვავის ბაზარი და ამ დარგში გამოყენებითი კვლევების დონე სწრაფად იზრდება. ამჟამად მსოფლიოში ორი სახეობის თხევადი ბიოსაწვავი იწარმოება: ე.წ. ბიოეთანოლი და ბიოდიზელი. პირველისათვის ნედლეულად გამოიყენება ნახშირწყლებშემცველი მცენარეები (შაქრის ლერწამი, სიმინდი, ჭარხალი და ა.შ.), ხოლო მეორისათვის - ზეთშემცველი კულტურები და ცხოველური ნარჩენები (რაფსი, სოიო, პალმის ზეთი). პირველი მიმართულება - ბიოეთანოლის წარმოება განვითარებულია აშშ-სა და ბრაზილიაში.

2007 წელს მსოფლიოში 52 მლრდ ლიტრი (~41 მლრდ ტონა) ბიოეთანოლი აწარმოეს (2005 წელს-36,3 მლრდ ლიტრი). აქედან 82% აშშ-სა და ბრაზილიაში. სურ.1-ზე ნაჩვენებია 2006 წელს სხვადასხვა ქვეყნების წილი ბიოეთანოლის წარმოებაში.




სურ. 1. ბიოეთანოლის წარმოება მსოფლიოში 2006 წელს (40 მლრდ ლიტრი)


2007 წელს აშშ-ში მიიღეს კანონი ენერგეტიკული დამოუკიდებლობის და უსაფრთხოების შესახებ (EISA 2007), რომელიც ითვალისწინებს ბიოეთანოლის წარმოების გაზრდას წელიწადში 36 მლრდ გალონამდე (~119 მლნ ტონა). აქედან 16 მლრდ გალონი (~53 მლნ ტონა) მიღებული იქნება ცელულოზიდან. ოპტიმისტური პროგნოზით, არასაკვები ცელულოზიდან ეთანოლის წარმოების მოცულობა 2020 წელს მიაღწევს 281,5 მლრდ ლიტრს.

ევროკავშირი მზადაა, რომ 2020 წლისათვის საწვავის ბაზრის 10% შეცვალოს ბიოეთანოლით. აღსანიშნავია, რომ ბიოდიზელის წარმოება აქ უფრო მეტადაა განვითარებული, ვიდრე აშშ-სა და ბრაზილიაში.

ბიოდიზელი წარმოადგენს უმაღლესი ცხიმოვანი მჟავების მეთილის ეთერების ნარევს. ნელელულად ამ შემთხვევაში გამოიყენება სოიოს, რაფისის, ბამბის ზეთები და აგრეთვე კვების მრეწველობის ნარჩენები. აღნიშნული მცენარეებიდან გამოყოფილი და აგრეთვე კვების ნარჩენი ზეთები ეთერიფიცირდება მეთანოლით, კატალიზატორის-ნატრიუმის მეთოქსიდის თანაობისას. მიღებული ნარევი გასუფთავების შემდეგ უშუალოდ გამოიყენება, როგორც დიზელის საწვავი. სურ.2-ზე წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნების წილი ბიოდიზელის წარმოებაში, ხოლო სურ.3-ზე მსოფლიოში ბიოდიზელის წარმოება და პერსპექტიული პროგნოზი.



სურ. 2. ბიოდიზელის წარმოება მსოფლიოში 2006 წელს (სულ 6,5 მლრდ ლიტრი)



სურ. 3. მსოფლიოში ბიოდიზელის წარმოება და პერსპექტიული პროგნოზი 2030 წლის ჩათვლით.

ბიოსაწვავი, როგორც ბიოეთანოლი ასევე ბიოდიზელი, არ შეიცავს გოგირდს და კანცეროგენულ ბენზოლს. ამ საწვავის დაშლა მიმდინარეობს ჩვეულებრივ პირობებში, ბუნებაზე ზიანის მიყენების გარეშე, ხოლო ძრავაში მისი წვის დროს გამონაბოლქვი აირები 50-80%-ით ნაკლებია, ვიდრე ტრადიციული მინერალური საწვავის წვისას. ამასთანავე, ბიოეთანოლი ხასიათდება მაღალი ოქტანური რიცხვით. ცხრილში 1 წარმოდგენილია ეთანოლისა და ბენზოლის ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებელი.



## ცხრილი 1.

მაჩვენებლები	ბენზინი	ეთანოლი
თვითაალების ტემპერატურა	255-370	404
დინამიური სიბლანტე, სპ	0.319 0.539	1.2
წვის სითბო, მჯ/კგ	42	25
ოქტანური რიცხვი	72-95	105

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ეთანოლის თვითაალების ტემპერატურა უფრო მაღალია, ვიდრე ბენზინის. ამის გამო ეთანოლი უფრო მაღალ შეკუმშვის ხარისხებს უძლებს (19), ვიდრე ბენზინი (პირდაპირნახადი ბენზინი დეტონირებს 14,5 შეკუმშვის ხარისხის დროს). ამავე მიზეზით ეთანოლის ორთქლი ნაკლებად ხანძარსაშიშია. ეთანოლი უფრო ბლანტია, ვიდრე ბენზინი, რის გამოც ძრავის ამუშავება ადვილდება ცივი ამინდის პირობებშიც. ეთანოლის ელექტროგამტარობა მაღალია, ვიდრე ბენზინის, რაც ამცირებს სტატიკური ელექტრობის დაგროვებას.

ეთანოლის მოლეკულაში ჟანგბადის ატომის არსებობა ხელს უწყობს მის სრულ წვას და აქედან გამომდინარე, გამონაბოლქვში ტოქსიკური აირების შემცველობა მცირეა.

ვინაიდან ეთანოლის წვისას წარმოქმნილი CO<sub>2</sub> ატმოსფერული წარმოშობისაა, მისი ასიმილირება შეუძლიათ მცენარეებს, რის შედეგადაც CO<sub>2</sub>-ის წრებრუნვის ბალანსი არ ირღვევა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ეხება ბიოდიზელსაც. ცხრილში 2 წარმოდგენილია მინერალური დიზელის საწვავისა და ბიოდიზელის ზოგიერთი ფიზიკური და ქიმიური მაჩვენებელი.

## ცხრილი № 2

მაჩვენებლები	ჩვეულებრივი დიზელის საწვავი	ბიოდიზელი
1. სიმკვრივე, 20 <sup>0</sup> C-ზე, კგ/მ <sup>3</sup>	826	877
2. ცეტანის რიცხვი	45	48
3. წვის სითბო, მჯ/კგ	42.5	37.5
4. ზედაპირული დაჭიმულობა 20 <sup>0</sup> C-ზე, ნ/მ <sup>2</sup>	27 10 <sup>-3</sup>	31.4 10 <sup>-3</sup>
5. გოგირდის შემცველობა, % მას	0.2	0.02
6. გლიცერინის შემცველობა, % მას	-	0.3

ბიოსაწვავის სფეროში ძალზე დიდ ყურადღებას იპყრობს განახლებადი თხევადი საწვავების წარმოება, რომელიც გამოიყენება ტექნიკაში ძრავებისათვის.

ერთ-ერთი გზა განახლებადი ბიოსაწვავების ფართოდ გავრცელებულ გამოყენებასთან იქნება ისეთი საწვავის წარმოება, რომელიც თავსებადია არსებულ მოტორულ ტექნოლოგიებთან და ინფრასტრუქტურასთან. ასე რომ, ამ პირდაპირი ცვლილებით შესაძლებელი იქნება განახლებადი საწვავის ტიპების არევა. წყალბადისა და ელექტროენერჯის წყაროები არ არის მარტივად გამოყენებადი, რადგან მათ ექსპლუატაციას ესაჭიროება მაღლი დონის ტექნოლოგიები. ეთანოლი, ბიოდიზელი (FAMES), და ბიოგაზები განახლებადი, ბენზინთან შეთავსებადი, საწვავების ცნობილი ნიმუშებია, მაგრამ დღევანდელი რესურსებითა და ტექნოლოგიებით დამზადებული რაოდენობა დაფარავს საჭირო გლობალური მოთხოვნის მხოლოდ მცირე ნაწილს[1].

მეორე თაობის პროდუქციის განახლებული მოტორული საწვავების მიღებისას ბიომასებს შორის უპირატესობა ენიჭება ხეს[2,3], დაუმუშავებელ მატერიებს, დაფუძნებულს ევოლუციის რესურსებსა და პროცესებზე. ბუნებრივი ხე არის ფართო რესურსი მსოფლიოს მრავალ სფეროში და ზრდის შესაბამისი

ექსპლუატაციის მოცულობას. აგრეთვე ტყის მასალის განახლებადობა შესაძლოა უპირატესი იყოს საკვებ პროდუქტებთან კონკურენციაში. ლიგნოცელულოზური ბიომასების გამოყენება კი აგვაცილებს სოიოს, შაქრის ლერწმის და სხვა პროდუქტების გამოყენებისას წარმოქმნილ უარყოფით ეფექტებს, საკვები პროდუქტების დეფიციტს.

ბიომასის გამოყენებამ უნდა მოიცვას არამარტო მარტივი გარდაქმნილი ფრაქციების, არამედ ნელი მასალის ყველა კომპონენტის დამუშავება. ხისათვის ეს იქნება გადაუმუშავებელი მასალის ყველა ნაწილის გარდაქმნა ფასეულ პროდუქტად, უპირატესად ტრანსპორტის საწვავის სახით. ხის კარბოჰიდრატული ფრაქციიდან ეთანოლის წარმოება უკვე ძალზე მჭიდროდაა დაკავშირებული კომერციულ მოთხოვნებთან.

თუმცა, ლიგნოცელულოზური დაუმუშავებელი მასალა ასევე შეიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორცაა: 41% ცელულოზა, 28% ჰემიცილოზა, 27% ლიგნინი, და 4% ფისი. ამგვარად, ლიგნინი მიზნულია მნიშვნელობით მეორე პროდუქტად, ცელულოზის შემდეგ.

განახლებადი რესურსების ოპტიმალური გამოყენებისათვის დაუმუშავებელი მატერია, რომელიც გასუფთავებული ლუმელიდან მოდის, სრულიად გარდაიქმნება სხვადასხვა პროდუქტებად. ექსტრაქტი, რომელიც "შემოგვრჩა" ეთანოლის წარმოებიდან, უნდა გადაუმუშავდეს, რომ მივიღოთ უფრო მეტად ფასეული პროდუქტი, ვიდრე უბრალოდ საწვავი, როგორც ენერჯის წყარო[4-6].

პიროლიზი არის ბიოგამწმენდი პროცესების უმთავრესი მეთოდი, რომელსაც ფართოდ იკვლევენ. მისი არსი მდგომარეობს მყარი ხისა და ბოსტნეულის სითხედ გარდაქმნაში. მაგალითად, მის შედეგად იწარმოება: "ბიო-ნავთობი", "პიროლიზ-ნავთობი", "პიროლიზ-სითხე" ან "ბიო-ნელი ნავთობი". იგი განისაზღვრება როგორც ორგანული ნაერთების შემცველი მატერიის თერმული დეგრადაცია ვაკუუმში. ზოგად პრობლემას წარმოადგენს ნავთობის ფრაქციებში ჟანგბადის მაღალი შემცველობა. ამ ტექნოლოგიაში ძალიან მაღალ ტემპერატურაზე გაცხელება გამოიყენება ბიომონომერების ქიმიური გარდაქმნის დაბალი დონისა და სითხის მაქსიმალური მოცულობის უმოკლეს დროში საწარმოებლად. ეს ბიონავთობი არის მჟავე თვისების მქონე და კოროზიის ხელშემწყობი ნივთიერება. ამასთან, ხშირად დროში ქიმიურად არამდგრადია[7].

**პიროლიზ/სოლვოლიზი.** პროცესი ტარდება დახურული სისტემაში უჟანგავი მეტალის 4740 სერიის რეაქტორის გამოყენებით. ლიგნინი, ჭიანჭველმჟავა და ალკოჰოლი, ხოლო ზოგ შემთხვევაში წყალი ემატება ერთმანეთს ოპტიმალური პროპორციებით. რეაქტორი თბება კარბოლიტის ლუმელში 2-დან 54 საათის განმავლობაში ოთახის ტემპერატურიდან 300°C-მდე. გახურების სიჩქარეა 20°C/წთ.

შემდეგ ხდება რეაქტორების გაგრილება ჰაერის ორთქლით გარემოს ტემპერატურამდე. ორგანული ზედაპირის ფენას ინახავენ ეთილაცეტატში, როგორც გამსხნელში GC/MS ანალიზებისთვის. რეაქციის ნარევი გამოყოფილ იქნა მარტივი დეკანტაციით. 10მლ დიქლორმეთანთან ერთად ორჯერ იქნა ამოღებული წყლის ფენა. ორგანული ფაზები კონცენტრირებული იყო შემცირებული წნევით (100mbar), რის შედეგადაც მიიღება მუქი ყავისფერი-მოშავო სითხე. გამოსავალი განისაზღვრებოდა აწონვით. საჭირო იყო დარჩენილი გამსხნელების მოშორება, თუმცა ეს გამოიწვევდა სწრაფაქროლადი პროდუქტების დანაკარგს. აორთქლების საფეხურზე აუცილებელია ზუსტად გაიზომოს და დახასიათდეს ლიგნინის თხევადი პროდუქტები. ნიმუშების ანალიზები ჩატარდა GC/MS-ზე.

ამრიგად, როგორც ეთანოლი, ასევე ბიოდიზელი საკვებით აკმაყოფილებს მოთხოვნებს მოტორულ საწვავზე.

სადღეისოდ, თხევადი ბიოსაწვავის წარმოება რამოდენიმე ტექნოლოგიით ხორციელდება. ბიოეთანოლის მიღების ჩვენს მიერ წარმოდგენილი მეთოდიკის თავისებურება არის ის, რომ პირველ ეტაპზე ლიგნოცელულოზაშემცველი მასალიდან აუცილებლად ხორციელდება ლიგნინის გამოყოფა და გამოყოფილი ცელულოზის დეგრადაცია დაბალმოლეკულურ შაქრებამდე. ლიგნინის გამოყოფის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ ბადავში მისი თანაობა სპირტული ღულილის ფერმენტების გამრავლების შეფერხებასა და მისი მოქმედების შეწყვეტას იწვევს.

პრაქტიკაში, როგორც ლიგნინის გამოყოფა, ასევე ცელულოზის დაბალმოლეკულურ შაქრებამდე დაშლა ხორციელდება მაღალ ტემპერატურაზე, წნევის ქვეშ. ამიტომ, ძირითადი სამეცნიერო კვლევები მიმართულია ამ პროცესის გაუმჯობესებისაკენ და სპირტის რეაქციების ახალი შტამების შექმნისაკენ.

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Demirbas, M. F. Current Technologies for Biomass Conversion into Chemicals and Fuels . Energy Sources 2006, 28, 1181–1188.
2. Huber, G. W.; Iborra, S.; Corma, A. Synthesis of Transportation Fuels from Biomass: Chemistry, Catalysts, and Engineering. Chem. ReV. 2006, 106, 4044–4098.
3. Hamelincka, C. N.; Faaijb, A. P. C. Estimates of Bio-energy Potential around the World. Energy Policy 2006, 34, 3268–3283.
4. Fernando, S.; Adhikari, S.; Chandrapal, C.; Murali, N. Towards a Lignocellulosic Biorefinery: Direct One-Step Conversion of Lignin to Hydrogen-Enriched Biofuel. Energy Fuels 2006, 20, 1727–1737.
5. Ragauskas, A. J.; Williams, C. K.; Davison, B. H.; Britovsek, G.; Cairney, J.; Eckert, C. A.; Frederick, W. J., Jr.; Hallett, J. P.; Leak, D. J.; Liotta, C. L.; Mielenz, J. R.; Murphy, R.; Templer, R.; Tschaplinski, T. Converting Municipal Waste into Automobile Fuel: Ethanol from Newspaper. Science 2006, 311, 484–489.
6. Huber, G. W.; Corma, A. Angew. Synergies between Bio- and Oil Refineries for the Production of Fuels from Biomass. Chem., Int. Ed. 2007, 46 (38), 7184–7201.
7. Mohan, D.; Pittman, C. U., Jr.; Steele, P. H. Green Solvent for Flash Pyrolysis Oil Separation. Energy Fuels 2006, 20, 848–889.

**MODERN TECHNOLOGIES OF LIQUID BIOETHANOL PRODUCTION FROM LIGNOCELLULOSE CONTAINING RAW MATERIALS**

L.Tatiashvili, N.Tserodze, I.Mikadze, R.Tsiskarishvili, T.Uchaneishvili

*Ivane Javakhishvili Tbilisi State Univesity, Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry***SUMMARY**

Bioethanol production capacity and technologies are reviewed on developed countries example. Physicochemical and exploitation qualities of regular oil and biofuel are compared. Ecological safety of used bioethanol, produced from not edible renewable lignocellulose plant raw materials is shown.

**СОВРЕМЕННЫЕ ТЕХНОЛОГИИ ПРОИЗВОДСТВА ЖИДКОГО БИОТОПЛИВА ИЗ ЛИГНОЦЕЛЛЮЛОЗОСОДЕРЖАЩЕГО СЫРЬЯ**

Л.Т.Татиашвили, Н.П.Церодзе, И.И.Микадзе, Р.П.Цискаришвили, Т.Г.Учанеишвили

*Институт Физической и Органической Химии им. П.Г. Меликишвили  
Тбилисского Государственного Университета им. Ив. Джавахишвили***РЕЗЮМЕ**

Рассмотрены объём и технологии производства биоэтанола на примере современных развитых стран. Сравнены физико-химические и эксплуатационные свойства обычного нефтяного и биотоплива. Показана экологическая безопасность использования биоэтанола, произведённого из непищевого, возобновляемого лигноцеллюлозного растительного сырья.

## ახალი პირობებში პირობები

ჯონდო გველესიანი, თინათინ ლეჟავა, მანანა მამფორია, ჯუმბერ მესხი, ზოია ხუციშვილი,  
შალვა კიკაბიძე

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

თანამედროვე ფერადი მეტალურგია წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს მსოფლიოში. მისი ძირითადი ნედლეულია სულფიდური წარმოშობის წიაღისეული. დღეისათვის ნედლეულის გადამუშავების ძირითად მეთოდს წარმოადგენს კლასიკური პირობებში მეტალურგია, რომელიც ახორციელებს სულფიდური კონცენტრატისგან გოგირდის ამოწვას ტოქსიკური გოგირდოვანი ანჰიდრიდის ( $\text{SO}_2$ ) სახით. სპილენძის პირობებში მეტალურგიაში ეს პროცესი სამ ურთულეს სტადიაში ხორციელდება:


- ნაწილობრივი დესულფურიზაცია (~ 50% S) მდულარე შრის ლუმელში;
- მიღებული ნაწილის ჟანგითი დნობა შტეინზე ამრეკლავ ან მახტურ ლუმელში (~ 20% S);
- შტეინის კონვერტორული ბესემერიზება (~ 25% S).

ბოლო წლებში პირველი და მეორე სტადია ხორციელდება ერთ დანადგარში – ერთ სტადიად. პროცესს თან ახლავს დიდი მოცულობის  $\text{SO}_2$ -ის დაბალი (7-13%) შემცველობის ნაწილი აირების გამოყოფა. ყოველივე ეს უაღრესად ართულებს ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებას. გარდა ამისა, პირობებში მეტალურგია მხოლოდ გიგანტური სიმძლავრის საბადოების გადამუშავების შემთხვევაში არის ეკონომიკურად მომგებიანი. იგივე ითქმის სატელიტურ გოგირდმჭავას წარმოებაზედაც. მსოფლიოში არსებობს დიდი რაოდენობით მცირე და საშუალო სიმძლავრის სპილენძის სულფიდური ნედლეულის საბადოები რომლებიც, ხშირ შემთხვევაში ბალანსს გარეთ არიან დარჩენილნი. ეს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ჯერ კიდევ არ არის შემოთავაზებული ასეთი საბადოების გადამუშავების ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებული ტექნოლოგიები.


წარმოდგენილ სამუშაოში ავტორების მიერ შემოთავაზებულია ახალი პირობებში მეტალურგია პროცესი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას სპილენძის მცირე და საშუალო სიმძლავრის საბადოების გადასამუშავებლად გარკვეული ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტით. მისი გამოყენება იმ რეგიონებში, სადაც ასეთი საბადოები არსებობენ გააუმჯობესებს არა მარტო სოციალურ პირობებს, არამედ უზრუნველყოფს ქვეყანას საკუთარი წარმოების პროდუქტებით და შესაბამისად შეამცირებს ვალუტის გადინებას ქვეყნიდან.

სპილენძის სულფიდური კონცენტრატის გადასამუშავებლად შემოთავაზებული ტექნოლოგია (სურ.1) კლასიკური პირობებში მეტალურგიაში ტექნოლოგიის ანალოგიურია: საწყისი ნედლეული – კონცენტრატი და საბოლოო პროდუქტები – გოგირდმჭავა და ელექტროტექნიკური მარკის სპილენძი ერთნაირია. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ არსებულ ტექნოლოგიასთან შედარებით სულფიდური ნედლეულის სრული დესულფურიზაცია ხორციელდება ~4-ჯერ ნაკლები მოცულობის ნაწილი აირის გამოყოფით, ხოლო შტეინის ნაცვლად მიიღება ოქსიდური კონცენტრატი. მათი გადამუშავება გოგირდმჭავად და ელექტროტექნიკური მარკის სპილენძად შედარებით გამარტივებულია უკვე არსებული მეთოდების გამოყენებით.


ნაშრომში წარმოდგენილია შემოთავაზებულ ტექნოლოგიაში ძირითადი სიახლის მსხვილლაბორატორიული მასშტაბში გამოცდის მონაცემები. სრული დესულფურიზაციის პროცესი ხორციელდება ერთ უთაროებო მახტურ ლუმელში, რომელიც აღჭურვილია სპეციალური კონსტრუქციის მომრევით (სურ.2). მომრევის ბრუნვის შედეგად ლუმელის მახტაში ჩაყრილი ფლოტაციური კონცენტრატი გადადის ფსევდოგათხევადებულ მდგომარეობაში. მომრევის ფრთების პროფილი და კვეთი მათ მოძრავი ნიჩბების როლს ანიჭებს (სურ. 3), რაც უზრუნველყოფს მყარი და აირადი რეაგენტების შეხების ზედაპირის გაზრდას და შესაბამისად, მათ შორის რეაქციის დაჩქარებას. ამ სამუშაოს წინ უსწრებდა ლაბორატორიული კვლევები, რომელთა შედეგები გამოქვეყნებულია პერიოდულ ლიტერატურაში [1-3].



სურ. 1.



სურ. 2.



სურ. 3.





ცხრილი

სულფიდური კონცენტრატის დესულფურიზაციის პროცესის მსხვილლაბორატორიულ უთაროებო შახტურ ლუმელში გამოცდის შედეგები

კონცენტრატის შედგენილობა (%): S<sub>Σ</sub>-44,5, Fe-39, Cu-10.  
 პროცესის ტემპერატურა – 790 ÷ 810 °C

ლუმელის წარმადობა		სანგრძლიობა, სთ.	მიწოდებული კონცენტრატი, კმ.	მიღებული ნამწვი, კმ.	მასის დეფიციტი, %	ტექნიკური ჟანგბადის ხარჯი, კმ	ჰაერის ხარჯი, კმ	შ 2-ის შემცველობა ნამწვ აირში, %	გოგირდის შემცველობა ნამწვში, %	
კვ/სთ	გათვლილი ქვედის მ <sup>2</sup> , ტ/წ								S <sub>Σ</sub>	S <sup>6+</sup>
2	1365	9	18	10,8	40,0	6,3	18,7	-	1,5	1,2
3	2050	18	54	31,3	42,0	19,4	24,3	64	1,9	1,6
4	2730	8	32	18,4	42,5	12,0	12,0	58	2,4	1,9

ცნობილია [4, 5, 6 და სხვ.], რომ სულფიდური კონცენტრატის გამოწვისას სუფთა ჟანგბადის გარემოში 800 – 900 °C-ზე სულფიდური გოგირდი იჟანგება ძირითადად სულფატურამდე, ხორციელდება ე.წ. მასულფატიზირებული გამოწვა. ჰიდრომეტალურგიაში ასეთი ნამწვის გამოყენებით შესაძლებელია შესაბამისი მარილების მიღება, მაგრამ მისგან სპილენძის გამოღობა შეუძლებელია. ამისთვის ნედლეულში არსებული S<sup>2-</sup> მხოლოდ SO<sub>2</sub>-მდე უნდა დაიჟანგოს და გამოიყოს აირადი სახით, ლითონური კომპონენტები კი უნდა გადავიდნენ ოქსიდებში. პირომეტალურგია სასარგებლო ლითონის ოქსიდის აღმდგენლად მოიხმარს კონცენტრატში არსებულ სულფიდურ გოგირდს და მის ოქსიდთან ურთიერთქმედების რეაქციის სითბოს ხარჯზე პროცესს ავტოგენურ რეჟიმში წარმართავს. ამისთვის გამოიყენება წარმოების გიგანტური მასშტაბები, ხდება უმძლავრესი საბადოების გადამუშავება და სპილენძზე მილიონობით ტონა მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგრამ დაბალი სიმძლავრის საბადოების გადასამუშავებლად რენტაბელური არ არის.

დესულფურიზაციის პროცესში ჰაერის ნაცვლად ტექნიკური ჟანგბადის გამოყენების სირთულე დაკავშირებულია ქიმიური რეაქციების მიმდინარეობის კანონზომიერებებთან. მრავალრიცხოვანი კვლევების საფუძველზე დადგენილია სულფიდური მადნების გამოწვის დროს მიმდინარე ძირითადი რეაქციები და ტემპერატურაზე მათი დამოკიდებულება:

დაბალ ტემპერატურაზე (25 ÷ 300 °C):



ტემპერატურის შემდგომი ზრდა საწყისი შეუქცევადი რეაქციების გააქტიურებას იწვევს და მათი სიჩქარე იზრდება, რასაც თან სდევს სარეაქციო გარემოში SO<sub>2</sub>-ის დრეკადობის გაზრდა და ჟანგბადის თანაობისას იწყება მეორადი სულფატების წარმოქმნის (~ 350°C) შექცევადი რეაქცია:



ტემპერატურის გაზრდით წონასწორობა იხრება მარჯვნივ, რეაქციის სიჩქარე იზრდება და ~ 400-500°C ფარგლებში აღწევს მაქსიმუმს. ტემპერატურის შემდგომი ზრდით ხდება რვერსი – (3) რეაქცია იხრება მარცხნივ და იწყება სულფატების დაშლა. როდესაც მჟანგველად გამოყენებულია



ჰაერი, ან ჟანგბადით მცირედ გამდიდრებული ჰაერი, ადგილი აქვს გამოყოფილი  $\text{SO}_2$ -ის დრეკადობის შენარჩუნებას დაბალ ნიშნულზე.  $500-600^\circ\text{C}$ -დან იწყება  $\text{MeSO}_4$ -ის ინტენსიური დაშლა და  $800-900^\circ\text{C}$ -ზე ის კვალის სახით რჩება ნამწვში. დამჟანგველად მხოლოდ ჟანგბადის გამოყენებისას სიტუაცია იცვლება, ნამწვ აირებში  $\text{SO}_2$ -ის დრეკადობა ტემპერატურის მატებით მკვეთრად იზრდება, ჟანგბადის დრეკადობა კი მცირდება (ლუმელში აღარ მიეწოდება დიდი რაოდენობით ინერტული აზოტი). ლე-შატელიეს პრინციპის საფუძველზე სულფატების ტემპერატურული მდგრადობა სარეაქციო ზონაში  $\text{SO}_2$ -ის მაღალი დრეკადობისას მნიშვნელოვნად იზრდება და შესაძლებელია  $800 - 900^\circ\text{C}$  ტემპერატურაზეც მდგრადი გახდეს. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ლუმელის კონსტრუქციის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა მაღალი კონცენტრაციის ნამწვი აირების მიღების შესაძლებლობა კონდიციური შედგენილობის ოქსიდური ნამწვის მიღებასთან ერთად. ამისთვის ლუმელში ჟანგბადისა და ჰაერის მისაწოდებელი ფურმები გაკეთებული იქნა: ჰაერის – ლუმელის ქვედან, ჟანგბადის – I და II ვირტუალური ტემპერატურული ზონების საზღვართან. ეს გულისხმობს ჟანგვის ძირითადი პროცესების ინტენსიურად წარმართვას I ზონის ზემოთ განლაგებულ ზონებში. პირველ ზონაში კი  $800^\circ\text{C}$ -იანი ნამწვი ხვდება ცხელი ჰაერის გარემოში, რომელიც არ შეიცავს  $\text{SO}_2$ -ს. დაშლის დროს წარმოქმნილი  $\text{SO}_2$  გაიწოვება ზონიდან ზემოთ. ამიტომ ამ ტემპერატურაზე სულფატების დაშლა უნდა განხორციელდეს მაღალი სიჩქარით. ამრიგად, შესაძლებელი ხდება მცირე რაოდენობის ჰაერის გამოყენებით მიღებული იქნას კონდიციური ნამწვი და  $\text{SO}_2$ -ის მაღალი შემცველობის მქონე ნამწვი აირი.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ცდებში მიღებული ნამწვები, გოგირდის საერთო შემცველობის მიხედვით, არ არის კონდიციური –  $S_2 > 1\%$ . ეს გამოწვეულია სულფატების არასრული დაშლით. სავარაუდოა, რომ აღნიშნულ პირობებში არ იყო მიღწეული სულფატების სარეაქციო ზონაში დაყოვნების დრო, რომელიც საჭიროა მათი სრული დაშლისათვის. დაყოვნების დრო დამოკიდებულია I ზონის სიმაღლეზე და ლუმელის წარმადობაზე. ამის გათვალისწინებით შესაძლებელი იქნება  $75 \sim 80\%$   $\text{SO}_2$ -ის შემცველი ნამწვი აირისა და კონდიციური ნამწვის მიღება.

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილი სამუშაო შესრულებულია საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით (გრანტი №GNSF/STO7/7-261).

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Гвелесиани Дж., Лежава Т., Гагნიძე Ц., Мампория М. и др. Комплексная переработка медно-цинковой руды Маднеульского месторождения. «Обогащение руд». Ж. Российской Академии Наук. 2006. №3, с 44-48.
2. ჯ. გველესიანი, თ. ლეჟავა, მ. მამფორია. სპილენძის კოლჩედანური ფლოტაციური კონცენტრატის დესულფურიზაცია ჟანგბადის გარემოში. საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2009 წ., ტ. 35, №4, გვ. 537-541.
3. ჯ. გველესიანი, თ. ლეჟავა, მ. მამფორია. სპილენძის კოლჩედანური ფლოტაციური კონცენტრატის დესულფურიზაცია არგონის გარემოში. საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2010 წ., ტ. 36, №3, გვ.385-387.
4. Гаприндашвили В. Н. Комплексная переработка медных и цинковых колчеданных руд. Изд. «Мецниереба», Тбилиси, 1973, 219 стр.
5. ვ. რცხილაძე, დ. ოზიაშვილი-რცხილაძე. ფერადი მეტალურგია, გამომცემლობა შპს “ანი”, თბილისი, 2006 , 426 გვ.
6. Смирнов В. А. «Металлургия меди и никеля». Учебник М., «Металлургиздат», 1950 , ст.92.

**NEW PYROMETALLURGICAL PROCESS**

Jondo Gvelesiani, Tinatin Lezhava, Manana Mamporia, Jumberi Meskhi,  
Zoia Khuztishvili, Shalva Kikabidze

*R. Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry of  
Iv. Javahkishvili Tbilisi State University*

**SUMMARY**

The outcomes of a desulphurization of copper flotation concentrate in the shaft furnace equipped with a stirrer of original construction are adduced. An arrangement and a form of stirrer “wings” provide transfer of sulphide concentrate in the state of fluidised layer. In order to supply oxidant reagent to the chamber of furnace it is equipped with two tuyeres: the upper tuyere and lower one. The technical oxygen is provided through the upper tuyere, and the air through the lower one. The offered design of furnace enables to produce oxide cinder containing less than 1 % sulphur and roast gas containing around 75 ~ 80%SO<sub>2</sub>.

**НОВЫЙ ПИРОМЕТАЛЛУРГИЧЕСКИЙ ПРОЦЕСС**

Джондо Гвелесиани, Тинатин Лежава, Манана Мампория, Джумбер Месхи,  
Зоя Хуцишвили, Шалва Кикабидзе

*Институт неорганической химии и электрохимии им. Р. Агладзе  
Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили*

**РЕЗЮМЕ**

Приведены результаты десульфуризации флотационного концентрата меди в шахтной печи, снабженной мешалкой с лопатообразными лопастями, которая обеспечивает перевод сульфидного концентрата в псевдооживленное состояние. Для подачи окислительного реагента печь оборудована двумя фурмами, из них в верхнюю подаётся технический кислород, в нижнюю - воздух. Это дает возможность получить в виде промежуточных продуктов оксидный огарок, содержащий <1% S и обжиговый газ, с содержанием 75 ~ 80% SO<sub>2</sub>.

## ქიმიური ტექნოლოგია

## ახალი თაობის მზის სითბური კოლექტორი

ვასიკო შველიძე, რამაზ გახოკიძე, ლალი ტაბატაძე, მაია თათარიშვილი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დღეისათვის ბუნებაზე ადამიანის დაუნდობელი ზემოქმედების, უკიდურესად გამწვავებული ეკოლოგიური და ეკონომიკური სიტუაციის გამო, კაცობრიობისათვის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად იქცა შექმნილი მდგომარეობიდან დროული გამოსვლის გზების მონახვა. ერთ-ერთ ასეთ გზად ენერჯის ალტერნატიული წყაროების, კერძოდ მზის ენერჯის ფართოდ გამოყენება ითვლება. დღეისათვის მზის ენერჯის მოხმარება მზის სითბური კოლექტორებისა და მზის ნახევარგამტარული პანელების გამოყენებით ხდება. ასეთი ჰელიოენერგეტიკული მოწყობილობით გამოქმნილი სითბური და ელექტროენერჯია სამწუხაროდ საკმაოდ ძვირია და ამიტომ მათი მასიური გამოყენება ჯერჯერობით ვერ ხერხდება. მზის ენერჯის მეშვეობით მოხმარებლების უზრუნველყოფის მრავალი გზა არსებობს: ენერჯის მიწოდება სითბოს სახით – სითბური კოლექტორების მეშვეობით; ელექტროენერჯის სახით – მზის სინათლის ნახევარგამტარული გარდაქმნელების ელექტრული ენერჯით მიღების გზით; სინათლის სახით – მზის ხილული სინათლის ბოჭკოვანი ოპტიკის ან სხვა შუქგამტარი მოწყობილობებით ტრანსპორტირების გზით; ქიმიური ენერჯის სახით – მზის ენერჯის მეშვეობით ხელოვნური საწვავის მიღების გზით და ა.შ. ამჟამად, მთელ მსოფლიოში ინტენსიურად მიმდინარეობს კვლევითი და საინჟინრო-საკონსტრუქტორო სამუშაოები სრულყოფილი ჰელიოენერგეტიკული მოწყობილობებისა და სისტემების შესაქმნელად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სისტემა-მოწყობილობების თვითღირებულებას და გამოყენების სფეროების მრავალფეროვნებას. როგორც უკვე აღნიშნეთ, პროგრამების განხორციელებისას უპირატესობა მზის ენერგეტიკის განვითარებას ენიჭება. ცნობილია, რომ წლის განმავლობაში დედამიწა  $8,6 \cdot 10^{13}$  ტონა ნავთობპროდუქტების დაწვით გამოყოფილი სითბოს ექვივალენტს იღებს მზისგან. დღეისათვის კაცობრიობა თავისი საჭიროებისათვის სულ მთხმარს დაახლოებით  $3,3 \cdot 10^{20}$  ჯოულს, ასეთი ენერჯის რაოდენობის სითბოს მიღება სავსებით შესაძლებელია თუ გამოყენებულ იქნება დედამიწის ზედაპირის დაახლოებით 0,1% მოწყობილობების 10%-იანი მქკ-ის დროს [1]. სავსებით ნათელია, რომ მზის ენერჯის ფართომასშტაბიანი გამოყენებისას მნიშვნელოვნად შემცირდება არსებული ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემების სიმწვავე. იგი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ჯანმრთელობისა და სოფლის მეურნეობის პრობლემებზე. სამწუხაროდ, დღეისათვის არსებული სხვადასხვა დანიშნულებისა და მოდიფიკაციის ჰელიოენერგეტიკული მოწყობილობები და სისტემები თავისი ტექნიკურ-ეკონომიკური შესაძლებლობებით (მაღალი თვითღირებულება, გასაყიდი ფასი, მუშაობის შეზღუდული რესურსი, ხშირად მუშაობის დაბალი მქკ და ა.შ.) სრულად ვერ აკმაყოფილებენ მკაცრ საბაზრო და პრაქტიკულ მოთხოვნილებებს, რის გამოც მათი ფართომასშტაბიანი გამოყენება საკმაოდ შეზღუდულია. დღეისათვის შედარებით ფართოდაა გავრცელებული მოწყობილობები, რომლებიც მზის რადიაციას სითბურში გარდაქმნიან და თბილი წყლის ან ჰაერის სახით მიაწვდიან მოხმარებელს. ასეთი სახის ჰელიოენერგეტიკული მოწყობილობები მართალია სხვა სახის ჰელიოდანადგარებზე გაცილებით იაფია, მაგრამ მაინც ძვირია იმისათვის, რომ მასიურად გავრცელდეს ყველა მზიან რეგიონში. დღეისათვის მზის სითბური კოლექტორების გამოშვებით საკმაოდ ბევრი განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყანაა დაკავებული (საფრანგეთი, გერმანია, ისრაელი, ესპანეთი, თურქეთი, ჩინეთი და ა.შ.). შემოთავაზებაშია ბევრი სხვადასხვა მოდიფიკაციისა თუ ტექნიკური შესაძლებლობების მზის სითბური კოლექტორები. ორიგინალური კონსტრუქციების და გამოყენებული თანამედროვე ტექნიკური შესაძლებლობების მქონე მასალებისა და ნახევარგამტარული წყალბით აღნიშნული კოლექტორების ფასები საკმაოდ მაღალია. მაგალითად, ნებისმიერი მოდიფიკაციის სრულყოფილი 1,5 კვტ-იანი კოლექტორის ფასი 1000 დოლარზე მეტია, მაღალი ტექნოლოგიებით დამზადებული გერმანული წარმოების კოლექტორის გასაყიდი ფასი 600 ევროა; თურქული ანალოგიურის ფასი 1400 დოლარი; იგივე ფასი აქვს კანადურ ნაწარმს და ა.შ. აღნიშნული და კიდევ სხვა მიზეზების გამო, ასეთმა მოწყობილობებმა ჯერჯერობით ვერ ჰპოვეს მასიური გავრცელება.

ნაშრომის მიზანია შემუშავებულ იქნეს მზის სითბური კოლექტორის ახალი, ორიგინალური კონსტრუქცია, რომელიც მოკლებულ იქნება ზემოთმოყვანილ ნაკლოვანებებს და ექნება მისაღები ტექნიკურ-ეკონომიკური და საექსპლოატაციო მახასიათებლები [2-3]. ამოცანა ითვალისწინებს ახალი

თაობის გამარტივებული კონსტრუქციის კოლექტორის ისეთი ვარიანტის შემუშავებას, სადაც შესაძლებელი იქნება ფართოდ იქნას გამოყენებული საკონსტრუქციო და ფუნქციონალურ მასალებად ისეთი ნახევარფაბრიკატები როგორცაა: პლასტმასები, მათ შორის პოლიმერული მეორადი ნარჩენები, იაფფასიანი არაორგანული წარმოშობის ქიმიური ნაერთები, შავი მეტალი და მათი ოქსიდები. ამოცანა ასევე გულისხმობს კოლექტორის ცალკეული ბლოკებისა და ელემენტების დამზადების ისეთი ტექნოლოგიების შემუშავებას, რომ შესაძლებელი გახდეს მათი მასიური ტირაჟირება. ამოცანა ნაწილობრივ შესრულებულია – შექმნილია კოლექტორის კონსტრუქციის რამოდენიმე ვარიანტი, რომლებიც მეტნაკლებად აკმაყოფილებენ ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს. შესრულდა სამეცნიერო კვლევითი და საინჟინრო-საკონსტრუქტორო სამუშაოები კოლექტორის ოპტიმალური კონსტრუქციის შესამუშავებლად. შექმნილი იქნა ახალი თაობის მზის სითბური კოლექტორის მარტივი კონსტრუქცია. კოლექტორი შედგება სამი ძირითადი ბლოკისაგან. ბლოკები ურთიერთშეთავსებადია და მათი საშუალებით ყოველგვარი ტექნიკური მომზადების გარეშე ხდება დანადგარის აწყობა. კონსტრუქცია ასევე გამოირჩევა სიმსუბუქით, 1,3-1,4 კვტ სიმძლავრის ბლოკის წონა დაახლოებით 12-13 კგ-ია (ცარიელ მდგომარეობაში) მაშინ, როცა არსებული ანალოგები 60-65კგ-ს იწონიან. როგორც ავლნიშნეთ მოწყობილობა შედგება სამი ძირითადი ბლოკისაგან:

1. თბო-საიზოლაციო ბლოკი – მთლიანი მზიდი კონსტრუქციის, რომელზედაც ხდება დანარჩენი ბლოკების აწყობა;

2. ბლოკი კოლექტორის დამცავი ზუფი თავისი ოპტიკური ფანჯრით;

3. წყლის გამახურებელი ბლოკი თხელკედლიანი პლასტმასის (ან ალუმინის) მილების სისტემით, რომელიც დაფარულია ამ მიზნით სპეციალურად შემუშავებული სინათლის მშთანთქმელი ფენით.

აღნიშნული სამეცნიერო და საინჟინრო-საკონსტრუქციო პრობლემების გადაწყვეტით მკვეთრად იქნება შემცირებული გამომუშავებული სითბოს თვითღირებულება, სისტემა განდება ფართო მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი, კოლექტორი იქნება პრაქტიკული და კონკურენტუნარიანი. თბოსაიზოლაციო ბლოკი, რომელიც მზადდება პოლიმერული მასალისაგან (პენოპლასტი) იღვის თანახმად ითავსებს კოლექტორის ერთიანი მზიდი კონსტრუქციის ფუნქციას და არ საჭიროებს მძიმე და ძვირადღირებული მეტალური კონსტრუქციების გამოყენებას. ზუფი-ფანჯარა, რომელიც მზადდება სერიული წარმოების (პოლიმერის) პლასტმასის პროფილისაგან, ითავსებს კოლექტორის მექანიკურად დამცავი საფარისა და ოპტიკური ფანჯრის ჩარჩოს როლს. სინათლის გამჭვირვალე ფენად გამოიყენება მაღალი წნევის, დაბალი სიმკვრივის ამ მიზნით სპეციალურად შემუშავებული პოლიმერული ტრიპლექსის ფირი, რომელსაც სპეციალური დამუშავების წყალობით აქვს სინათლის ხილულ უბანში მაღალი გამჭვირვალობა და ინფრაწითელი სინათლის ბლოკირების უნარი.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Sprengel U; Hoyer W. Solar – Hydrogen – Energy for the Future, DLR, ZSW, and Ministry of Economic Affairs and Technology for the State of Baden-Wuttemberg, Stuttgart (Germany), 1990
2. საქპატენტო პრიორიტეტი, მზის ენერჯის კონცენტრატორი, GE P 1999, 1947 B
3. საქპატენტო პრიორიტეტი, საზოგადო ფოკუსის მქონე მზის ენერჯის გარდამქმნელი სისტემა, GE P 2002, 2843 B

#### SOLAR THERMAL COLLECTOR

V. Shvelidze, Ramaz Gakhokidze, L. Tabatadze, Maia Tatarishvili  
Iv. Javahkishvili Tbilisi State University – Sokhumi State University

#### SUMMARY

A great attention is paid to the construction simplicity, cost of used materials and possibility duplicating separate details and separate blocks.

#### СОЛНЕЧНЫЙ КОЛЛЕКТОР НОВОГО ПОКОЛЕНИЯ

В.В.Швелидзе, Р.А.Гахокидзе, Л.В.Табатадзе, М.З.Татаршвили  
Тбилисский Государственный Университет им. Ив. Джавахишвили  
Сухумский Государственный Университет

#### РЕЗЮМЕ

Большое внимание уделяется простоте строительства, которая основана на использовании материалов, деталей отдельных блоков и возможного дублирования.

## CORROSION RESISTANT Ti-Ni-Si SYSTEM ALLOYS WITH INCREASED STRENGTH AND HARDNESS FOR MEDICAL TOOLS

Manana Mikaberidze, Dali Ramazashvili, Lia Akhvlediani, Eter Gozalishvili, George Gordeziani, and Londa Tavadze

*Ferdinand Tavadze Institute of Metallurgy and Materials Science*

The high strength, low weight, outstanding corrosion resistance possessed by titanium and titanium alloys have led to a wide and diversified range of successful applications which demand high levels of reliable performance in surgery and medicine as well as in aerospace, automotive, chemical plant, power generation, oil and gas extraction, sports, and other major industries. Titanium and its alloys such as: unalloyed titanium, Ti-6Al-4V, Ti-4Al-3Mo-V, Ti-5Al-3Sn, Ti-3Al-1,5Mn etc. are used for manufacturing some medical tools like mirrors, wound wideners, nails for osseointegration, tracheametric tubes, needle holders, eye and wire fixation tweezers, heart valves and other micro tools. Recently the development of high-strength titanium alloys for coatings, by various methods, of medical tools, implants or working parts of tools with the purpose of their hardening became the most important problem of medical industry. However, most of commercial titanium alloys have low hardness and insufficient corrosion resistance in aggressive washing and sterilizing media. In this connection, the development of new titanium alloys with high mechanical properties together with corrosion resistance represents significant interest, both for manufacturing medical tools and for coating them with the purpose of hardening their working parts [1-6].

The aim of the present work was the development of new corrosion resistant Ti-Ni-Si system alloys with increased strength and hardness by investigating phase equilibrium and structural transformations, mechanical properties and corrosion resistance.

Smelting of the Ti-Ni-Si system alloys with constant content of nickel - 8% and variable content of silicon (0-5)% have been carried out in arc vacuum furnace with the unexpended tungsten electrode in the atmosphere of argon. Titanium sponge, nickel, and silicon were used as working mixture materials. Regime of melting was – 200-300 A, at 50V. For achieving the homogeneity of composition four and five times remelting was used. The control of chemical composition was carried out by comparative weighing of the received ingots. Difference in the weigh composed not more than 0,5%. The received rods were cut on 10 mm size pieces, which were placed into the special device, intended for getting the cylindrical ingots with 4,6 and 10 mm diameters. Thermal treatment of alloys has been carried out via quenching from 950<sup>0</sup>C in water.

Microstructure of alloys has been studied in casting and quenching conditions. In casting condition the structure of these alloys consists of primary crystallized grains of  $\beta$ -solid solution with dendrite structure.

Study of microstructure of Ti-8Ni-(0-5)Si alloys after quenching from 950<sup>0</sup>C show that alloys have three phase structure and they consist of solid solution of  $\alpha$ -titanium and compounds – Ti<sub>2</sub>Ni and Ti<sub>5</sub>Si<sub>3</sub>. Results of X-ray phase analysis are shown on the table 1.

Table 1. The volumes (%) of alloy phases

Phase Volumes \ Content of Si in alloys, %	1	2	3	4
Ti <sub>5</sub> Si <sub>3</sub>	20	18	15	18
Ti <sub>2</sub> Ni	36	40	44	41
$\alpha$ - Ti	44	42	41	41

Studying of mechanical properties of alloys has determined that silicon increases the tensile strength of the Ti-8Ni alloy but decreases their plastic properties (Fig. 1 and 2).




Fig. 1. Influence of silicon on the tensile strength and hardness of the Ti-8Ni alloy




Fig. 2. Influence of silicon on the elongation and cross-section reduction of the Ti-8Ni alloy

Corrosion rate of Ti-Ni-Si system alloys has been carried out in 10% solutions of HCl, NaCl and NaOH. The results of 100-hour tests are given in the Figure 3. As is seen with increasing of silicon quantity corrosion rate of Ti-8%Ni alloy rises insignificantly in all solutions, though corrosion losses in HCl is more higher than in NaCl and NaOH solutions. Generally all alloys define good corrosion resistance.

Corrosion resistance of titanium alloys in blood, physiological solution (0,9% NaCl), gastric juice (1% HCl) and tissue liquid, as well as in solutions used for disinfections, washing and sterilization of medical instruments have been studied. 3 types of sterilization were used: 1. Chemical sterilization in 6% solution of hydrogen peroxide (during 3 hours, at 50°C); 2. Sterilization in air-drying chamber (at 180°C, 45 min); 3. Vapor sterilization autoclave (at 115°C, 1,5 ATM, 30 min.). Washing solutions of 0,5% hydrogen peroxide and washing solution “Blanizol” were used as cleaning solution means. Disinfection was done in boiling distilled water during 45 minutes with addition of cooling to the room temperature [7].




Fig.3. Corrosion rate of casting alloys of Ti-8Ni-Si system after 100 hours tests in 10% solutions of HCl, NaCl and NaOH

All alloys have shown high corrosion resistance in blood, physiological solution and tissue liquid, but in 1% HCl solution corrosion rate of alloys increased with increasing of silicon content in alloys. After 100 hour testing corrosion rate of Ti-8Ni-5Si alloy constitutes  $K=0,28 \text{ g/m}^2\text{h}$  for casting state and  $K=0,206 \text{ g/m}^2\text{h}$  for quenching condition.(Table 2).

Corrosion testing of Ti-8Ni-(0-5)Si alloys has been carried out according to the following regime: cleaning + disinfection + sterilization. Washing solution “Ariel” with addition of 0,5% hydrogen peroxide was used as cleaning solution means, sterilization in air-drying chamber at  $180^{\circ}\text{C}$  for 45 min was carried out. To compare titanium standard alloys have been studied as well. The results are given on the table 3. As it is seen corrosion loses of alloys Ti-8Ni-(0-5)Si increase with raising silicon content in alloys. Visual control after 10 cycles testing show that alloy Ti-8Ni-1Si does not change its surface, but Ti-8Ni-5Si and standard alloys surface condition change- spots of oxide tint brown and temper colors appear. There was no point to carry out chemical sterilization (in 6% solution of hydrogen peroxide) using cleaning solution “Ariel” with  $\text{H}_2\text{O}_2$ .

Table 2. Corrosion rate (K, g/m<sup>2</sup>h) of Ti-8Ni-Si system alloys after 100 hours testing

Alloys	Cast alloys				Quenched alloys			
	Physiological solution (0,9% NaCl)	Blood	Tissue liquid	Gastric juice (1% HCl)	Physiological solution (0,9% NaCl)	Blood	Tissue liquid	Gastric juice (1% HCl)
Ti-8Ni-0,5Si	0.0008	0.0009	0.00097	0.004	0.00032	0.0008	0.0006	0.0026
Ti-8Ni-1Si	0.0004	0.00056	0.00026	0.0025	0.00026	0.00034	0.0005	0.0022
Ti-8Ni-2Si	0.0014	0.0012	0.0005	0.0038	0.0009	0.00078	0.00046	0.0025
Ti-8Ni-3Si	0.006	0.0028	0.002	0.03	0.0028	0.0018	0.009	0.0282
Ti-8Ni-4Si	0.023	0.0026	0.0032	0.026	0.0022	0.0028	0.0012	0.012
Ti-8Ni-5Si	0.025	0.0028	0.0038	0.283	0.0032	0.0026	0.003	0.206

Table 3. Corrosion losses of alloys  $\Delta m/s$  (g/m<sup>2</sup>), after cleaning disinfection and sterilization in air drying chamber

Alloys	$\Delta m/s, g/m^2$		
	after 1 cycle	after 5 cycles	after 20 cycles
Ti-8Ni-1Si	0,3704	0,5153	12,790
Ti-8Ni-2Si	0,4938	1,0032	14,597
Ti-8Ni-3Si	1,2762	1,4588	16,315
Ti-8Ni-5Si	1,2930	1,5512	19,723
Pure Ti	0,5009	0,9115	2,01
BT51	1,0207	1,6972	5,699
BT6C	1,5000	1,9250	9,865

Table 4. Corrosion losses of Ti-8Ni-Si system alloys  $\Delta m/s$  (g/m<sup>2</sup>), after cleaning, disinfection and sterilization in air drying chamber, in 6% solution of hydrogen peroxide and vapor sterilization in autoclave after 20 cycles

Alloys	$\Delta m/s, g/m^2$		
	in air drying chamber	in 6% solution of hydrogen peroxide	vapor sterilization in autoclave
Ti-8Ni-1Si	2,6951	11.3610	0,3910
Ti-8Ni-2Si	2,8340	16.2991	0,4112
Ti-8Ni-3Si	3,8780	16.0062	0,4194
Ti-8Ni-5Si	5,7007	18.3657	0,4588

Corrosion testing of Ti-8Ni-Si system alloys has been carried out according to the following regime: cleaning + disinfection + sterilization also by the using washing solution “Blanizol” as cleaning solution means; Results are given on the table 4. As it is seen corrosion losses of all alloys increase with raising testing time and silicon content in alloys; visual control after tests showed that only alloy Ti-8Ni-1Si does not change its surface, but as for others’ surface condition change -spots of oxide tint brown and temper colors appear. Corrosion losses of alloys after sterilization in 6% H<sub>2</sub>O<sub>2</sub> solution are more, than after air drying chamber and vapor sterilization. From the obtained results it is possible to draw the conclusion that washing solution “Ariel” with H<sub>2</sub>O<sub>2</sub> cannot be recommended for these alloys. The washing solution “Blanizol” is more favorable. Corrosion testing of Ti-8Ni-(0-5)Si alloys carried out according to the following regime: cleaning + disinfection + sterilization revealed good corrosion resistance of Ti-8Ni-1%Si alloy. This alloy Ti-8Ni-1%Si can be recommended for manufacturing of high-strength medical instruments.

### Conclusions

